

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგვური

სამეცნიერო ჟურნალი

„Scripta manent“

საქართველო

№ 2 (54)

2022

ჟურნალი დაფუძნებულია
ღია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

Multilingual Reviewing International Scientific Magazine
Международный рецензионный мультилингвальный научный журнал

„Scripta manent“

GEORGIA

ГРУЗИЯ

№2 (54)

2022

OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION

АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

ISSN 1987-7390
UDK (უაკ) 81+82
S-41

სარედაქციო კოლეგია:

მაია ჩხეიძე

მთავარი რედაქტორი

რუსუდან თაბუკაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ია ჩიქვინიძე

პასუხისმგებელი მდივანი

რედაქციის წევრები:

ალექსანდრე კარტოზია, ჰანს რუდოლფ ფლუპი, კულაუ ბიბიტოვა, სილვია ბოტევა,
ტანია ბრისჰამერი, მარია მიხაილოვა, ტატიანა მებრელიშვილი, ალბა ბრაციანო,
ალექსანდრა სპალაფორა, გელა ხაბიშვილი, რუსუდან გოცირიძე.

მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. №77, კორპუსი VI, სართული VIII
E-mail. : r. tabukashvili@gmail. com

ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი

E-mail. : k-kharazishvili@mail. ru

scripta.manentmagazine@gmail. com

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიპლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:
[www. odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

Editorial Board:

Maia Chkheidze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck, Alexander Kartoza, Kulpash Beibitova, Tania Grieskhammer, Maria Mikhailova, Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Bela Khabeishvili, Rusudan Gotsiridze.

Adress: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Electronic version: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

Редакционная коллегия:

Майя Чхеидзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук, Александр Картозия, Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Мария Михайлова, Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Бела Хабеишвили, Русудан Гоциридзе.

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия
E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Электронная версия: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

რედაქციისაბან

„Scripta manent“ საერთაშორისო რეცენზირებადი მულტილინგუური სამეცნიერო ჟურნალია, რომელიც აქვეყნებს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს. ამას გარდა, იგი ადგილს უთმობს რეცენზიებს, თარგმანებსა და სხვადასხვა ტიპის შემოქმედებით ნაშრომს.

პროფესიონალთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედაქლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებს.

ჟურნალი რეცენზირებადია, უარყოფითი რეცენზიით ნაშრომი ავტორს არ უბრუნდება. ჟურნალის სამუშაო ენებია: ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და იტალიური.

სარედაქციო კოლეგიის წევრები მოღვაწეობენ საქართველოს (თბილისი), გერმანიის (ბოხუმი, ბერლინი), რუსეთის (მოსკოვი), ყაზახეთის (ასტანა), ბულგარეთის (სოფია) და იტალიის (ტუშა) უნივერსიტეტებში.

სარჩევი

ფილოლოგია

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე

თანამედროვე ერგონიმთა პრაგმატიკული ასპექტი

/ფრანგული და ინგლისური ენების მასალაზე/..... 10

ციური ახვლედიანი, გიორგი ყუფარაძე

საფეხბურთო ლექსიკის სიტყვამაწარმოებელი საშუალებები

/ფრანგული, ინგლისური, იტალიური და ესპანური ენების მასალაზე/..... 16

რუსუდან გოცირიძე

პრეზენტაციების როლი სასწავლო პროცესში..... 21

მარინე კობეშავიძე, ნინო ჭრიკიშვილი

ჯვარედინი ფორმები ესპანურ გრამატიკაში

(მსაზღვრელი თუ ნაცვალსახელი) 25

სალომე სულაბერიძე

ხარის კულტი უძველეს ცივილიზაციებში – ანატოლია,

შუამდინარეთი – და კავშირი საქართველოსთან 31

რუსუდან თაბუკაშვილი, თეა ბორჩხაძე

ენა - სოციალური იდენტურობის ფაქტორი და ტერმინის

სოციოლინგვისტიკური ასპექტები..... 39

რუსუდან თაბუკაშვილი, ია ჩიქვინიძე

თარგმანის ეკოლოგია. მთარგმნელობითი შეცდომები..... 44

მაია ჯავახიძე

ადამიანის მახასიათებლების პროექცია მწერების აღმნიშვნელ

მეტაფორებში იტალიურ და ქართულ ენებში 48

მაია ჯავახიძე

გულის კონცეპტუალიზაცია კოგნიტიური ლინგვისტიკის თეორიის საფუძველზე

(ქართული და იტალიური ენის მასალაზე)..... 59

Contents

Philology

Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze

The Pragmatic Aspect of Modern Ergonyms

/On the material of French and English Languages/ 10

Tsiuri Akhvlediani, Giorgi Kuparadze

Ways of Word Formation of Football Lexis

/ On the material of French, English, Italian and Spanish Languages / 16

Rusudan Gotsiridze

The Role of Presentation in the Process of Teaching..... 21

Marine Kobeshavidze, Nino Chrikishvili

Cruciform shapes in Spanish (determination or pronoun) 25

Salome Sulaberidze

The Cult of the Bull in Ancient Civilizations - Anatolia, Mesopotamia -
and Connections with Georgia..... 31

Rusudan Tabukashvili, Tea Borchkhadze

Language - the Factor of Social

Identity and Sociolinguistic Aspects of the Term..... 39

Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze

Ecology of Translation. Translations Errors 44

Maia Javakhidze

The Mapping of Humans in the Metaphors of Insects in Italian and Georgian..... 48

Maia Javakhidze

Conceptualization of Heart on the Bases of Cognitive Linguistics

(On the Material of Georgian and Italian Languages)59

Содержание

Филология

Циури Ахвледиани, Георгий Купарадзе

Прагматический аспект современных эргонимов

/на материале французского и английского языков/ 10

Циури Ахвледиани, Георгий Купарадзе

Способы словообразования футбольной лексики

/на материале французского, итальянского, испанского и английского языков/ 17

Русудан Гоциридзе

Роль презентаций в учебном процессе 21

Марине Кобешавидзе, Нино Чрикишвили

Крестовидные формы в испанском языке

(определитель или местоимение) 25

Саломе Сулаберидзе

Культ быка в древнейших цивилизациях – Анатолия, Месопотамия – и союз с Грузией 31

Русудан Табукашвили, Теа Борчхадзе

Язык – фактор социальной идентичности и социолингвистические аспекты термина 39

Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе

Экология перевода. Ошибки при переводе 44

Майя Джавахидзе

Проекция человека в метафорах, обозначающих насекомых в грузинском и

итальянском языках 48

Майя Джавахидзе

Концептуализация сердца на основе когнитивной лингвистики

(На материале грузинского и итальянского языков) 59

ფილოლოგია

Philology

Филология

თანამედროვე ერგონიმთა პრაგმატიკული ასპექტი /ფრანგული და ინგლისური ენების მასალაზე/

ციური ახვლედიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

გიორგი ყუფარაძე †

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 599 580 545/551 580 545
E-mail: Kuparadze.george@gmail.com

რეზიუმე

ჩვენ ნაშრომში განიხილება თანამედროვე ფრანგული და ინგლისური ენების ერგონიმები პრაგმატიკულ კონტექსტში. შეისწავლება პარიზისა და ლონდონის საქორწინო სალონთა სახელწოდებები. კვლევის მიზანია ნომინაციის სახეობათა ანალიზი. საკითხის შესწავლის შეპირისპირებითა მეთოდმა მოგვცა საშუალება გამოგვევლინა, ფრანგულ და ინგლისურ ენებში, განსაზღვრული უნივერსალურობა, რაც ვლინდება საქორწინო სალონების სახელწოდებათა შექმნის ხერხებში. ნომინატორები ფართოდ გამოიყენებენ ისეთ სიტყვა-სიმბოლოებს, რომლებიც იწვევენ დადებით ასოციაციებს, რაც მნიშვნელოვანია საწარმოს იმიჯის ამაღლებისათვის. ეს კი მოწმობს ერგონიმთა პრაგმატიკულ მართულებას მოცემულ ენებში.

საკვანძო სიტყვები:

ერგონიმები, საქორწინო სალონები, ნომინაციის ხერხები, პრაგმატიკა.

შესავალი

ბოლო ათწლეულებში მარკეტოლოგთა და რეკლამის სპეციალისტთა დაქინებული ყურადღების ქვეშ მოექცა საწარმთა და ორგანიზაციათა სახელწოდებანი, როგორც კლიენტთა მიზიდვის საშუალება. სხვადასხვა სტრუქტურათა სახელწოდებებისადმი მზარდი ინტერესი განპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცვლილებებით, რაც პროვოცირებს მათ განცალკევებას ონიმთა განსაკუთრებულ კატეგორიად. ამ ლექსიკური ჯგუფის აღსანიშნად, ლინგვისტიკაში არსებობს უკვე დადგენილი ტერმინი – ერგონიმები (ბერძ. Ergos – საქმე). ამ ტერმინის ყველაზე მეტად გავრცელებული განმარტებაა: “ერგონიმი - ონიმთა ჯგუფი; საკუთარი სახელი ადამიანთა საქმიანი გაერთიანებისა, მათ შორის კავშირისა, ორგანიზაციისა, დაწესებულებისა, კორპორაციისა, საწარმოსი, საზოგადოებისა და წრეებისა“ [Подольская Н. 1988: 151].

ძირითადი ნაწილი

ერგონიმთა ფუნქციების საკითხი დღეს არაერთმნიშვნელოვნად წყდება. თითოეული მკვლევარი გამოყოფს ლექსიკის ამ ჯგუფის სხვადასხვა ფუნქციებს, თუმცა აღინიშნებიან მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანნი. ერგონიმთა ძირითადი ფუნქციებია ნომინატორული (სახელდებითი, საკუთრივ ობიექტის სახელწოდება, რომელიც ემსახურება ამ საწარმოს იდენტიფიკაციასა და დიფერენციაციას სხვა ანალოგიურთა შორის); ინფორმაციული, რომელიც გათვალისწინებულია ობიექტის აღნიშვნისას, ანუ ერგონიმი შეიცავს მის შესახებ ყველანაირ ცოდნას. საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, საწარმოს სახელწოდება მისი იმი-

ჯის ელემენტად იქცა, როგორც კლიენტთა მიზიდვისა და შესაბამისად, კონკურენტებთან ბრძოლის საშუალება. აქედან გაჩნდა ერგონიმთა ენობრივი ზემოქმედების ფუნქციები: სარეკლამო (ორგანიზაციის მიმზიდველი იმიჯის შექმნა), ატრაქციული (მყიდველის ყურადღების მიპყრობა, საქონლის შექმნისა ან მომსახურებისადმი მისი სტიმულირება). სახელწოდებაში ნაგულისხმევი ინფორმაციისა და მიწოდების ხერხის წყალობით, ერგონიმები ხელს უწყობენ მთავარი მიზნის - პოტენციალურ კლიენტთა ყურადღების მიპყრობას. თანამედროვე ერგონიმებში ხშირად არსებობს იმპლიციტური ინფორმაცია, ანუ ისეთი ინფორმაცია, რომელიც აშკარად არაა გამოხატული სახელწოდებაში, მაგრამ ქვეტექსტის სახით, ნაგარაუდევია ადრესატისათვის. იმპლიციტური ინფორმაციის გამოყენება, მომხმარებლის ცნობიერების მანიპულირების ხერხით, გავრცელებული მოვლენაა ერგონიმიაში. მეწარმე ისწრაფვის შეარჩიოს თავისი დაწესებულებისათვის ისეთი უნიკალური სახელწოდება, რომელიც გამოარჩევს მას სხვა მსგავსთაგან და ამით მიიზიდავს პოტენციურ კლიენტებს. ასეთი ერგონიმი ვარაუდობს ადრესატზე ზემოქმედებას, ანუ იგი ფლობს პრაგმატიკის ფუნქციას.

პრაგმატიკა - სემიოტიკის ნაწილია, რომელიც შეისწავლის ურთიერთობებს ნიშნობრივ სისტემებსა და მათ მომხმარებელთა შორის. ერგონიმი, კონკურენტული ეკონომიკის პირობებში, ხდება საწარმოს იმიჯის ელემენტი, მეპატრონისა (ნომინატორისა) და კლიენტის (ადრესატის) დიალოგის ელემენტი. ერგონიმთა პრაგმატიკული ასპექტი ნათლადაა გამოხატული იმ ევროპულ სახელმწიფოთა ენებში, რომლებშიც განვითარებულია კონკურენტული ეკონომიკა. ამიტომაც ინტერესს წარმოადგენს ლექსიკის ამ პლასტის შესწავლა იმ მიზნით, რომ გამოვალინოთ ერგონიმთა უნივერსალური და სპეციფიკური ნიშნები. ჩვენი კვლევის მასალად შერ-

ჩეულია პარიზისა და ლონდონის საქორწინო სალონთა 300 სახელწოდება. ყოველ ქვეყანაში, საქორწინო ტრადიციებს საკუთარი მდიდარი ისტორია აქვთ. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ისინი ვითარდებოდნენ სხვადასხვაგვარად და გააჩნიათ თავიანთი თავისებურებანი. კულტურათა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთქმედების პროცესში, ევროპული კულტურის ტრადიციათა მქონე ქვეყნებში, ჩამოყალიბდა ისეთი საქორწინო მოდა, როგორსაც ვხედავთ დღეს და რომლისთვისაც აუცილებელი ატრიბუტია თეთრი საქორწინო კაბა.

საქორწინო სალონთა სახელწოდებებს არა აქვთ ხანგრძლივი ისტორია. ევროპაში მათი გაჩენა უკავშირდება პირველი მოდის სახლების შექმნას XIX საუკუნეში, რომელთაც მაშინ მოიხსენიებდნენ მათ ფუძემდებელთა სახელებით. მაგალითად, საფრანგეთში, ასეთი იყო “House of Worth” – პირველი ოფიციალური “ელეგანტურობის პაგილიონი”, რომელიც გახსნა ჩ. უორტმა 1858 წელს. XX საუკუნის დასაწყისში, პარიზში გაჩნდა მაღალი მოდის სახლები, მაგალითად, “Chanel”, “Christian Dior” და სხვ. მოდის სახლები კლიენტებს სთავაზობდნენ საქორწინო მორთულობა-მოკაზმულობასა და აქსესუარებს, ისინი მიიხნევიან თანამედროვე საქორწინო სალონთა წინაპრებად. საქორწინო მოდის განვითარებამ და დიდი რაოდენობის საქორწინო სალონთა გაჩენამ წარმოშვა მათი დიფერენცირების აუცილებლობა, ასევე ბრძოლა კლიენტთა ყურადღების მისაქცევად. ამიტომაც, თანამედროვე ქალაქებში, საქორწინო სალონები ბრწყინავენ სხვადასხვაგვარი, ჭრელი და ბრჭყვიალა აბრებით, რითაც იზიდავენ პოტენციურ მყიდველთა მზერას. მათი სახელწოდებები კი უფრო და უფრო ორიგინალურები ხდება. ფრანგულ და ინგლისურ ენებში, საქორწინო სალონთა სახელწოდებების ანალიზის დროს, განვსაზღვრეთ ყველაზე მეტად გავრცელებული თემატური ჯგუფები (ესენი შეიძლება

იყენენ სიტყვები, სიტყვაშეერთებები და წინადადებები, მოღვაწეობის დროები (ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ასოცირდებიან მომავალ მოვლენებთან): ინგლ. **Kiss the bride, Bride & Groom, Bridal Caprice;** ფრანგ. **L'empire du mariage, Étoile du mariage, Dis moi... oui.** ამ ჯგუფის სახელწოდებები პოტენციურ მყიდველს აუწყებენ ინფორმაციას იმ საქონლის დახასიათების შესახებ, რომელიც რეალიზდება ამ დაწესებულებაში. ეს ჯგუფი ფორმირებულია იმ სახელწოდებებიდან, რომლებიც შეიცავენ ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან ქორწილის მოტივებს, როგორებიცაა **bride, wedding, marriage** და ა. შ. კონცეპტი «სიყვარული»: ინგლ. **With Love, The lovers, Amore;** ფრანგ. **Coeur d'Amour, Zen d'amour, Amour-Caftan.** ცნებები “სიყვარული” და “ქორწილი” განუყოფლადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. სავსებით ბუნებრივია, რომ სიტყვა “სიყვარული”, ცოლ-ქმრობის კონტექსტში, თითოეულ ენაში იწვევს დადებით ასოციაციებს. სახელწოდებათა სახით, გამოიყენება სიტყვები, რომლებიც, როგორც წესი, ყველასათვის გასაგებია; როგორებიცაა **love, amour, amore.** ემოციურ-შემფასებლური და გრძნობითი მახასიათებლები: ინგლ. **She's so beautiful, It's perfect, Grandiose,** ფრანგ. **Chic et mignonne, Fortunée, Confidence.** ერგონიმა ეს ჯგუფი გამოხატულია ემოციურ-გრძნობითი და შემფასებლური ლექსიკით, რაც აპელირებს მყიდველის გრძნობებსა და ემოციებზე და ამგვარად იზიდავს მის ყურადღებას. კონცეპტი «დრო»: ინგლ. **Always and Forever, Magic moments, One special day;** ფრანგ. **Ceremony day, Happy day factory.** ქორწილი – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ნათელი მომენტი ადამიანის ცხოვრებაში, რომელიც მრავალმხრივ განსაზღვრავს მის მომავალს. ამიტომაც, ისეთი ცნებები, როგორებიცაა **დღე, მომენტი, მომავალი** გამოიყენება ამ დღისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებისათვის. ანთროპონიმები (ქალის სახელები):

ინგლ. **Ingrida, Elizabeth Todd, Angelica;** ფრანგ. **ademoiselle Rose, Maria Luisa, Catherine Varnier.** საქორწინო სალონის ძირითადი ვიზიტორია პატარძალი და ნომინატორის აზრით, სალონისათვის ლამაზი ქალის სახელის დარქმევა ბუნებრივია, რადგან ეს იწვევს სასიამოვნო ასოციაციებს. მამაკაცის სახელები: ინგლ. **David Fielden, Bruce Oldfield, The House Of Nicholas;** ფრანგ. **Olivier Petigny, Paule Vasseur, Jules et Moi.** გარდა ამისა, ქალთა და მამაკაცთა სახელებს შეუძლიათ შეასრულონ ინფორმაციული ფუნქცია: მიაწოდონ ცნობები იმ დიზაინერის შესახებ, რომლის შემოქმედებაც წარმოდგენილია სალონში, ასევე ცნობებიც სალონის დამაარსებლის შესახებაც. ტოპონიმები: ინგლ. **Young England; The London Wedding; London Bride Couture;** ფრანგ. **Paris Mariage, Les Mariées de Provence, Miss Robe de Paris.** ეს ერგონიმები შეიცავენ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, რომლებიც იუწყებიან სალონის მდებარეობის ადგილს. ისინი წარმოადგენენ ისე დიდად ცნობილ ტოპონიმებს, რომლებიც კლიენტში იწვევენ დადებით ემოციებს. მაგალითად, პარიზი ითვლება მსოფლიო მოდის დედაქალაქად და ასოცირდება საუკეთესო დიზაინერულ შემოქმედებასთან. ტურისტთა შორის, ყველაზე მეტად პოპულარულია საფრანგეთის რეგიონი - პროვანსი და იტალიისა - ვენეცია. ვერსალის სასახლე ასოცირდება სიმდიდრესთან და ბრწყინვალეობასთან. მითონიმები: ინგლ. **The house of Esther, Golden Sash, My Eden;** ფრანგ. **Le sommeil d'Orphée, Aphrodite, Les mariées d'Aphrodite.** მითონიმების არჩევა სახელწოდებებად შემთხვევითი არ არის: თითოეული მითიური პერსონაჟი წარმოადგენს სიმბოლოს. ყველაზე პოპულარული პერსონაჟია აფროდიტე - ბერძნულ მითოლოგიაში, ქალღმერთი სილამაზისა და სიყვარულისა, ნაყოფიერებისა, მუდმივი გაზაფხულისა და სიცოცხლისა. ვესტა (Vesta) – ქალღმერთი, მფარველი ოჯახური კერისა, ამური – სიყვარულის ღმერთი ძველრომაულ

მითოლოგიაში, ფერია - ევროპულ მითოლოგიაში – ქალი, რომელიც ფლობს ჯადოსნურ ცოდნასა და ძლევამოსილებას, ჩვეულებრივ, ეს არის კეთილი ჯადოქარი.

ფერი: ინგლ. **White Angels, Made in Ivory, Azure;** ფრანგ. **Diamant Blanc, White one, Nuit Blanche.** ერგონიმა ამ ჯგუფში ლიდერობს თეთრი ფერი, რადგან კულტურათა უმეტესობაში, ეს ფერი იწვევს კეთილ ემოციებს, წარმოადგენს სიწმინდისა და უმანკოების სიმბოლოს. თეთრი და მისი ელფერები - საქორწინო კაბისა და მთლიანად ქორწილის ძირითადი ფერებია. ასევე გამოვლინდა სახელწოდებებში წითელი ფერისა და მისი ელფერების გამოყენება. წითელი (აღისფერი) ფერის სიმბოლური მნიშვნელობებია სიხარული, სილამაზე, სიყვარული.

რიცხვი: ინგლ. **Les trois soeurs, The one, One Love One life,** ფრანგ. **White One.** ციფრი «ერთი», რომელიც ჭარბობს სხვა ციფრებს, აღნიშნავს, ერთი მხრივ, ცოლისა და ქმრის ერთობას, მეორე მხრივ კი - პატარძლის განსაკუთრებულობას, განუმეორებლობას. ღონღონში ციფრები, რომლებიც სახელწოდებებშია წარმოდგენილი, უკავშირდებიან უშუალოდ სალონთა შემქმნელებს. მაგალითად, სალონი **“Les trois soeurs”** დაარსებულია სამი ფრანგი დის მიერ.

მხატვრულ ნაწარმოებთა, ზღაპრებისა და ფილმების, ასევე მათ პერსონაჟთა სახელწოდებები: ინგლ. **Mirror Mirror; Fairytale; Kiss a frog,** ფრანგ. **Princes et Princesses, Au Palais des Princesses, Fée pour Elles.** ზღაპრული გმირები გვასხენებენ სასწაულს, გრძნეულობას, ბავშვობის სასიამოვნო მოგონებებს და ამიტომაც იწვევენ კლიენტთა ნდობას. ნომინატორთა აზრით, ნაწარმოებთა და ფილმთა გმირები, თავიანთი სასიყვარულო ისტორიებით, სტიმულირებენ დადებით ემოციებს.

მცენარეთა სამყაროს (ყვავილების) სახელწოდებები: ინგლ. **Acacia, Orange blossom, Rose;** ფრანგ. **Hyacinthe Création, Graine de Coton, Com'une Orchidée.** ცნობილია, რომ

ზოგ ყვავილს მინიჭებული აქვს განსაზღვრული აზრი და იწვევს დადებით ასოციაციებს. ორქიდეა – სიყვარულის, ჰარმონიის სიმბოლოა, ჩინეთში მიიჩნევა ქალური სილამაზის, დახვეწილობისა და სინატივის სიმბოლოდ. ბერძნულ მითოლოგიაში, ვარდი სიმბოლოა მუდმივი სიყვარულისა და მგზნებარებისა. იაპონური საკურა – ტრადიციული სიმბოლოა ქალური სილამაზისა და ახალგაზრდობისა. კამელიის უძველესი წარმოშობა და რომანტიკული სილამაზე მრავალ მითთა და იდუმალებით მოცულ ისტორიათა წყაროდ იქცა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში – იგი სიმბოლოა სილამაზისა, ქალურობისა და მიუკარებლობისა. სახელწოდებები ცხოველთა სამყაროდან: ინგლ. **The mews of Notting Hill, Goldfish;** ფრანგ. **Les papillons de Paris.**

საქორწინო სალონთა სახელწოდებების სიტყვაწარმოებითი ანალიზი ადასტურებს, რომ ფრანგულ და ინგლისურ ენებში, ერგონიმა შექმნისას, ყველაზე მეტად პოპულარულია ლექსიკურ-სინტაქსური ხერხი; მთავარი ერთეულია სიტყვაშეერთება (**Bride & Groom, Unique Dress, Nuit Blanche, Amour Caftan**), რადგან იგი შეიცავს მეტ ინფორმაციას, ვიდრე ცალკე სიტყვა.

დასკვნა

ამგვარად, ერგონიმები წარმოადგენენ თანამედროვე ენობრივი სიტუაციის განსაკუთრებულობათა გამოვლენის ერთ-ერთ ფორმას. ფრანგული და ინგლისური საქორწინო სალონების სახელწოდებათა კვლევამ გამოავლინა განსაზღვრული უნივერსალიები: სახელწოდებათა უმეტესობა მიმართულია პოტენციური კლიენტის ყურადღების მიპყრობისადმი საწარმოს მიმართ იმ მიზნით, რომ გაუღვიძოს მას ამ დაწესებულების საქონლის შეძენის სურვილი. ნომინატორები აქტიურად იყენებენ ისეთ სიტყვა-სიმბოლოებს, რომლებიც იწვევენ დადებით ასოციაციებს საწარმოს იმიჯის მიმართ. შესაბამისად, ეს ლექსიკური ჯგუფი ვარაუდობს

ნომინატორის სიტყვიერ ზემოქმედებას აღ-
რესატზე, ანუ ერგონიმის პრაგმატიკული
მიმართულება აშკარადაა გამოვლენილი.

ლიტერატურა

1. Cotticelli Paulo, Rizza Alfredo (2018):
Language, Media and Economy in Virtual and Real
Life: New Perspectives. Cambridge Scholars
2. Takhtarova Sv. (2015): The Role of English
in Shaping the Linguistic Landscape of Paris, Berlin
and Kazan, Procedia - Social and Behavioral
Sciences 199:453-458
3. Pitina Sv. (2015): English Language Influence
on Russian Commercial Names. US-China Foreign
Language, Vol. 13, No. 12, 869-874
4. Solvita Poseiko Burr (2014): Ergonyms of
Educational and Cultural spheres in two of Baltic
States cities. Journal of Education Culture and
Society No 1(1):299-311
5. Boucher A. (2011): Ergonomie. Paris
6. Hubault F., Noulin M. (1996): Trait 
d'ergonomie, Toulouse
7. Подольская Н. (1988): Словарь ономасти-
ческой терминологии. Москва

The Pragmatic Aspect of Modern Ergonyms /On the material of French and English Languages /

Tsiuri Akhvlediani
Tbilisi State University
Faculty of Humanities
36 Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel.: 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

Giorgi Kuparadze †
Tbilisi State University
Faculty of Humanities
36 Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel.: 599 580 545/551 580 545
E-mail: Kuparadze.george@gmail.com

Abstract

Our joint paper deals with the ergonyms of modern French and English in the context of pragmatics. In the process of scrupulous contrastive analysis, the names of wedding salons in London and Paris have been observed and studied. The aim of the research is to investigate the methods of nomination. The comparative-contrastive method of study made it possible to reveal a certain versatility in English and French, which has manifested itself in the ways of naming wedding salons. Nominees widely use symbolic words that evoke positive associations, which, in its turn, is so important for enhancing the company's image. This indicates the pragmatic orientation of ergonyms in the languages under analysis.

Keywords:

ergonyms, wedding salons, nomination methods, pragmatics.

Прагматический аспект современных эргонимов /на материале французского и английского языков/

Ахвледиани Циური Александровна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

Купарадзе Георгий Нодарович †
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 580 545/551 580 545
E-mail: Kuparadze.george@gmail.com

Резюме

В нашей работе рассматриваются эргонимы современного французского и английского языков в контексте прагматики. Изучаются наименования свадебных салонов Лондона и Парижа. Целью исследования является анализ способов номинации. Сопоставительный метод изучения позволил выявить в английском и французском языках определенную универсальность, проявившуюся в способах наименований свадебных салонов. Номинаторы широко используют слова-символы, вызывающие положительные ассоциации, что важно для повышения имиджа предприятия. Это свидетельствует о прагматической направленности эргонимов в данных языках.

Ключевые слова:

эргонимы, свадебные салоны, способы номинации, прагматика.

საფეხბურთო ლექსიკის სიტყვამაწარმოებელი საშუალებები /ფრანგული, ინგლისური, იტალიური და ესპანური ენების მასალაზე/

ციური ახვლედიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

გიორგი ყუფარაძე †

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ.: 599 580 545/551 580 545
E-mail: Kuparadze.george@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში განიხილება ოთხი ენის (ფრანგული, ინგლისური, იტალიური და ესპანური) ყველაზე მეტად გავრცელებული სიტყვამაწარმოებელი საშუალებები ფეხბურთის ლექსიკის სფეროში. საფეხბურთო ლექსიკის შეპირისპირება ადასტურებს, რომ საანალიზო ოთხივე ენაში, საფეხბურთო ლექსიკის სიტყვამაწარმოება ხდება ერთნაირი კანონებითა და პრინციპებით. სინქრონული ჭრილის დონეზე, როგორც განხილული მასალის ანალიზმა აჩვენა, ფეხბურთის დისკურსის სფეროში, ახალ ლექსიკურ ერთეულთა შექმნის პლანში, ესპანური ენა მეტად აქტიური და მოძრავია სხვა ენებთან შედარებით.

საკვანძო სიტყვები:

ტერმინოლოგია, ფეხბურთი, ნასესხობები, დერივაცია, ვარიაცია, მეტაფორა, ანგლიციზმი.

შესავალი

საანალიზო ენებში (ფრანგული, ინგლისური, იტალიური და ესპანური), ფეხბურთის ლექსიკის სიტყვამაწარმოებელი საშუალებებია: პრეფიქსაცია, სიტყვათხზვა (ორი ან მეტი ფუძის მორფოლოგიური თხზვა), ნასესხობები, სემანტიკური ცვლილებები მსგავსებისა (მეტაფორა) და მომიჯნავეობის (მეტონიმია) საფუძველზე, თემატური ჯგუფის ლექსიკა.

ძირითადი ნაწილი

ესპანურ საფეხბურთო ლექსიკაში ყველაზე მეტად გავრცელებული პრეფიქსებია – **anti-, contra-, des-**. პრეფიქსები **anti-** და **contra-** უარყოფენ იმ სიტყვის ფუძის მნიშვნელობას, რომელსაც ემატებიან, მაგალითად: ესპან. **Antifutbol** აღნიშნავს ისეთი თამაშის მანერას, როდესაც თავდამსხმელი არ ავლენს ბურთის გატანის დიდ სურვილს; ფრანგ. **Antifutbol**; ინგლ. **Anti-football**; იტალ. **Anti-futbol**; ესპან. **Contraataque** – საპასუხო შეტევა; ფრანგ. **Contre-attaque**; ინგლ. **Counterattack**; იტალ. **Contropiede**.

პრეფიქს **des-**ს აქვს წინააღმდეგობის მნიშვნელობა: ესპან. **Desdoblar** – გაშლა (**Doblar** – შეხვევა); ფრანგ. **Déplier**; ინგლ. **Deploy**; იტალ. **Dispiegare**. **Desequilibrar** – წონასწორობის დაკარგვა (**Equilibrar** – გაწონასწორება); ფრანგ. **Déséquilibre**; ინგლ. **Dis-equilibrium**; იტალ. **Squilibrio**.

პრეფიქსი **Semi-** აღნიშნავს რაიმეს ნახევარს: ესპან. **Semifinal** – ნახევარფინალი; ფრანგ. **Semi-finale**; ინგლ. **Semi-final**; იტალ. **Semi-finale**.

პრეფიქსი **Super** აძლიერებს იმ ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობას, რომელსაც უერთდება: ესპან. **Supercopa** – სუპერთასი;

ფრანგ. **Supercoupe**; ინგლ.**Supercup**; (**Super-Bowl**); იტალ. **Supercoppa**.

იტალიურ ენაში გვხვდება მსგავსი პრეფიქსები: **anti-, auto-, contro-**. მაგალითად, **anticalcio** – თამაშის მანერა, რომლის დროსაც გუნდის მთელი ძალები გადასროლილია თავდაცვით ფეხბურთზე, რაც არ გვიჩვენებს საინტერესო ორლესულ თამაშს; ფრანგ. **Anticalc**; ინგლ.**Anticalc**; ესპან. **Anticalc**. იტალ. **controbalzo** – ტექნიკური მოძრაობა, რომლის მიზანიც არის ბურთის უფრო ძლიერი დარტყმა მიწასთან შეხების მომენტში; ესპან. **Contrapeso**; ინგლ.**Counterweight**; ფრანგ. **Contrepoids**.

პრეფიქსს **s-** გააჩნია დაპირისპირებულობის მნიშვნელობა: იტალ. **smarcarsi** – განთავისუფლება მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშის მეურვეობისაგან; ფრანგ. **s'écarter du chemin**; ინგლ. **takeoutofway**; ესპან. **quitate del medio**.

Semi- აღნიშნავს რაიმეს ნახევარს: **semi-ovesciata** – ნახევარბრუნით დარტყმა ნახტომში; ფრანგ. **semi-inversion**, ინგლ. **Semi-inversion**; ესპან. **semirreversión**.

საფეხბურთო ლექსიკის სიტყვაწარმოების კიდევ ერთი გავრცელებული ხერხია სიტყვათხზვა – ორი ან მეტი ფუძის მორფოლოგიური თხზვა. ესპანურში შეინიშნება 4 სიტყვა: **bocajarro** (მიბრჯენით), რომელიც მომდინარეობს ფუძიდან **boca** – “პირი” და **jarro** – „დოქი”; **centrocampista** (“ნახევარმცველი”, **centro** – ცენტრი, **campo** – მინდორი და სუფიქსი – **ista**); **guardameta** (“მეკარე” – **guarder** “დაცვა” **dameta** – “კარი”). ინგლ. **Midfielder** („მოედნის შუაგულში მოთამაშე);

იტალიურ ენაში გვხვდება სიტყვები, ნაწარმოებნი შერწყმის გზით: **rasoterra** (“მიწაზე”- **raso** – “პირისპირ” და **terra** – “მიწა”); **fuorigioco** (“თამაშგარე” – **fuori** „გარე” – **da gioco** – “თამაში”); **bianconero** (“შავ-თეთრი”, შერწყმის გზით ზედსართავი სახელისა **bianco** – “თეთრი” და **nero** – “შავი”). ინგლ. **Offside**;

იტალიურ ენაში გაჩნდა სიტყვათხზვის მოდელი ფორმანტით – **opoli**, რომელსაც, ძირითადად, იყენებენ ჟურნალისტები. ამ ფორმანტს აქვს “სკანდალის” მნიშვნელობა: **tangentopoli** (“**tanjentopoli**” – სკანდალი, რომელიც უკავშირდება მექრთამეობას იტალიის მთავრობაში), ინგლ. **Bribesville**; **bancopoli** (“**bankopoli**” – ფინანსური სკანდალი იტალიაში), **cementopoli** (“**Cementopoli**” – სკანდალი, რომელიც უკავშირდება უკანონო მშენებლობას იტალიაში). რაც შეეხება საფეხბურთო ლექსიკას, მთელი მსოფლიო იყო მოწმე იტალიური ფეხბურთის სკანდალისა, 2006 წელს, რომელმაც მიიღო სახელწოდება **Calcipoli** – “**kalCopoli**” – კორუფციული სკანდალი, დაკავშირებული მექრთამეობასთან ფეხბურთში.

ფეხბურთის ლექსიკის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს ნასესხობებიც. ნასესხობები, ძირითადად, ინგლისური ენიდანაა: **cross** – კროსი, **missile** – რაკეტა, **Champions** – ჩემპიონთა ლიგა, **córner** – კუთხური დარტყმა. ნიმუშები ესპანური ტრანსლაციიდან: «...**con lo que se perdería también los tres partidos de la liguilla de la Champions League**» (შეიძლება გამოვტოვოთ ასევე სამი მატჩი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპისა). «**Los romanos llegaron a ganar por 3-1, pero un “hat trick” de Shevchenko...**» (რომაელები იგებდნენ 3-1, მაგრამ შევჩენკოს “ჰეტ-ტრიკმა” ...). ტურინიდან, მაგალითად, “კატენაჩჩო” (**catenaccio**), ტაქტიკური წყობა, რომელიც მიმართულია დაცვისათვის, **bianconeri** (შავ-თეთრები – მეტსახელია, ტურინის “იუვენტუსის” ფორმის ფერის გამო): «**El “catenaccio” diseñado por Cesare Maldini permitió controlar ...**» («კატენაჩჩომ», რომელიც მოაწყო ჩეზარე მალდინიმ, საშუალება მისცა კონტროლირებას), «**La noche más difícil para la “vecchia signora” de Turín**» (ყველაზე მძიმე ღამე “მოხუცი სინიორასათვის” ტურინიდან).

ესპანური ფეხბურთის ლექსიკაში, იტალიანიზმები, ანგლიციზმების შემდეგ, მეო-

რე ადგილს იკავებენ ნასესხობათა საერთო რაოდენობაში. საფეხბურთო ლექსიკის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებენ სემანტიკური ცვლილებები მსგავსებისა (მეტაფორა) და მომიჯნავეობის (მეტონიმია) საფუძველზე. სპორტული ღონისძიებები, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში - ფეხბურთის მატჩი, გაიგივებულია ბრძოლის ველთან. ტაქტიკური წყობა, შეტევა, თავდაცვა, ფლანგები - ფეხბურთში ყველაფერი ისეა, როგორც ომში: შეტაკება - **contienda** (ესპ.), **scontro** (იტალ.), **choc** (ფრანგ), **crash** (ინგლ.). **dueli** - **duelo** (ესპ.), **duello** (იტალ.), **duel** (ფრანგ), **duel** (ინგლ.). ბომბარდირი - **pistolero** (ესპ.), **tireur** (ფრანგ), **striker** (ინგლ.), **cannoniere** (იტალ.). ამ ბოლო მაგალითში, გამოყოფილია ფუძე-სიტყვა - **pistol** (**pistol** - პისტოლეტი) და **cannon** (**cannone** - საარტილერიო ქვემეხი, ზარბაზანი).

ფეხბურთის მატჩს ხშირად აღარებენ რაიმე საიდუმლო-საიქიოს: **punto fatídico** (ესპ.) - საბედისწერო წერტილი, აგბედითი წერტილი (წერტილი პირდაპირი საჯარიმო დარტყმის შესრულებისათვის, თერთმეტმეტრიანი პენალტი). პენალტისათვის მსგავსი მეტაფორები არც ინგლისურ და იტალიურ ენებში არ იძებნება: (ინგლ.) **Penaltykick**, **Grupo de la muerte** (ესპ.) და **gruppo della morte** (იტალ.); **deathrow** (ინგლ.) - «სიკვდილის» ჯგუფი, ანუ ისეთი ჯგუფი, რომელიც შედგება ძალიან ძლიერ მეტოქეთა გუნდისაგან. **Matar a pelota** (ესპ.) - ბურთის “მოკვლა”, ანუ მისი ძალიან კარგად კონტროლირება. ასევე გვხვდება ისეთი მეტაფორებიც, რომლებიც უკავშირდება ადამიანის სხეულს: «**Si sufren los culés, qué no va a sufrir**“ ტერმინი **culé** სინონიმია სიტყვისა **barcelonista**, ანუ იგულისხმება ადამიანი, რომელიც უკავშირდება საფეხბურთო გუნდს «ბარსელონას». «ბარსელონას» გულშემატკივრები იწოდებიან **culés**-დ, რადგან ძველ სტადიონზე, რომელიც მდებარეობს **Industria de Barcelona**-ს ქუჩაზე, შეიძლება

დავინახოთ გულშემატკივართა საჯდომები.

საფეხბურთო ლექსიკა იყენებს თემატური ჯგუფის “მშენებლობის” ლექსიკასაც, მაგალითად: **construcción del juego** (ესპ.); **game building** (ინგლ.) - თამაშის წყობა, **construir el ataque** (ესპ.); **build attack** (ინგლ.) - შეტევის აგება. მაგალითად: «**un trabajo acerca de la construcción táctica del sistema 1-3-4-3 en fútbol**» **Football Formation 1/3/4/3** (მუშაობა სისტემის ტაქტიკურ აგებაზე: 1-3-4-3 / მეკარე - სამი მცველი - ოთხი ნახევარმცველი - სამი თავდამსხმელი - ფეხბურთში). **Costruire** (იტალ.) **costruire la barriera**; (ინგლ.) **tobuildawall** - «კედლის» აგება. მაგალითად: «**Per costruire il gioco in maniera efficace è opportuno muoversi negli spazi creati...**» (თამაშის ეფექტური მანერის შექმნისათვის, აუცილებელია შექმნილი სივრცის გამოყენება ...). **Fabricar un gol** (ესპ.) - გოლის შექმნა; **pared** (ესპ.) **da barriera** (იტალ.) - «კედელი», ანუ დამცველი წყობა, რომელიც შეამცირებს კარებზე თავდასხმის სივრცეს; **túnel** (ესპ.) **da tunnel** (იტალ.) - «ტუნელი», ტექნიკური ქმედება, რომლის დროსაც ერთ-ერთი გუნდის მოთამაშე ჯობნის მეორე გუნდის მოთამაშეს, გააგორებს რა ბურთს მოწინააღმდეგის ფეხებს შორის. მაგალითად, «**David Luiz le hace un túnel a Neymar durante entrenamiento...**» (დავიდ ლუისმა გააგორა ბურთი ნეიმარის ფეხებს შორის ვარჯიშის დროს).

დასკვნა

საფეხბურთო ლექსიკის შეპირისპირება ადასტურებს, რომ საანალიზო ოთხივე ენაში, საფეხბურთო ლექსიკის სიტყვაწარმოება ხდება ერთნაირი კანონებითა და პრინციპებით. თუმცა, ფეხბურთის დისკურსის სფეროში, სინქრონული ჭრილის დონეზე, ახალ ლექსიკურ ერთეულთა შექმნის პლანში, შედარებით მეტად აქტიური და მოძრავია ესპანური ენა.

ლიტერატურა

1. Warshaw An. (3 February 2004): "The offside rule - explained!". The Guardian. Retrieved 24 May 2011
2. Antoni Nomdedeu Rull (2004): Terminología del fútbol y diccionarios: elaboración de un diccionario de especialidad para el gran público. Barcelona
3. Daniel Jacob (2004): "The Complete Guide to Coaching Soccer Systems and Tactics", Reedswain. pp. 178.
4. Freixa J. (2001) : Reconocimiento de unidades denominativas: incidencia de la variación en el reconocimiento de las unidades terminológicas. Barcelona
5. Nomdedeu y Márquez. (2001) : Los anglicismos en la terminología del fútbol: motivaciones y consecuencias lingüísticas. León

Ways of Word Formation of Football Lexis / On the material of French, English, Italian and Spanish Languages /

Tsiuri Akhvlediani
Tbilisi State University
Faculty of Humanities
36 Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel.: 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

Giorgi Kuparadze †
Tbilisi State University
Faculty of Humanities
36 Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel.: 599 580 545/551 580 545
E-mail: Kuparadze.george@gmail.com

Abstract

The present joint paper deals with the most common word formation methods in French, English, Italian and Spanish in the context of football lexis. The undergone contrastive comparison of football lexical inventory indicates that word formation process of football vocabulary occurs according to the stated and generalized laws and principles firmly existing in the abovementioned languages under analysis. As the analysis of the observed and discussed material has showed. at synchronous level, in the scope of football discourse, in terms of creating new lexical units, the Spanish language has revealed that it is relatively active and mobile.

Keywords:

terminology, football, borrowing, derivation, variation, metaphor, anglicism.

Способы словообразования футбольной лексики /на материале французского, итальянского, испанского и английского языков /

Ахвледiani Циури Александровна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 508 607
E-mail: tsiuriakhvlediani@yahoo.com

Купарадзе Георгий Нодарович †
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 580 545/551 580 545
E-mail: Kuparadze.george@gmail.com

Резюме

В статье рассматриваются наиболее распространенные способы словообразования французского, итальянского, испанского и английского языков применительно к футбольной лексике. Сопоставление футбольной лексики свидетельствует о том, что словообразование футбольной лексики происходит по одинаковым законам и принципам. Как показал анализ наблюдаемого и обсуждаемого материала четырёх языков, на синхронном уровне, в объеме футбольного дискурса, с точки зрения создания новых лексических единиц, испанский язык показал себя относительно активным и подвижным.

Ключевые слова:

терминология, футбол, заимствования, деривация, вариация, метафора, англицизм.

The Role of Presentations in the Process of Teaching

Rusudan Gotsiridze

Georgian Technical University

Department of Foreign Languages

77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.:593 301 342

E-mail: rusudangotsiridze@gmail.com

Abstract

The article deals with the issues related to the role of presentation in the process of teaching/learning. The main goal is to consider the use of multimedia presentation in the process of teaching/learning a foreign language. The principles of organizing this form of education, basic requirements for creating multimedia presentations and their use are being discussed.

Keywords:

information technologies, electronic presentations, multimedia presentations, a new approach to learning.

Introduction

The 21st century is the century of computer technologies. Modern students live in the world of electronic culture. The role of teachers in the information culture is also changing - they must become the coordinators of the information flow. Modern education cannot be imagined without multimedia technologies, which includes a set of computer technologies that simultaneously use several information media: graphics, text, video, photography, animation, sound effects, high-quality sound accompaniment, that is in all forms known today.

At present, higher educational institutions are faced with a difficult task - to provide conditions for the interest of each student in obtaining knowledge, skills and abilities. One of the many ways to develop

the cognitive activity of students is the use of a multimedia presentation. It is one of the most common forms of delivering educational material which allows to focus the audience's attention on the significant points of the information presented and create visual spectacular images in the form of diagrams, graphics, etc. A multimedia presentation is a new approach to learning. Electronic presentations can be considered as a didactic learning tool and attributed to electronic teaching aids.

Main Body

Multimedia presentations have the property of interactivity, which makes it possible to more efficiently adapt the educational material and make it personally meaningful for the student. The use of the presentation leads to more intensive participation in the learning process, which leads to an increase in the efficiency of perception and memorization of a large amount of educational material. Presentations increase learning motivation and, consequently, interest in the subject.

The use of computer presentations in an educational process allows to intensify the assimilation of educational material by students and conduct classes on a qualitatively new level, using projecting slide films from a computer screen instead of a classroom board.

With the active use of the presentation in the educational process, learning goals and objectives are more efficiently achieved. Students independently learn to analyze facts, compare them, structure them, express their thoughts in writing and orally, reason logically, listen and understand, make discoveries for themselves, and in further activities make decisions on their choice.

The efficiency of the impact of educational material on students largely depends on the degree and level of the illustrative material. Visual saturation of the educational material makes it bright and con-

vincing and promotes intensification of the process of its assimilation (Belyaeva I. G. et al, 2019)

Computer presentations allow students to focus on the important moments of the information presented and create visual spectacular samples in the form of illustrations, diagrams, graphic compositions, etc. The presentation allows to immediately influence several types of memory: visual, auditory, emotional and in some cases motor memory.

Interactivity allows to effectively adapt educational material to the characteristics of students. Interactivity leads to more intense participation in the process of learning, which contributes to the increase of efficiency of perception and memorization of educational material.

Presentations in the educational process can be used at various stages of the lesson, while its essence as a visual means remains unchanged, only its forms change, depending on the purpose of its use.

One of the most effective programs for creating presentations is Microsoft Power Point. It allows to create presentations in a short time. Considering great didactic possibilities of computer presentation knowledge, in the near future we should expect a more intensive use of computer presentations in education.

Compared to other visual technologies Power Point presentations win by the clarity of display, size, brightness, because of the combination of slide, text, animation and picture.

The Power Point presentation is used in an educational process in the following cases:

1. introduction and consolidation of lexical and grammatical material;
2. when explaining grammatical rules;
3. for the control of learned material.

Presentations can be used as a support in listening, retelling texts i.e. in the types of speech activities, which contribute to the mastery of basic communicative skills at an early stage.

Based on the experience, there are several practical tips for a successful multimedia presentation.

1. Power Point is a visual technique of presen-

tations. It does not replace the speaker, it is just a visual appendix to the main message.

2. It is enough to place 5-6 main points in the slide.

3. Students should present material that is understandable at first sight. Columns of numbers or piled

statistics are hard to read. It should be remembered that Power Point is prone to clear images: clear type, straight lines, bright and memorable images.

Presentations provide an opportunity to present carefully crafted information in an attractive way. Computer presentations help to organize and arrange all the material, following the logic of the presentation and store it in one file [Akhmedgareeva et al, 2012].

Animation is a very important element in presentations. The movement of individual parts of the slide will attract attention. All this increases interest in learning and contributes to better mastering of new material, and this is the purpose of a teacher's work.

When creating a presentation, the purpose of its creation should not be forgotten. To do this, it is necessary to create a presentation of a certain volume, since a visual sequence of more slides will cause fatigue and distract the student from the essence of the material being studied.

In educational presentations, it is desirable to reduce the text information to a minimum, replacing it with diagrams, drawings, photographs, fragments of films. The text may be presented in the form of the fundamental points of the message. It is necessary to constantly shift the attention of students to support for visual acuity. Inclusion (without prejudice to content) in the presentation of funny stories and fun facts creates a positive emotional mood, which contributes to the assimilation of the material and more durable memorization.

An important role is played by color combinations and consistency of style in the design of slides, musical accompaniment.

Presentations are a great way to make students

practise all language system areas (vocabulary, grammar, discourse and phonology) and skills (speaking, reading, writing and listening). They also build confidence, and presenting is a skill that most people will need in the world of work. Students who are good presenters are better communicators all round, since they are able to structure and express their ideas clearly.

Presentations can also form a natural part of task-based learning. By focusing on a particular language point or skill, the presentation is a very practical way to revise and extend book, pair and group work. The audience can also set a task, for example, a set of questions to answer on the presentation, which is a way of getting students to listen to each other [Hayton T. 2011]

Presentations evoke emotions and help to consolidate knowledge at the level of associations. Learning through presentations is suitable for people with different types of learning material, so it can be called universal.

One of the best parts of presentations is that they help the presenters to improve their communication skills. The presenter is learning how to give a presentation by doing it. To prepare a presentation, the presenter must know the intricate elements of what s/he is presenting and the rationale of their importance. In the presentation delivery, the presenter must be meticulous to ensure that everyone in the audience is able (and willing) to process the information provided.

Conclusion

Thus, information technologies make it possible to improve the educational process in higher educational institutions and increase its efficiency. The introduction of such information technologies in the educational process should not be a substitute, but a complementary factor in the system of modern education. However, the use of these complexes in the

professional training of future specialists allows to improve the quality of education, develop the creative abilities of students, as well as teach them to think independently and work with educational material, which contributes to their further continuous improvement throughout their lives.

Literature

1. Akhmetgareeva R.K., Maksudova E.S. (2012): Использование мультимедийных презентаций в процессе обучения иностранному языку, Методические указания. Казань

<https://www.kgasu.ru/upload/iblock/37d/metod.-rekomentatsii-Akhmetgareeva.pdf>

2. Belyaeva I.G., Samorodova E. A., Voron O. V., Zakirova E.S. (2019): Analysis of Innovative Methods' Effectiveness in Teaching Foreign Languages for Special Purposes Used for the Formation of Future Specialists' Professional Competencies

file:///C:/Users/User/Downloads/Analysis_of_Innovative_Methods_Effectiveness_in_T.pdf

3. Hayton T. (2011): Student presentations
<https://www.teachingenglish.org.uk/article/student-presentations>

პრეზენტაციების როლი სასწავლო პროცესში

რუსუდან გოცირიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უცხოურ ენათა დეპარტამენტი

კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი, საქართველო

ტელ.: 593 301 342

E-mail.: rusudangotsiridze@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში განხილულია პრეზენტაციის როლი და მისი გამოყენების გათვალისწინებული პირობები.

ღისწინება უცხო ენის სწავლება/სწავლის პროცესში, გაანალიზებულია განათლების ამ ფორმის ორგანიზების პრინციპები და მულტიმედიური პრეზენტაციების შექმნის ძირითადი მოთხოვნები.

Ключевые слова:

Информационные технологии, электронные презентации, мультимедийные презентации, новый подход к обучению.

საკვანძო სიტყვები:

საინფორმაციო ტექნოლოგიები, ელექტრონული პრეზენტაციები, მულტიმედიური პრეზენტაციები, ახალი მიდგომა სწავლისადმი.

Роль презентаций в учебном процессе

*Гоциридзе Русудан Арчиловна
Грузинский Технический Университет
Департамент иностранных языков
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 301 342
E-mail: rusudangotsiridze@gmail.com*

Резюме

В статье рассматриваются вопросы, связанные с ролью презентации и ее использование в процессе учения/обучения иностранному языку, анализируются принципы организации этой формы обучения и основные требования к созданию мультимедийных презентаций.

ჯვარედინი ფორმები ესპანურ გრამატიკაში (მსაზღვრელი თუ ნაცვალსახელი)

მარინე კობეშავიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ: 591 222 007
E-mail: mkobeshavidze@yahoo.com

ნინო ჭრიკიშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ: 598 165 756
E-mail: n.chrikishvili@yahoo.com

რეზიუმე

ესპანურ ენაში მეტყველების ნაწილების თავდაპირველმა კლასიფიკაციამ, რომელიც ათწევრა სისტემით იყო წარმოდგენილი, ევოლუციის საკმაოდ რთული გზა განვლო და რამდენჯერმე იცვალა სახე. ესპანური ენის პირველი გრამატიკის (1492 წ.) ავტორის - ანტონიო დე ნებრისას მიერ შემოთავაზებულმა კლასიფიკაციამ, რომელიც მოიცავდა სახელს, ნაცვალსახელს, არტიკლს, ზმნას, მიმდებარეს, გერუნდიუსს, ინფინიტიუსს, წინდებულს, ზმნიზედას (შორისდებულთან ერთად) და კავშირს, პირველი ძირეული ცვლილება XVIII საუკუნის დასაწყისში დაარსებული სამეფო აკადემიის გრამატიკის გამოქვეყნებით (1771 წ.) განიცადა. ესპანური ენის სამეფო აკადემია (RAE), რომელიც არ დაეთანხმა მეტყველების ნაწილების ნებრისასეულ კლასიფიკაციას, აქვეყნებს ახალ გრამატიკულ ნაშრომს, სადაც ნებრისას მიერ დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილებად გამოცხადებული გერუნდიუსი და ინფინიტიუსი გაერთიანებულია ზმნასთან, ხოლო ზმნიზედა და შორისდებ-

ული ცალ-ცალკე მეტყველების ნაწილებად არის წარმოდგენილი.

მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციამ კიდევ ერთხელ იცვალა სახე 2009 წელს. სწორედ ამ წელს გამოქვეყნდა აკადემიის გრამატიკის უახლესი ვერსია, სადაც მეტყველების ნაწილების ახალი კლასიფიკაცია ვიხილეთ. მეტყველების ნაწილების ჩამონათვალში გაჩნდა ახალი მეტყველების ნაწილი - მსაზღვრელი, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ განიხილებოდა, როგორც ზედსართავი სახელის ერთერთი ჯგუფი და მოიხსენიებოდა ტერმინით „განმსაზღვრელი ზედსართავი სახელი“ (ესპ. adjetivo determinativo). მეტყველების ნაწილების ახლებურად კლასიფიკაციის გარდა, სამეფო აკადემია გამოყოფს ჯვარედინ ფორმებს (esp. clases transversales). სწორედ ჯვარედინ ფორმებად არის მოხსენიებული კუთვნილების (esp. posesivos), ჩვენებითობის (esp. demostrativos), განუსაზღვრელობის (esp. indefinidos) აღმნიშვნელი ის ფორმები, რომლებიც სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა მეტყველების ნაწილს წარმოადგენენ. წინამდებარე სტატიაში განხილულია ჯვარედინი ფორმები და მათი ხან მსაზღვრელად, ხან კი ნაცვალსახელად გამოყენების ძირითადი შემთხვევები და მახასიათებლები. მოძიებულია ჯვარედინი ფორმების ქართული შესატყვისიც.

საკვანძო სიტყვები:

ესპანური ენის სამეფო აკადემია, ჯვარედინი ფორმები, მსაზღვრელი, ნაცვალსახელი.

შესავალი

ესპანური ენის განმარტებითი ლექსიკონის “Diccionario de Autoridades“ გამოქვეყნების შემდეგ (1726-1739 წწ.) სამეფო აკადემია მუ-

შაობას იწყებს კასტილიური ენის გრამატიკაზე. 1771 წელს იბეჭდება სამეფო აკადემიის მიერ შედგენილი პირველი და ესპანური გრამატიკული აზროვნების ისტორიისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი სახელწოდებით „Gramática de la lengua castellana“. ბუნებრივია, სამეფო აკადემია „კასტილიური ენის გრამატიკას“, ისევე როგორც „ესპანური ენის განმარტებით ლექსიკონს“, ესპანური ენის ევოლუციის შესაბამისად, პერიოდულად ანახლებს და წარმოადგენს რედაქტირებულ ვერსიებს.

ესპანური გრამატიკის ბოლო განახლებული ვერსია სამეფო აკადემიამ 2009 წელს გამოაქვეყნა. აკადემიის ნაშრომი სახელწოდებით „Nueva gramática de la lengua española“ არაერთი კუთხით, მათ შორის მეტყველების ნაწილების განსხვავებული კლასიფიკაციით, არის აღსანიშნი. მთავარი სიახლე, რაც აკადემიის უახლესმა გრამატიკამ მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციასთან შემოგვთავაზა, არის ახალი მეტყველების ნაწილი - მსაზღვრელი, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ განიხილებოდა, როგორც ზედსართავი სახელის ერთ-ერთი ჯგუფი და მოიხსენიებოდა ტერმინით „განმსაზღვრელი ზედსართავი სახელი“ (esp. adjetivo determinativo). ესპანეთის სამეფო აკადემიის მიერ 2009 წელს გამოცემულ განახლებულ გრამატიკაში „Nueva gramática de la lengua española“ ვკითხულობთ: „Los adjetivos determinativos se consideran determinantes en lugar de propiamente adjetivos,“ რაც ნიშნავს, რომ მსაზღვრელი აღარ არის ზედსართავი სახელის ერთ-ერთი ჯგუფი. იგი დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილია, რომელიც მეტყველების ნაწილების ჩამონათვალში მესამე პოზიციას იკავებს: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, მსაზღვრელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, წინდებული, კავშირი და შორისდებული. მეტყველების ნაწილების ახლებურად კლასიფიკაციის გარდა, სამეფო აკადემია გამოყოფს ჯვარე-

დინ ფორმებს (esp. clases transversales). სწორედ ჯვარედინ ფორმებად არის მოხსენიებული კუთვნილების (esp. posesivos), ჩვენებითობის (esp. demostrativos), განუსაზღვრელობის (esp. indefinidos) აღმნიშვნელი ის ფორმები, რომლებიც სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა მეტყველების ნაწილს წარმოადგენენ. როგორც განხილულმა მასალამ გვაჩვენა, ჯვარედინი ფორმები ძირითად შემთხვევაში წარმოადგენენ მსაზღვრელს ან ნაცვალსახელს.

მსაზღვრელი (esp. determinante) ახლავს ყოველთვის არსებით სახელს და აკონკრეტებს მის მნიშვნელობას: mi libro, nuestra casa, estos coches, algún problema ... მსაზღვრელს აქვს სქესისა და რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიები, რაც ნიშნავს, რომ მსაზღვრელი არსებით სახელს სქესსა და რიცხვში (რიგ შემთხვევებში მხოლოდ რიცხვში) უთანხმდება. მსაზღვრელის რამდენიმე ჯგუფს განარჩევს ესპანეთის სამეფო აკადემია (RAE), ესენია:

არტიკლი (esp. artículo): el, la, los ...

კუთვნილებითი (esp. determinante posesivo): mi, tu, su, mío, tuyo, suyo ...

ჩვენებითი (esp. determinante demostrativo): este, ese, aquel...

განუსაზღვრელობითი (esp. determinante indefinido): algún ...

კითხვითი (esp. determinante interrogativo): ¿Qué?, ¿Cuánto?...

ძახილის (esp. determinante exclamativo): ¡Qué!, ¡Cuánto!...

რაც შეეხება ნაცვალსახელს, ნაცვალსახელი (esp. pronombre) არის მეტყველების ნაწილი, რომელსაც აქვს მცვლელის ფუნქცია და გამოიყენება არსებითი სახელის ან ნომინალური სინტაგმის ჩასანაცვლებლად. ნაცვალსახელის გამოყენებით მითითება ხდება ობიექტზე ისე, რომ შესაბამისი არსებითი სახელი ან ნომინალური სინტაგმა არ დავასახელოთ. ნაცვალსახელი იღებს ჩანაცვლებული არსებითი სახელის სქე-

სისა და რიცხვის ფორმას, რაც ნიშნავს, რომ ნაცვალსახელს ესპანურში სქესისა და რიცხვის მორფოლოგიური კატეგორიები მოეპოვება: *Esa flor es una rosa y esta es una violeta* 'ეგ ყვავილი ვარდია, ეს კი - ია'. ნაცვალსახელის რამდენიმე ჯგუფს განარჩევს ესპანეთის სამეფო აკადემია (RAE), ესენია:

პირის ნაცვალსახელები (esp. pronombres personales): yo, tú, él ...

უკუქცევითი ნაცვალსახელები (esp. pronombres reflexivos): me, te, se ...

კუთვნილებითი ნაცვალსახელები (esp. pronombres posesivos): el mío, el tuyo, el suyo...

ჩვენებითი ნაცვალსახელები (esp. pronombres demostrativos): este, ese, aquel...

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები (esp. pronombres indefinidos): alguno...

კითხვითი (esp. pronombres interrogativos): ¿Quién? ¿Qué? ...

ძახილის (esp. pronombres exclamativos): ¡Qué!...

მსაზღვრელის და ნაცვალსახელის ჩამოთვლილი ჯგუფებიდან წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ მხოლოდ კუთვნილებით, ჩვენებით და განუსაზღვრელობით ჯგუფებს, რადგან აღნიშნული შინაარსობრივი ჯგუფები ძირითადად ჯვარედინი ფორმებით არის წარმოდგენილი და მათი ერთმანეთისაგან სწორად გამიჯვნა ესპანური გრამატიკისათვის ერთ-ერთი ფუნდამენტური საკითხია.

ძირითადი ნაწილი

Los posesivos:

კუთვნილებითი მსაზღვრელი თუ კუთვნილებითი ნაცვალსახელი?

კუთვნილებითი მსაზღვრელი (esp. determinante posesivo) გამოხატავს კუთვნილებას და გვიჩვენებს, რომელი პირია (პირველი - ვინც ლაპარაკობს, მეორე - ვისაც ელაპარაკება პირველი პირი, თუ მესამე - ვიზეც ლაპარაკობენ) კონკრეტული ობიექტის (საგნის ან

პირის) მფლობელი, მკუთვნილი: *mi libro* 'ჩემი წიგნი', *tus coches* 'შენი მანქანები', *nuestras casas* 'ჩვენი სახლები' და ა.შ. კუთვნილებითი მსაზღვრელი გამოიყენება არსებით სახელთან ერთად და მას რიცხვში ან რიცხვსა და სქესში უთანხმდება. ორი ფორმის კუთვნილებით მსაზღვრელს განარჩევენ ესპანურ ენაში: უმახვილო (*mi, tu, su, nuestro, vuestro, su*) და მახვილიანი (*mío, tuyo, suyo, nuestro, vuestro, suyo*). ორივე ფორმა ახლავს არსებით სახელს, თუმცა პოზიციური განსხვავებით: უმახვილო კუთვნილებითი მსაზღვრელი გამოიყენება არსებითი სახელის წინ (*nuestro libro* 'ჩვენი წიგნი'), ხოლო მახვილიანი კუთვნილებითი მსაზღვრელი - არსებითი სახელის შემდეგ (*libro suyo* 'მისი წიგნი').

კუთვნილებითი ნაცვალსახელი (esp. pronombre posesivo) ესპანურში გამოიყენება არსებითი სახელის ჩასანაცვლებლად მაშინ, როცა ამ უკანასკნელის დასახელება არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს. კუთვნილებითი ნაცვალსახელი იყენებს კუთვნილების აღმნიშვნელი მსაზღვრელის მახვილიან ფორმას (*mío, tuyo, suyo, nuestro, vuestro, suyo*), რომელსაც წინ უსწრებს განსაზღვრული არტიკლი (*el, la, los, las*). განსაზღვრული არტიკლის და კუთვნილებითი ნაცვალსახელის სქესი და რიცხვი ჩანაცვლებული არსებითი სახელის მიხედვით განისაზღვრება: *No encuentro mi vestido* 'ვერ ვპოულობ ჩემს კაბას. შეიძლება შენი ჩაიცვა?'

ესპანურ ენაში გამოიყენებული კუთვნილების აღმნიშვნელი ფორმები ქართულში კუთვნილებითი ნაცვალსახელით (ჩემი, შენი, მისი, ჩვენი, თქვენი, მათი) გადმოდის. როგორც ვიცით, ქართულში კუთვნილებითი ნაცვალსახელის გამოყენება ორგვარია: ა) კუთვნილებითი ნაცვალსახელი ახლავს არსებითს მსაზღვრელად; ბ) კუთვნილებითი ნაცვალსახელი გამოიყენება დამოუკიდებლად (არსებითი სახელის გარეშე), არსებითისებრ. ესპანური კუთვნილებითი მსაზ-

ღვრელის ქართულ შესატყვისს მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული კუთვნილებითი ნაცვალსახელი წარმოადგენს. ესპანურისგან განსხვავებით, იგი ყოველთვის წინ უსწრებს არსებით სახელს და არ ახასიათებს მრავლობითი რიცხვის წარმოება: *mis amigos* 'ჩემი (და არა: ჩემები) მეგობრები', *nuestras amigas* 'ჩვენი (და არა: ჩვენები) მეგობრები.' რაც შეეხება ესპანური კუთვნილებითი ნაცვალსახელის ქართულ ეკვივალენტს, ამ შემთხვევაშიც კუთვნილებითი ნაცვალსახელი გეჭირდება, თუმცა არსებითი სახელის გარეშე. არსებითისებრ გამოყენებულ კუთვნილებით ნაცვალსახელს შესაძლოა ჰქონდეს ებ-იანი მრავლობითიც (ჩემები, შენები...): *Mis amigos están en la Universidad. ¿Dónde están los tuyos?* 'ჩემი მეგობრები უნივერსიტეტში არიან. შენები სად არიან?'

Los demostrativos:

ჩვენებითი მსაზღვრელი თუ ჩვენებითი ნაცვალსახელი?

ჩვენებითი მსაზღვრელი (esp. determinante demostrativo) მიუთითებს სივრცეში (ან დროში) შესაბამისი ობიექტის (პირის, საგნის) მდებარეობაზე და აკონკრეტებს, მოსაუბრისაგან რა მანძილზე მდებარეობს საგანი ან იმყოფება კონკრეტული პირი: *este libro* 'ეს წიგნი', *estos coches* 'ეს მანქანები', *aquellas señoras* 'ის ქალბატონები'...

ჩვენებითი მსაზღვრელი არსებით სახელს სქესსა და რიცხვში უთანხმდება, რაც შემდეგი ფორმების არსებობას განაპირობებს: *este / esta / estos / estas* 'ეს'; *aquel / aquella / aquellos / aquellas* 'ის'; *ese / esa / esos / esas* 'ეგ'.

ჩვენებითი ნაცვალსახელი (esp. pronombre demostrativo) ესპანურში იყენებს იგივე ფორმებს, რასაც ჩვენებითი მსაზღვრელი. ჩვენებითი ნაცვალსახელით ხდება კონკრეტული არსებითი სახელის ჩანაცვლება მაშინ, როცა მისი დასახელება, კონტექსტიდან გამომდინარე, არანაირ საჭიროებას არ წარმოადგენს: *Esta mesa es más barata pero yo prefiero aquella* 'ეს მაგიდა უფრო იაფია, მაგრამ

მე მირჩევნია ის' / *Estos libros son interesantes pero yo prefiero aquellos* 'ეს წიგნები საინტერესოა, მაგრამ მე მირჩევნია ისინი'. ჩვენებითი ნაცვალსახელი გამოტოვებული არსებითი სახელის სქესისა და რიცხვის მიხედვით იღებს ფორმას.

ესპანურში გამოყენებული ჩვენებითობის აღმნიშვნელი ფორმები ქართულ თარგმანში ჩვენებით ნაცვალსახელს (ეს, ეგ, ის) ითხოვს. კუთვნილებითი ნაცვალსახელის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც ნაცვალსახელის ორგვარი გამოყენება ფიქსირდება: მსაზღვრელის ფუნქციით არსებით სახელთან ერთად და დამოუკიდებლად (არსებითის გარეშე), არსებითისებრ. მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელი ესპანური ჩვენებითი მსაზღვრელის ეკვივალენტია (*este libro* 'ეს წიგნი'). იგი რიცხვში არ ვარირებს და მაშინაც მხოლოდობითში გხვდება, როცა საზღვრული მრავლობითშია (*este libro* 'ეს წიგნი', *estos libros* 'ეს წიგნები'). ქართულისგან განსხვავებით, ესპანური ჩვენებითი მსაზღვრელი მომდევნო არსებით სახელს სქესსა და რიცხვში უთანხმდება (*este libro/ esta casa* → *estos libros/ estas casas*). რაც შეეხება ესპანურ ჩვენებით ნაცვალსახელს, ესპანური ჩვენებითი ნაცვალსახელი ქართულ თარგმანში ითხოვს დამოუკიდებლად, არსებითის მსგავსად გამოყენებულ ნაცვალსახელს, რომელსაც ებ-იანი მრავლობითის წარმოებაც შეუძლია: *Ese árbol es un pino y este es un abeto* 'ეგ ხე ფიჭვია, ეს კი - ნაძვი' / *Estos libros son interesantes pero yo prefiero aquellos* 'ეს წიგნები საინტერესოა, მაგრამ მე მირჩევნია ისინი'.

Los indefinidos:

განუსაზღვრელობითი მსაზღვრელი თუ ნაცვალსახელი?

განუსაზღვრელობითი მსაზღვრელი (esp. determinante indefinido) გამოხატავს განუსაზღვრელობას და გვიჩვენებს, რომ შესაბამისი ობიექტი (საგანი ან პირი) არის უცნობი და გაურკვეველი. განუსაზღვრელობის აღმნიშ-

ვნელი მსაზღვრელი ახლავს არსებით სახელს და მას სქესსა და რიცხვში უთანხმდება. აღნიშნულ ჯგუფში შემავალი ერთ-ერთი მსაზღვრელია algún (algún enemigo 'ვიღაც მტერი'), რომელიც მომდევნო არსებითის მიხედვით იცვლის რიცხვისა და სქესის ფორმას (algunos problemas 'რამაც პრობლემები'). როგორც ვხედავთ, განუსაზღვრელობითი მსაზღვრელი გამოიყენება როგორც ადამიანთან, ისე საგანთან მიმართებაში.

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი (esp. pronombre indefinido) ესპანურ ენაში გამოიყენება არსებითი სახელის ჩასანაცვლებლად მაშინ, როცა ამ უკანასკნელის გამოყენება არ არის საჭირო: Entre estos libros, quizás encuentres alguno que te guste 'ამ წიგნებს შორის ალბათ იპოვი რამაცას, რაც მოგეწონება'. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი გამოტოვებული არსებითის რიცხვისა და სქესის მიხედვით იცვლის ფორმას.

ესპანურში გამოიყენებული განუსაზღვრელობის აღმნიშვნელი ზემოხსენებული ფორმა ქართულ თარგმანში აფიქსირებს განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს (ვიღაც, რამაც), რომელიც ზოგჯერ მსაზღვრელად ახლავს არსებით სახელს, ზოგჯერ კი არსებითისებრ გამოიყენება.

დასკვნა

ამრიგად, განხილულმა მასალამ გვაჩვენა, რომ ჯვარედინი ფორმები, რომლებიც ძირითადად კუთვნილების, ჩვენებითობის, განუსაზღვრელობის აღმნიშვნელი სიტყვებით არის წარმოდგენილი, სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვა მეტყველების ნაწილს წარმოადგებს. თუ კუთვნილებითი, ჩვენებითი და განუსაზღვრელი ფორმები არსებით სახელთან გამოიყენება, ვიღებთ მსაზღვრელს, ხოლო თუ ზემოხსენებული ფორმები დამოუკიდებლად, არსებითი სახელის გარეშე ფიქსირდება, ვიღებთ ნაცვალსახელს. განხილულმა მასალამ გვაჩვენა ისიც, რომ

კუთვნილებითი, ჩვენებითი და განუსაზღვრელი ფორმები ქართულ თარგმანში ითხოვს ნაცვალსახელს.

ლიტერატურა

1. Real Academia Española, - Gramática de la lengua castellana [electronic version]
https://www.rae.es/sites/default/files/Gramatica_RAE_1771_reducida.pdf
2. Real Academia Española (2009): Nueva gramática de la lengua Española, Espasa Libros
3. Real Academia Española (2011): Nueva gramática básica de la lengua Española, Espasa Libros
4. გოგოლაშვილი გ., არაბული ავ. (2016): ახალი ქართული ენა, წიგნი I, თბ.

Cruciform shapes in Spanish (determinant or pronoun)

Marine Kobeshavidze

Tbilisi State University

Faculty of Humanities

36 Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel: 591 222 007

E-mail: mkobeshavidze@yahoo.com

Nino Chrikishvili

Tbilisi State University

Faculty of Humanities

36 Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel: 598 165 756

E-mail: n.chrikishvili@yahoo.com

Abstract

The primary classification of the parts of colloquial speech of Spanish language, represented by a ten-term system, went through a rather hard way and was changed several times. In 2009, the Royal

Academy of Spain presented a new version, where a new classification of parts of speech is visible. A new part of speech - the determiner has appeared in this enumeration, which for years was considered as one of the groups of adjective and was called by the term determinative adjective (sp..adjetivo determinativo). In addition to the latest classification of parts of speech, the Royal Academy distinguishes cruciforms (sp.clases transversales). Such form denotes possessive (sp. posesivos), demonstrative (sp. demostrativos), indefinite (sp. Indefinidos) forms, which in different situations represent different parts of speech.

In the article we consider cruciform shapes and their use in the main cases, both determiner and pronoun and their indicators. Corresponding Georgian cruciform shapes are also presented.

Keywords:

Royal Academy of the Spanish Language, cruciform shapes, determiner, pronoun.

Крестовидные формы в испанском языке (определитель или местоимение)

*Кобешавидзе Марине Валериевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе N 36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел. : 591 222 007
E-mail:mkobeshavidze@yahoo.com*

*Чрикишвили Нино Гелаевна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе N 36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 598 165 756
E-mail: n.chrikishvili@yahoo.com*

Резюме

Первичная классификация частей разговорной речи испанского языка, представленная десятичленной системой, прошла довольно сложный путь и менялась несколько раз. В 2009 году Королевская Академия Испании представила новую версию, где видна новая классификация частей речи. В этом перечислении появилась новая часть речи – определитель, которая годами раньше рассматривалась как одна из групп имени прилагательного и называлась термином-определительное имя прилагательное (esp.adjetivo determinativo). Кроме новейшей классификации частей речи, королевская академия выделяет крестовидные формы (esp.clases transversales). Как раз такой формой обозначены притяжательные (esp. posesivos), указательные (esp. demostrativos), неопределенные (esp. Indefinidos) формы, которые в различных ситуациях представляют разные части речи.

В статье рассматриваем крестовидные формы и их употребление в основных случаях, как определитель, так и местоимение и их показатели. Представлены также соответственные грузинские крестовидные формы.

Ключевые слова:

Королевская Академия Испанского Языка, крестовидные формы, определитель, местоимение.

ხარის კულტი უძველეს ცივილიზაციებში – ანატოლია, შუამდინარეთი – და კავშირი საქართველოსთან

სალომე სულაბერიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ: 598 165 448
E-mail: s.salome94@yahoo.com

რეზიუმე

ხარის კულტის გავრცელება მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად იწყება. პირველყოფილი ადამიანი მთვარის დისკოს სცემდა თაყვანს – მთვარის ცვალებადობამ პრიმიტიული სამიწათმოქმედო კალენდარი წარმოშვა. ხარი გამწვევი ძალა იყო, რომლის რქებითაც მიწა „ნაყოფიერდებოდა“, ამიტომ უძველესმა ადამიანმა ხარის რქები ნახევარმთვარეს მიახსნავსა და ხარი მთვარის კულტს დაუკავშირდა. წინამდებარე სტატიაში განხილულია თუ როგორ აღიქმებოდა ხარი შუამდინარეთისა და ანატოლიის უძველეს მოსახლეთა კულტურასა და რწმენა-წარმოდგენებში. გარდა ამისა, სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული იმ მეცნიერ-მკვლევართა მოსაზრებებზე, რომლებიც ძველ ქართულ კულტურასა და ქართველურ ხალხებს ანატოლიისა და შუამდინარეთის მკვიდრ მოსახლეობას უკავშირებენ.

საკვანძო სიტყვები:

მიწათმოქმედება, ხარის კულტი, შუმერული კულტურა, გიობექლი თეფე.

შესავალი

მიწათმოქმედება ადამიანის უდიდესი მონაპოვარია. წარმოებითი მეურნეო-

ბის განვითარებამ რევოლუცია მოახდინა ძველ ხალხთა კულტურაში, მათი ცხოვრება ძირეულად შეცვალა. ადამიანმა ხარი მიწათმოქმედებასთან დააკავშირა, რადგან ხარი წარმოადგენდა გამწვევ ძალას, მიწის დამამუშავებელ მთავარ „იარაღს“. სწორედ ამიტომ, ძველმა ადამიანმა ხარი ნაყოფიერებასთან დააკავშირა, გააღმერთა ან ღვთაების წმინდა ზვარაკად აქცია. ყოველივე ამან განაპირობა ხარისადმი თაყვანისცემა, რაც უძველეს სახელმწიფოთა რელიგიასა და კულტურაში აისახა. ანატოლიაში აღმოჩენილი ხარის უძველესი არტეფაქტები სხვა კულტურებშიც ჰპოვებს ანალოგებს, იქნება ეს შუმერული, ძველი ეგვიპტური, ძველი ინდური თუ მიკენური კრეტისა და ძველი ელადის ცივილიზაციები, ასევე ზოროასტრიზმისა და მითრაიზმში. ყველა მათგანში გამოკვეთილია:

- ხარი, როგორც ნაყოფიერების ღვთაება;
- ხარი, როგორც ღვთაების რეინკარნაცია და მიწიერი იპოსტასი;
- ხარი, როგორც ადამიანის დამხმარე და მეგობარი.

საქართველოში მრავლად აღმოჩენილი ხარის გამოსახულებიანი არტეფაქტები, რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები ხარის კულტის არსებობას მოწმობს. ქართველი კაცისთვის ხარი იყო არა მხოლოდ დამხმარე, გამწვევი ძალა, არამედ მეგობარი, იმედი, შიმშილისა და სიღარიბის დამმარცხებელი, „ქართლის ცხოვრების ჭაპანის გამწვევი“. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ უძველეს ცივილიზაციებში, სადაც ხარის კულტი არის დადასტურებული, იკვეთება საქართველოსთან, როგორც უძველეს მიწათმოქმედ ქვეყანასთან, კავშირი.

ძირითადი ნაწილი

*„ველად მოავლინა გმირი ენქიდუ. ველთა
ნაშიერი ნინურთა* ძალისა.
ბანჯგვლებს დაუფარავს სხეული მისი,
თმები მოზრდია დედაკაცივით,
ნისაბას** დარად აპყრია ვარჯები. არ იცის
ხალხი, არც მკვიდრი მხარე,
ტანთ სუმუკანის*** სამოსი მოსავს.“*

როგორც ცნობილია, „გმირი ენქიდუ“ მსოფლიო მწერლობის უძველესი ეპოსის – „გილგამეშიანის“**** – ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია და იგი არის მხეც-კაცი ხარის თავით. ეპოსი იწყება ურუქის მეფის, გილგამეშის დახასიათებით. ის თითქმის ღმერთია („ორი მესამედი ღმერთი იყო იგი, ერთი მესამედი – კაცი“) და ურუქს უსამართლოდ მართავს. სწორედ ამიტომ საყვედურობენ ცის ღმერთს, ანუ, რადგან მან გილგამეშს უდიდესი ძალა მისცა. ამ მონაკვეთში ურუქის მეფის ძლიერება შედარებულია ხართან: „შენ შეჰქმენ ხარი ძლიერი, გმირი გილგამეშ“. აქედან გამომდინარე, აქადურ ეპოსში ენქიდუს შექმნა საჭირო ხდება, რათა გილგამეშმა „იხილოს სიღრმე“; ენქიდუ იქმნება სასწაულებრივად, ერთიანი აქტით, რითაც, ბიბლიური ტრადიციის მიხედვით, პირველი ადამიანი შეიქმნა [წერეთელი, 2010: 8, XVI]:

მერმე განიბანა ხელნი არურუმ,
თიხა მოზილა, ველზე დააგლო,
ველად მოავლინა გმირი ენქიდუ.

* ნინური, ნინურტა – ომის ღმერთი, სატურნი; მიწათ-მოქმედების, ხენის ღმერთი.

** ნისაბა – შუმერული მითოლოგიის თანახმად, ნაყოფიერების ღმერთი

*** სუმუკანი – (ბაბილონ.) ცხოველთა მეუფე ან ნადირთ ბატონი; მწყემსავს და იფარავს გარეულ მხეცებს და თავადაც ცხოველური ნიშნებით არის წარმოდგენილი როგორც მითოსში, ისე სახვით ხელოვნებაში. მასზეა დამოკიდებული ყოველგვარი სახის გარეული პირუტყვის გამრავლება; ჯოგის განაყოფიერება.

**** ასურულ-ბაბილონური (აქადური) ლიტერატურული ძეგლი, დღეისათვის ცნობილი პირველი ეთიკურ-ფილოსოფიური ხასიათის ეპოსი მსოფლიო მწერლობაში და, ასევე, პირველი ლიტერატურული ნაწარმოები. შუმერული სიმღერები გილგამეშზე ეკუთვნის ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევრის (ძვ. წ. XXII-XXI სს.) დასასრულს.

გილგამეში ურუქის მეფეა, ხოლო ენქიდუ ურუქში შემოტყუებული, განკაცების გზაზე შემდგარი მხეც-კაცი, რომელზეც ყველა ზრუნავს (როსკიპი შამხათი, მწყემსები და ურუქის მოსახლეობა). ურუქის მოსახლეობა ენქიდუს გილგამეშის მსგავსი ძალის მქონე „ღვთისდარ მეტოქედ“ აღიქვამენ:

ეს მოყმე წააგავს გილგამეშს, მაღალია და
ძვალმაგარი.

ველურ ცხოველთა რძე უწოვია, ბალახი
უძოვია ქურციკის ჯოგთან.

შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ ამ ორი უძლიერესი ძალის მქონე გმირის ორთაბრძოლა ეპოსში შედარებულია ხარის ძალასთან:

მაშინ ეცნენ ურთი-ერთს,
ვითარცა ხარნი ზეცისა, ცეცხლის
მფრქვეველნი,
დალეწეს კარნი, ჩამოინგრა კედელი...

ეპოსის გმირები მიხვდებიან, რომ ერთი ძალისანი არიან, ერთმანეთს ძმობას შეჰფიცავენ და სწორედ ამ მეგობრობით იწყება გილგამეშიანის აქადური ვერსიის მთელი ეთიკურ-ფილოსოფიური პათოსი. გილგამეში და ენქიდუ ერთად მიდიან თავგადასავლების საძებნელად. მათ თავგადასავალში კი გადმოიცემა მთელი კაცობრიობის განვლილი გზა.

ეპოსის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა ცის ხარის დამარცხების ეპიზოდი. ქალღმერთი იშთარი**** მისი უარყოფისა და დამცირებისთვის გილგამეშის დასჯას ითხოვს, რისთვისაც მას „ზეციური მოზვერი“ სჭირდება. ზეციური მოზვერი შეიძლება წარმოადგენდეს თავად იშთარს, „მძვინვარე ფურის“, მამრულ სახეცვლილებას. ამრიგად, ნაყოფიერების ქალღმერთის თხოვნით, მამამისმა, უმაღლესმა ღვთაება ანუმ, მოავლინა ზეციური ხარი:

მოადგა ეფურატს ზეციერი მოზვერი,
მოზვერის სუნთქვაზე გაიპო მიწა.

**** ნაყოფიერების ქალღმერთი, იგივე ინანა.

როგორც ჩანს, ზეციური, ცეცხლის მფრქვეველი ხარი გვაღვის გამომწვევია, რამაც შვიდწლიანი უნაყოფობა და შიმშილი უნდა დაასაღუროს ქვეყნიერებაზე. მოზვერმა – გვაღვამ უნდა გადაბუგოს მიწის პირი, მსგავსად ქართული თქმის – წითელი ხარისა, რომლის ნაძოვარზე ბაღახი არ ამოდის. მაგრამ გმირებმა შესძლეს შეუძლებელი – დაამარცხეს დაუმარცხებელი ცის ხარი:

ამოვგლეჯ გულს და შამაშს მივართმევ,

ხელოსნებს მოვუხმობ – რქები შეუფასონ.

ზეთით სავსე რქებს ლუგაღბანდას მივართმევ.

თუ ხარი მეძგერა, კულზე მოჭიდე.

მე კი რქებს შუა ვუგმირავ მახვილს.

ზეციური ხარის დამარცხების შემდეგ ხდება მისი მსხვერპლად შეწირვა: ენქიდუმ ხარს ბეჭი მოჰგლიჯა და იშთარს მიუგდო ფეხქვეშ, თან დაემუქრა, შენც იგივე ბედს გაიზიარებდი, შენი შეპყრობა რომ შემძლე-ბოდაო. აქედან გამომდინარე, გილგამეშისა და ენქიდუმს დიდება და ძლიერება ღმერთებისას უტოლდება.

მაშასადამე, გილგამეშის ეპოსში ძალიან კარგად ჩანს თუ რაოდენ დიდი ადგილი ეკავა შუმერთათვის ხარს:

- გილგამეში ორი მესამედით ღმერთია და თავისი უდიდესი ძალით ჰგავს ხარს, შესაბამისად, შუმერთათვის ხარი ღმერთთა თანატოლი გამოდის;

- გილგამეშის მეგობარი, გმირი ენქიდუ ნახევრად ხარია, ნახევრად ადამიანი – აქ იკვეთება ხარი, როგორც ადამიანთა მეგობარი;

- ხარი არის ნაყოფიერების ქაღალღმერთის – იშთარის, იგივე ინანას – განსახიერება და მისი „დამსჯელი ძალა“; გმირებმა ზეციური ხარი მიწაზე დასცეს და ადამიანების სამსახურში ჩააყენეს – აქ იკვეთება ხარის კავშირი მიწათმოქმედებასთან;

- ხარი – წმინდა შესაწირი: ენქიდუმს სულის მოსაოხებლად, გილგამეში საგანძურთან ერთად ნასუქ ხარებსა და ცხვრებს სწირავს „ქვესკნელის მთავრებს“.

გილგამეშიანის გარდა ხარს შუმერულ მითოლოგიასა და კულტურაში ხშირად ვაწყდებით:

- შუმერულ და აქადურ მითოლოგიაში ხარი არის მთვარის ღმერთის სინის (ზუენი, ნაინა, ნანარი) სიმბოლო და გამოისახებოდა ცისფერწვერიანი ხარის სახით;

- ძველი შუამდინარეთის ტერიტორიაზე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მრავლად არის აღმოჩენილი ხარის თავყანისცემასთან დაკავშირებული ნივთები. მათ შორის გამორჩეულია ძვ. წ. 3100 – 2900 წლით დათარიღებული სკულპტურა – ვერცხლის მუხლმოყრილ ხარს თასი აქვს აღმართული და ურუქში (ურში) აღმოჩენილი შუმერული ქნარი, რომელსაც ოქროს ხარის თავი ამშვენებს. ქნარს ათარიღებენ ძვ. წ. 2600 წლით.

- ცალკე აღსანიშნია ადამიანის სახიანი ფრთიანი ხარის ქანდაკება, ლამასუ, რომელიც ასურეთის მეფის სარგონ II-ის სასახლის შესასვლელში იდგა და თაღების საყრდენადაც იყო გამოყენებული. ხარის ეს გიგანტური ქანდაკებები ძვ. წ. 721-705 წლებით თარიღდება. დღეს კი დაცულია ლუვრის მუზეუმში.

საქართველოში განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევდა გილგამეშის ეპოსი და, ზოგადად, შუმერთა ენა, კულტურა, ისტორია. გილგამეშიანში ზოგადსაკაცობრიო მოტივებია, რაც პირველად დაფიქსირდა წერილობით, მაგრამ მას არც ერთ ევროპულ ერთან არ აქვს გენეტიკური კავშირი. ეს ფაქტი კი გვაძლევს იმის საფუძველს, რომ შუმერული ენა ქართულ ენას დავუკავშიროთ. ამ საკითხს არაერთი მეცნიერი იკვლევდა, მათ შორის თავად მიხაკო წერეთელი, პირველი ქართველი ასირიოლოგი და გილგამეშიანის პირველი მთარგმნელი ქართულ ენაზე. 1912 წელს მან გამოაქვეყნა თავისი ცნობილი ნაშრომი „შუმერული და ქართული“, ქართულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ის წერს: „ჩემი მიზანია, და-

ვამტკიცო, რომ თუ შუმერულ ენას აქვს რაიმე კავშირი მსოფლიოს რომელიმე სხვა ენასთან, ეს მხოლოდ შეიძლება იყოს კავშირი ქართულ, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ენებთან“ და აქვე აღნიშნავს, რომ პირველი მცდელობა ამ ენათა შედარებისა ჰქონდა გერმანელ მეცნიერს, ფრიც ჰომელს, 1884 წელს. სსენებულ სტატიაში მიხაკო წერეთელი შუმერული ლექსიკის გაშიფვრისას აღადგენს ყველა ბგერას, რომელიც ფიქსირდება ქართველურ ენებში; მიმოიხილავს ენათა შორის არსებულ ლექსიკურ მსგავსებებს, გრამატიკულ (თავსართი-ბოლოსართი, მრავლობითი რიცხვი) კატეგორიებსა და ზმნას. წერეთელი აღნიშნავდა: „აბსურდი იქნებოდა იმის თქმა, რომ სუმერნი (შუმერები) ქართველთა წინაპრები იყვნენ. სუმერულისა და ქართულის ნათესაობა, და აგრეთვე საქართველოში ახლად აღმოჩენილი საგნები მეორე ათასწ. ქრ. წ. და სხვა მოსაზრებანიც, გვეუბნება მხოლოდ, რომ ყოფილა ერთი უძველესი ჯგუფი ხალხთა კავკასიაში და მის სამხრეთით მდებარე ადგილებში მოსახლე, რომელთა ენები ურთიერთის მონათესავე იყო. [...] ჩვენი ძირების ნახვა, ჩვენ „წინაპართა აღმოჩენა“ შესაძლებელია და მოსალოდნელი სუმერთა წარმოშობის საკითხის საბოლოოდ გამორკვევასთან და გადაწყვეტასთან დაკავშირებითაც“.

მსგავს იდეას მრავალი მეცნიერი ავითარებს, მათ შორის – ცნობილი გერმანელი მეკლევარი კ. კერამი. მისი აზრით, შუმერებმა შუამდინარეთში უკვე ჩამოყალიბებული კულტურა მიიტანეს. ამასთანავე, ზ. კიკნაძე აღნიშნავს, რომ შუმერები შუამდინარეთში ჩრდილოეთიდან (კავკასია-კოლხეთი) მოვიდნენ. იმ მეცნიერთა რიცხვი, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ აღნიშნული საკითხით, არც თუ ისე მცირეა. მათ შორის არიან როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი მეცნიერები: მ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, შ. ცხაკაია, ვ. ჰუმბოლდტი, ლენორმანი, ვუელი, კლარკი... ამრიგად, ნათელია, რომ მიუხედავად ენათა შორის არსებული მსგავ-

სებისა, საკითხი საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას.

ზემოთ ნახსენებია, რომ იშთარი (აქადური), შუმერთა ნაყოფიერების ქალღმერთი, იგივე ინანაა (შუმერული, ცისკრის ვარსკვლავი > ვენერა). ხშირად გამოისახებოდა ხარის რქებით. როგორც მიხაკო წერეთელი აღნიშნავს, ინანას კულტი დაკავშირებული იყო კავკასიელი იბერების ქალღმერთებთან – აინინა (ნანა) და დანინა. ქალღმერთ ინანას სახელი – ინ – ან -ა – ქართული ანბანის მეორადი სახელებისგან შედგება და „ინ“ და „იან“ ორი პირველსაწყისის ენერგიათა ერთობას ასახავს; ქალღმერთი ინანაც ორბუნებოვანია – დღისით ის მეომარი და მამაკაცია, ხოლო ღამით – სიყვარულის ქალღმერთი. აქედან გამომდინარე, მეკლევარი ნ. ხანიაშვილი ასკვნის, რომ ეს კოსმოგონიური ცნობიერება, ჯერ კიდევ ძვ. წ. VI ათასწლეულში, შუამდინარეთში კავკასიიდან – საქართველოდან ჩასულმა, ქართულ ენაზე მოლაპარაკე ხალხმა – შუმერებმა ჩაიტანეს, რომელთა შთამომავლები ის ხალხია, ვისაც დღეს მსოფლიო შუმერებს უწოდებს.

ძველ კოლხურ მითოლოგიაში ხარი ფართოდ გავრცელებული კულტია. აღიარებულია, რომ საქართველო მსოფლიო ისტორიაში პირველი მიწათმოქმედი და მესაქონლე ტომების უმნიშვნელოვანესი კერაა. ხარი კი მიწათმოქმედების, ნაყოფიერების სიმბოლოა და დაკავშირებულია მთვარის კალენდართან. ქალები მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მეჯოგეობას, ამუშავებდნენ მადნეულს, თაყვანს სცემდნენ მთვარის ღმერთს და მიაჩნდათ მთავარ, უფროს ღმერთად ისევე, როგორც ძველ კოლხებს. ამრიგად, თუ ვივარაუდებთ, რომ შუამდინარეთში შუმერები კავკასია-კოლხეთიდან მივიდნენ, იქ დასახლდნენ და უკვე ჩამოყალიბებული კულტურა მიიტანეს, შესაძლებელია, რომ ხარის კულტიც სწორედ კავკასიიდან აღმოჩნდა შუმერულ კულტურაში.

ხარის კულტი შუმერული ცივილიზაციის გარდა მსოფლიოს სხვადასხვა კულ-

ტურაშია აღმოჩენილი, მათ შორის კი უძველესია ანატოლია, დღევანდელი თურქეთის ტერიტორია. არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს, რომ ანატოლია მსოფლიო ცივილიზაციის აკვანია, რადგან მეტალურგიის, ურბანული განვითარების, ეკონომიკის, ორგანიზებული სამხედრო სისტემის, პირველი ქალაქების შემქმნელები სწორედ ამ ტერიტორიის უძველესი მოსახლენი არიან, სახელმწიფო სისტემის მოწყობის პირველი ჩანასახები ანატოლიაში გვხვდება. დღესდღეობით აღმოჩენილი მასალის მიხედვით, ანატოლია მიწათმოქმედების უძველეს კერად მიიჩნევა და ხარის კულტის არსებობაც პირველად ამ ტერიტორიაზე დასტურდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ანატოლია იყო ქართველური ტომების უძველესი სამშობლოც. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ვარაუდობდნენ ისტორიკოსები, რომ ანატოლიის ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები იბერიულ-კოლხური წარმომავლობის უნდა ყოფილიყვნენ. მაგალითად, ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი (I ს.) თავის ნაწარმოებში, „იუდაებრივი სიტყუადასაბამობა“, წერდა, რომ იბერები და მესხები ანატოლიური წარმომავლობის იყვნენ: „თობელმა დააფუძნა თობელები, რომელთაც ახლა იბერები ეწოდებათ, მოსოხენები (მესხები) დაფუძნებული არიან მოსოხის მიერ, ახლახანს მათ კაპადოკიელები ეწოდათ“. ამ მოსაზრებას მრავალი მეცნიერ-მკვლევარი თუ თეოლოგი ავითარებდა, მათ შორის: ჰეროდოტე ჰალიკარნასელი, ლეონ გრამატიკოსი, იოანე პეტრიწი, ივანე ჯავახიშვილი, ზვიად გამსახურდია და სხვები.

სამხრეთ ანატოლიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნასოფლართა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩათალჰუიუქს, უძველესი ცივილიზაციის ნამოსახლარს, რომელიც აღმოაჩინეს 1961-1963 წლებში და თარიღდება ძვ. წ. VII-VI ათასწლეულებით. თუმცა, შემდგომმა არქეოლოგიურმა კვლევებმა, ასევე, სამხრეთ ანატოლიაში ჩათალჰუიუქის ნამოსახლარზე უფრო ადრეული

ცივილიზაციის კვალი იპოვა. ეს ადგილი გახლავთ გიობექლი თეფე (მხოლოდ 800 კმ. არის ამ ორ ნამოსახლარს შორის მანძილი). სწორედ ამ ადგილას აღმოჩენილი ცივილიზაცია მიიჩნევა დღეს უძველესად მსოფლიოში – მსოფლიოს უძველესი მეგალითური იმპერია, რომელიც თარიღდება ძვ. წ. 9,600 – 8,200 წლებით. მეცნიერები ამ პერიოდს წინაკერამიკული ნეოლითის ხანას უწოდებენ, რადგან არქეოლოგიური გათხრების შედეგად, კერამიკული ნივთები ვერ აღმოაჩინეს.

გიობექლი თეფე წარმოადგენს უნიკალურ ადგილს – პრეისტორიულმა ადამიანმა, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა არათუ მეტალის, არამედ კერამიკის იარაღი, შეძლო და უზარმაზარი მასიური ქვებით (რომელთა „ასაკიც“ 11 000 წელია) ააშენა უდიდესი დასახლება. კლაუს შმიდტი, არქეოლოგი, ვინც აღმოაჩინა გიობექლი თეფე, მიიჩნევს, რომ სწორედ ამ ტერიტორიაზე აშენდა პირველი საკულტო ნაგებობები, ტაძრები.

გიობექლი თეფეს ნამოსახლარზე ვხვდებით ე. წ. T ფორმის გიგანტურ სვეტებს, რომლებზეც სხვადასხვა ცხოველის ფიგურებია გამოსახული – სწორედ ამ ცხოველებს სცემდნენ თავყანს აქაური მაცხოვრებლები. ერთ-ერთ სვეტზე გვხვდება ხარის გამოსახულებაც, რომელსაც თავზე, რქებს შორის, მზის დისკო აქვს გამოსახული (წმინდა ხარის/ძროხის იდენტური გამოსახულება აქვთ ძველ ეგვიპტელებსაც). გარდა ამისა, არქეოლოგი კლაუს შმიდტი, თავის წიგნში „ისინი აგებდნენ პირველ ტაძრებს“, აღწერს, რომ ერთ-ერთი სახლის იატაკქვეშ ნაპოვნი კომპლექტი – თიხის ამოუცნობი საგნის გარშემო დაჯგუფებული თიხის ხარის (ძროხის) 24 ფიგურა და, ამასთანავე, დასძენს, რომ საქმე გვაქვს სარიტუალო დანიშნულების საგნებთან, რაც გამოიყენებოდა საკულტო რიტუალის დროს.

ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რაც ამ ადგილს კიდევ უფრო გამორჩეულს ხდის, ალბათ, არის ხარის უზარმაზარი გეოგლი-

ფი, რომელიც მხოლოდ ზემოდან, გარკვეული სიმაღლიდან ჩანს. 12000 წლის წინ, კუროს ქედის გასწვრივ, მოსახლეობა გიობექლი თეფეს მიდამოში სწორედ ხარის ფორმის ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ეს ფაქტი ნათელყოფს, რომ ხარი აქაური მოსახლეობისთვის ერთ-ერთი უმთავრესი კულტი იყო. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ხარის გეოგლიფში მდებარე თითოეული მონუმენტი – ქვების წრეები – ციურ სხეულებთან მისტიკურ კავშირს ასახავს. მაგალითად, 12000 წლის წინ მზე სწორედ ხარის რქებს შორის გადიოდა.

რაც შეეხება ჩათალჰუიუქს, როგორც აღვნიშნე, პირველობა გიობექლი თეფეს „დაუთმო“, მაგრამ ეს ფაქტი არ აკნინებს მის მნიშვნელობას. პირიქით, ამ ორი უძველესი ცივილიზაციის ნამოსახლარის აღმოჩენამ ნათელყო, რომ მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი სწორედ ანატოლიაა.

დასკვნა

ამრიგად, ნათელია, რომ მიწათმოქმედების გაჩენამ უძველეს ცივილიზაციებში წარმოშვა ხარის, როგორც წმინდა ცხოველის კულტი. ანატოლიიდან და შუამდინარეთიდან ხარის კულტი სხვა უძველეს ცივილიზაციაშიც გავრცელდა. ძალიან საინტერესოა ამ ორი უძველესი ცივილიზაციის კავშირი საქართველოსთან:

- ბევრი მეცნიერი იზიარებს მოსაზრებას, რომ ანატოლიის ტერიტორიაზე მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობას პროტოქართველური ტომები წარმოადგენდნენ. შესაბამისად, შესაძლოა, რომ ხარის კულტს სწორედ ქართული „ფესვები“ ჰქონდეს.

- ამასთანავე, შუმერთა და ქართველთა ნათესაობის შესახებ ვარაუდები არც თუ ისე საეჭვოა, რადგან მკვლევარებმა და ლინგვისტებმა შუმერული ვერც ერთ ძველ, ინდოევროპულ თუ არაინდოევროპულ ენასთან დააკავშირეს. ქართველურ ენებთან კი

(ქართული, მეგრული, სვანური, ლაზური) ლინგვისტური კავშირი უმნიშვნელო არ არის. ხარის კულტმა სწორედ შუმერული ცივილიზაციიდან ჰპოვა გავრცელების დიდი არეალი.

მეცნიერებაში ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტება არ არსებობს, მით უმეტეს – არქეოლოგიაში – მუდმივად კეთდება ახალი აღმოჩენები. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქართველო მიწათმოქმედებისა და მეღვინეობის (და არა მხოლოდ) უძველესი სამშობლოა, კვლავაც შეგვიძლია ველოდოთ ახალ აღმოჩენებს (თუნდაც ხარის გამოსახულებიან არტეფაქტებს), ღრმად დამარხულს ქართული მიწის ქვეშ. სწორედ ამიტომ, ჩამოთვლილი საკითხები სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს.

ლიტერატურა

1. აფანასიევა ვ., ლუკონინი ე., პონომარცევა ნ., (1986): ძველი აღმოსავლეთის ხელოვნება. თბილისი: ნაკადული
2. ბუხაიძე ბ. (2017): უძველესი ადამიანები და წინარე ქართული ტომები. „მატიანე“, №8, ვანი
3. კერამი კ. (1972): ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები = Gotter, Graber und Gelehrte: რომანი არქეოლოგიაზე. თბილისი: ნაკადული
4. კიკნაძე ზ. (1979): შუამდინარული მითოლოგია. თბილისი: საბჭოთა საქართველო
5. კიკნაძე ზ. (2009): გილგამეშისანი, ძველი შუამდინარული ეპოსი. თბილისი: მემკვიდრეობა
6. მელიქიშვილი გ., აფაქიძე ა., ჯაფარიძე ო., მუსხელიშვილი დ. (2012): საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე. ტომი I. თბილისი: პალიტრა
7. ქავთარაძე გ. (1985): ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისა

თვის. თბილისი: მეცნიერება. სადოქტორო ნაშრომი.

8. წერეთელი მ. (2010): გილგამეშიანი, ბაბილონური ეპოსი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

9. წერეთელი მ. (1951): მცირე შენიშვნა ქართველთა წინაპართა საკითხისათვის. „ბედი ქართლისა“, №10, პარიზი

10. ხანიაშვილი ნ. (2013): ქართველები შუმერთა წინაპრები. თბილისი

11. Tseretheli M. (1913): Sumerian and Georgian: A Study in Comparative Philology. Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland

12. Tseretheli M. (1935): The Asianic (Asia Minor) elements in national Georgian paganism. Georgia: A Journal of Georgian and Caucasian Studies, #1

13. Anand V. (2017): Distinct Bull Worship Patterns At Göbekli Tepe Shed Light On World's Oldest Civilization

14. Curry A. (2008): Gobekli Tepe: The World's First Temple? Smithsonian Magazine.

15. Dietrich O.; Notroff J. (2015): A sanctuary, or so fair a house? In defense of an archaeology of cult at Pre-Pottery Neolithic Gobekli Tepe. In Laneri, Nicola (ed.). Defining the Sacred: Approaches to the Archaeology of Religion in the Near East. Oxbow Books

16. Herschel W. (2012): Gobekli Tepi – Oldest Civilisation On Earth... Deciphered!

Göbekli Tepe. <https://whc.unesco.org/en/list/1572/>

17. Sharpes D. K. (2006): Sacred Bull, Holy Cow: A Cultural Study of Civilization's Most Important Animal. New York: Peter Lang

18. Шмидт К. (2011): Они строили первые храмы (археологические открытия в Гёбекли Тепе). Санкт-Петербург: Алетейя
Бык.: <http://www.mythologys.ru/info/367.html>

The Cult of the Bull in Ancient Civilizations - Anatolia, Mesopotamia - and Connections with Georgia

Salome Sulaberidze

Tbilisi State University

Faculty of Humanities

36 Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel: 598 165 448

E-mail:s.salome94@yahoo.com

Abstract

The spread of the cult of bull begins with the development of agriculture. Primitive men worshiped the moon - the changeability of the moon gave rise to a primitive agricultural calendar. The bull was the power of traction, the earth was fertilized with its horns, therefore, to the most ancient men, bull horns were imagined as a crescent and they associated the bull with the cult of the moon.

In the article we consider the idea of a bull in the cultures and beliefs of the ancient people of Anatolia and Mesopotamia. In addition, special attention is paid to the views of those researchers who show the connection of the ancient Georgian peoples and ancient Georgian culture with the populations of Anatolia and Mesopotamia.

Keywords:

agriculture, cult of a bull, Sumerian culture, Göbekli Tepe.

Культ быка в древнейших цивилизациях – Анатолия, Месопотамия – и союз с Грузией

*Сулаберидзе Саломе Мерабовна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе N 36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел.: 98 165 448
E-mail:s.salome94@yahoo.com*

Резюме

Распространение культа быка начинается с развитием земледелия. Первобытный человек поклонялся диску луны – меняемость луны породил примитивный земледельческий календарь. Бык являлся силой тяги, его рогами оплодотворялась земля, поэтому древнейшему человеку бычьи рога представлялись как полумесяц и они быка связали с культом луны.

В статье рассматриваем представления о быке в культурах и верованиях древнейшего народа Анатолии и Месопотамии. Кроме этого, особое внимание уделено взглядам тех исследователей, которые показывают связь древнегрузинских народов и древнегрузинской культуры с населением Анатолии и Месопотамии.

Ключевые слова:

земледелие, культ быка, шумерская культура, Гьебекли Тефе.

ენა - სოციალური იდენტურობის ფაქტორი და ტერმინის სოციოლინგვისტიკური ასპექტები

რუსუდან თაბუკაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
უცხოური ენების დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ. 593 512 484
E-mail: r.tabukashvili@gmail.com

თეა ბორჩხაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
უცხოური ენების დეპარტამენტი
კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი, საქართველო
ტელ. 599 107 244
E-mail: borchkhadze@yahoo.com

რეზიუმე

დარგობრივი ენა და კომუნიკაცია, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მრავალ აქტანტს გულისხმობს, რომელთაგან თითოეული როგორც ლინგვისტიკის, ისე სოციოლოგიის კვლევის საგანი უნდა იყოს. აღნიშნულ აქტანტთაგან ერთ-ერთის უგულვებელყოფა, ანუ მათი განცალკევებული კვლევა ვერ შექმნის განსახილველი საგნის სრულ სურათს. შესაბამისად, ტერმინის, დარგობრივი ენისა და კომუნიკაციის კვლევა წარმოადგენს ორი დარგის, - ლინგვისტიკისა და სოციოლოგიის პრეროგატივას, ამ დისციპლინათა სიმბიოზურ კვლევით საქმიანობას, რაც, თავის მხრივ, აღნიშნულ დისციპლინებს შორის თანამშრომლობას ითვალისწინებს, რადგან ამა თუ იმ დარგობრივი ენის გამოყენება შესაბამისი დარგის სპეციალისტის, შესაბამისი სოციალური ფენის წარმომადგენლის, სტატუსისა და ასაკის მქონე პროფესიონალის მიერ ხდება, რომელიც ამა თუ იმ სფეროს, ან/და საზოგადოების წევრია.

საკვანძო სიტყვები:

სოციოლინგვისტიკა, ენა, სოციალური

იდენტურობა, დარგობრივი ტერმინი, დარგობრივი კომუნიკაცია.

შესავალი

ენა ასახავს ცხოვრებისეულ მოვლენებს, ეხმარება ადამიანს აღიქვას და შეიმეცნოს სოციალური ნორმები, ანუ ის მოლოდინები, რომლებიც საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფს გააჩნია საკუთარი ჯგუფის წევრების ქცევებისა და განწყობების მიმართ. ასევე, ენა უწყურადღებოდ არ ტოვებს საზოგადოების წევრთა შორის ურთიერთობის ხერხებსა და კულტურულ ტრადიციებს. ენის განვითარების დინამიკას ნათლად ასახავს ბავშვის განვითარება როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი განვითარების თვალსაზრისით. თუ კარგად დავაკვირდებით ამ პროცესს, ცხადი გახდება, თუ როგორ ხდება ბავშვის ენობრივი “აღზრდა”, ანუ როგორია ენის გავლენა ბავშვის აღზრდის პროცესზე, რა მიმართულებით ვითარდება ბავშვი, როცა იგი იწყებს ენის შესწავლას თუ აღქმას, როცა ის ფლობს ენას ამა თუ იმ დონეზე და როცა ის მართავს დამოუკიდებლად კომუნიკაციას საკუთარი შეხედულებისამებრ. “ენის საშუალებით ნათელი ეფინება იმ ვითარებას, თუ როგორ გარდაიქმნება ბიოლოგიური ადამიანი, ბიოლოგიური არსება სოციალურ ადამიანად, სოციალურ არსებად. ენის საშუალებით ადამიანი სწავლობს აღიქვას გარე სამყარო, მოახდინოს საკუთარი მოთხოვნების და განცდების კოდიფიცირება“ [ოსკაარი 2003:16].

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ენა არ არსებობს ცარიელ სივრცეში და არ შეიძლება იქნას განხილული ადამიანისაგან, ადამიანთა ჯგუფისაგან და იმ საზოგადოებისაგან იზოლირებულად, რომელსაც

ის ეკუთვნის. ამ თვალსაზრისით გვერდს ვერ აუვლით ედვარდ სეპირს, რომელიც განმარტავს, თუ რაოდენ დიდია ენის შესწავლის პროცესში ორი ასპექტის, - გარესამყაროსა და საურთიერთო, საკონტაქტო პირის როლი. იგი ენაში ხედავს გზის გამკვლევს სოციალურ რეალობაში და აღგენს: “Eliminate society and there is every reason believe that the child will learn to wolk, if, indeed, he survives at all. But it is just as certain that he will never learn to talk, that is, to communicate ideas according to the traditional system of a particular society”. [სეპირი 1921:2].

ძირითადი ნაწილი

ინდივიდისათვის ენა მისი პიროვნული და სოციალური იდენტურობის ძირითადი ფაქტორია და ასევე იდენტიფიკაციის ფაქტორიც. ხშირად გვესმის ჩვენს გარშემო ამ ტიპის გამოქმეები: “ის სხვანაირად ლაპარაკობს”, “ის რაღაც განსხვავებულია ყველასგან”. ამ გამოთქმებთანაა დაკავშირებული ყველა სხვა პოზიტიური თუ ნეგატიური შეფერილობის ფრაზა. ჩვენი ენით ცხადდება როგორც ჩვენი ნაციონალური და რეგიონალური მიკუთვნებადობა, ასევე ჩვენი მიკუთვნებადობა სქესთან, საზოგადოების ამა თუ იმ ფენასთან ან საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფთან.

პიროვნების იდენტიფიკაციის ნიშნებია ხმა, გამოთქმა, ინტონაცია, სიტყვათა შერჩევა, სიტყვაწყოლა წინადადებაში, წინადადების წყოლა, სინტაქსური კომბინაციების აგების შესაძლებლობები, ასევე ნონვერბალური და ექსტრავერბალური კომპონენტები დ მრავალი სხვა. ენა ასევე საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური ინსტრუმენტია. ენის გარეშე საზოგადოების ინსტიტუციების ფუნქციონირება წარმოუდგენელია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და მასზე დაყრდნობით ოსკაარი ასკენის, რომ ენა სოციალური კონტროლისა და სოციალური

გავლენის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ის შესაძლებელს ხდის არა მხოლოდ კონტაქტს ამა თუ იმ ჯგუფის წარმომადგენლებთან, არამედ ის თავადაა ჯგუფის შექმნისა და მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების განმსაზღვრელი ფაქტორი. გარდა ამისა, ასევე ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევენ იგი ენის როლს ეროვნული იდენტურობის ჩამოყალიბების საქმეში [ოსკაარი 2003:16].

ოსკაარი თვლის, რომ ოთხი კომპონენტი – ენა, კულტურა, ინდივიდუმი, საზოგადოება – ქმნის ერთ მთლიანობას, რომელშიც მისი შემადგენლები არა იზოლირებულად, არამედ ერთმანეთთან კონტაქტში, ერთმანეთთან კავშირში უნდა იქნეს განხილული იმ შემთხვევაშიც კი, როცა რომელიმე მათგანი ცალკე გამოიყოფა კვლევის ობიექტად. საკითხები, რომლებიც ინდივიდს და მის ენას ან ენებს ეხება, მუდმივად აღქმულ და შეცნობილ უნდა იქნას როგორც ინდივიდუალური და საზოგადოების ფენომენები და არა როგორც დიქტომიურ ნიშანთა მატარებელი. ის განხილულ უნდა იქნას კონვერგენციის პრინციპის მიხედვით. ამ კონტექსტში ოსკაარი იმოწმებს არისტოტელეს, რომლის თანახმადაც ადამიანი არის როგორც zoon logon echon, ასევე zoon politicon, რაც ნიშნავს, რომ ადამიანი არსებაა, რომელსაც აქვს ერთი მხრივ, ლოგოსი, ანუ ენა, გონება და მეორე მხრივ ის, რომ იგი სოციალური არსებაა. ადამიანი დანახულ უნდა იქნეს მის გარეგან და შინაგან გარემოთაშორის ურთიერთობის, მისი ენობრივ-ეკოლოგიური სისტემის ფონზე. ამ კონტექსტში შესაძლოა ლაპარაკი იყოს ასევე მისი სოციოკულტურული ურთიერთობის ჩარჩოების შესახებაც [ოსკაარი 2003:17].

დარგობრივი ტერმინი, რომელიც დარგობრივი ენების საფუძველია, პირველ რიგში, დარგის სპეციალისტებს შორის კომუნიკაციის საშუალებაა, რომელსაც ისინი კომპლექსურ საგანთა მიმართებების აღსანიშნად და მათ გამოსახატავად იყენებენ. ამდე-

ნად, ეს ენები განსაზღვრულ აზროვნებისა და ქმედების სახეობაზეა ორიენტირებული და მათთან დაკავშირებული, რომლებიც, თავის მხრივ, მათი ენობრივი გამოხატვის ფორმებზე ახდენენ გავლენას. ამ ტიპის პროფესიონალური ენობრივი ქმედება დარგობრივი ინფორმაციის ასახვისას და მისი ენობრივი გამოხატვისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს ზუსტი და ცალსახა, რაც ხორციელდება, ერთი მხრივ, სისტემური ტერმინოლოგიის, დარგობრივი ტექსტის სახეობების კონვენციებისა და მეორე მხრივ - დარგობრივი ინფორმაციის ზოგადი სტრუქტურირების გათვალისწინებით. დარგობრივი კომუნიკაციისათვის ეს ნიშნავს მნიშვნელობის კონტაქტური და ემოტიური კომპონენტების უკანა პლანზე გადაწევისა და ავტორის მიერ ეფექტური, ენობრივად ეკონომიური ტექსტის აგებას ინფორმაციის შეფასებისაგან დისტანციურად (საკუთარი აზრის გამოხატვის გარეშე).

დარგობრივი ენების გამოყენებამ შესაძლოა სხვადასხვა დისციპლინის სპეციალისტებს შორის, ასევე/ან სპეციალისტსა და დილექტანტს შორის გამოიწვიოს კომუნიკაციური გაუგებრობები, რაც სხვადასხვაგვარად შეიძლება აღმოიფხვრას და სრულყოფილ იქნეს ცოდნის ტრანსფერის სპეციფიკური ფორმით.

ჰოფმანი აღნიშნავს, რომ “ნამდვილი დარგობრივი ენა ყოველთვის უკავშირდება სპეციალისტს. თუ მას არასპეციალისტი იყენებს, დარგობრივი ენა კარგავს თავის უშუალო კავშირს დარგობრივად აზროვნებასთან. ცნებები და გამონათქვამები ასევე კარგავენ თავისი მნიშვნელობისა და სიზუსტის დიდ ნაწილს, უპირველეს ყოვლისა კი თავის მიმართებას დარგობრივ სისტემატიკასთან, რასაც დილექტანტი ვერ ამჩნევს” [ჰოფმანი 1976:31].

გლეზერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ დარგობრივი კომუნიკაციის ქმედების შედეგი დარგობრივი ტექსტია, რომელიც მიმართებებით დაკავშირებული, საგნობრივ-

ლოგიკურად დანაწევრებული, დასრულებული, რთული ენობრივი გამონათქვამია, რომელიც გამოხატავს გარკვეული საქმიანობისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ შინაარსს, იყენებს სიტუაციურად ადეკვატურ ენობრივ საშუალებებს და ავსებს მათ ისეთი ვიზუალური საშუალებებით, როგორცაა სიმბოლოები, განტოლებები, გრაფიკები და სურათები [გლეზერი 1990:18].

ზოგადად ტერმინი, შესაბამისად - დარგობრივი ლექსიკა, სოციოლინგვისტიკის კვლევის საგანია, რადგან სოციოლინგვისტიკის შესწავლის ძირითადი ობიექტია პროფესიული ენების სუბსტანდარტული ლექსიკა და აღნიშნული ლექსიკის ფუნქციონირების სოციალური კონტექსტი. ხშირ შემთხვევებში, სოციოლინგვისტიკურ ნაშრომებში ვხვდებით ტერმინოლოგიური მეტონიმის ფაქტებს, როცა ვარიანტული სიტყვაშეთანხმებებით - პროფესიული ენა/პროფესიული ქვეენა/სუბენა - სახელდება სხვადასხვა ფენომენები, კერძოდ, ენის პროფესიულად განპირობებული ფორმის ფენომენი და ენის ამავე ფორმის სალექსიკონო შემადგენლობის ერთეულები [კომაროვა 2004].

ამავე კონტექსტში მოვიაზრებთ დარგობრივ კომუნიკაციასაც. იგი, როგორც სოციალური მოვლენა, ასევე სოციოლინგვისტიკის ჭრილში უნდა განიხილებოდეს, რადგან მის საფუძველს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ტერმინი ქმნის.

სოციოლინგვისტიკისა და კომუნიკაციური სიტუაციის მიხედვით დარგობრივი ენების კლასიფიკაციის მცდელობა სლექტინგს და ჰანსენს ეკუთვნით. ისინი ასახელებენ ენების სამ ტიპს:

1. ენა, რომელიც გამოიყენება კომუნიკაციური აქტის პროცესში, რომელშიც მონაწილეობს ამა თუ იმ პროფესიული სფეროს ორი ექსპერტი. (ამ შემთხვევაში ისინი ამა თუ იმ დარგის პროფესიონალები არიან).

2. ენა უპირატესად ლიტერატურულია, ამა თუ იმ პროფესიონალური სფეროს კომუნიკაციური აქტია, თუ მასში მონაწილეობს

ერთდროულად ექსპერტი და არაექსპერტი (მაგალითად ჟურნალისტი უყვება თავისი სპეციალობის შესახებ აუდიტორიას).

3. ენა ზოგადია, თუ ის ყოველდღიურად გამოიყენება არასპეციალისტთა მიერ [სლექტივი, ჰანსენი 1977].

დარგობრივი ენების მეორე ფუნქციონალური კლასიფიკაცია ეყრდნობა დიფერენციაციას პროფესიული დარგისა თუ სფეროს გათვალისწინებით ან/და მის საფუძველზე, რომელსაც ესა თუ ის დარგობრივი ენა ემსახურება (მეცნიერება, ტექნიკა, მედიცინა, ტრანსპორტი და ა.შ.)

მესამე კლასიფიკაცია სტრუქტურული ტიპისაა. მისი ფუნქცია დარგობრივი ენების მორფოლოგიის, ლექსიკისა და სინტაქსის აღწერაა. დარგობრივ ენებს, რომლებიც ვერბალურ დონეზე გამოხატავენ პროფესიონალურ ცოდნას, აქვს ყველა ლექსიკურ-სემანტიკური საშუალება, რომელიც საშუალებას აძლევს მას ადეკვატურად მოემსახუროს პროფესიულ სფეროს [გრაუდინა, შირიავეი 1999:206].

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, დარგობრივი კომუნიკაციის პროცესი სოციალური ქმედებაა და იგი სოციალურ ურთიერთობებში აისახება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად სოციალური მოვლენების, მათი თავისებურებებისა და მახასიათებლების კვლევა ლინგვისტური კუთხით სულ უფრო მეტ დირექტულებას იძენს, ხდება სულ უფრო აქტუალური და მრავალი მკვლევარის ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

ლიტერატურა

1. Oskar E.(2003): Zweitspracherwerb. Wege zur Mehrsprachigkeit und zur interkulturellen Verständigung

2. Sapir E. (1921): Language: An Introduction to the Study of Speech: Bibliographic Record

3. Hoffmann (1976): Kommunikationsmittel Fachsprache. Berlin

4. Gläser R.(1990): Fachtextsorten im Englischen. Tübingen: Narr

5. Komarova (2004): Komarova A. I., Funktsionalnaya stilistika: nauchnaya rech. Yazyk dlya spetsialnykh tseley (LSP) [Functional stylistics: scientific speech. Language for special purposes (LSP)]. Moscow, Editorial URSS Publ., p. 192 (in Russian).

6. Sletting K., Hansen I. (1977): Spesailsprog. Fremmedsprogspædagogik.Eds. E. Glahn et al Copenhagen&Gyldendal

7. Граудина Л., Ширяев Е.(1999): Культура русской речи . Учебник для вузов . Москва

Language - the Factor of Social Identity and Sociolinguistic Aspects of the Term

Rusudan Tabukashvili

Georgian Technical University

Department of Foreign Languages

77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 593 512 484

E-mail:r.tabukashvili@gmail.com

Tea Borchkhadze

Georgian Technical University

Department of Foreign Languages

77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 599 107 244

E-mail:borchkhadze@yahoo.com

Abstract

Special language and communication, based on its specificity, contains many actants, each of them should be the subject of study of both linguistics and

sociology. The neglect of one of the actants, or their separate study, will not form a complete picture of the subject being studied. Accordingly, the study of the term special language and communication is the prerogative of two fields - linguistics and sociology, their symbiotic research work involves the cooperation of these two disciplines, since the use of a particular special language is carried out by a professional specialist, a representative of the relevant field, the corresponding social stratum, status and age, being a member of a particular sphere or society.

Keywords:

sociolinguistics, language, social identity, special term, special communication.

**Язык – фактор
социальной идентичности и
социолингвистические аспекты
термина**

*Табукашвили Русудан Михайловна
Грузинский Технический Университет
Департамент иностранных языков
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 512 484
E-mail: r.tabukashvili@gmail.com*

*Борчхадзе Тея Давидовна
Грузинский Технический Университет
Департамент иностранных языков
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 599 107 244
E-mail: borchkhadze@yahoo.com*

Резюме

Отраслевой язык и коммуникация, исходя из своей специфики, вмещает в себе множества ак-

тантов, каждый из них должен являться предметом исследования как лингвистики, так и социологии. Пренебрежение одного из актантов, или их отдельное исследование не составит полную картину изучающего предмета. Соответственно, исследование термина, отраслевого языка и коммуникации является прерогативой двух отраслей – лингвистики и социологии, их симбиозные исследовательские работы предусматривают сотрудничество этих двух дисциплин, так как употребление того или иного отраслевого языка осуществляет профессионал-специалист, представитель соответствующей отрасли, соответствующего социального слоя, статуса и возраста, являясь членом той или иной сферы или общества.

Ключевые слова:

социолингвистика, язык, социальная идентичность, отраслевой термин, отраслевая коммуникация.

თარგმანის ეკოლოგია. მთარგმნელობითი შეცდომები

რუსუდან თაბუკაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უცხოური ენების დეპარტამენტი

კოსტავას ქ. №77, 0175, თბილისი,

საქართველო

ტელ: 593 512 484

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

ჩიქვინიძე ია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უცხოური ენების დეპარტამენტი

კოსტავას ქ. N77, 0175, თბილისი,

საქართველო

ტელ. : 551 453 531

E-mail : chikvinidze@gmail.com

რეზიუმე

ჩვენს თანამედროვეობაში აქტიურად ვითარდება ცოდნის სხვადასხვა სფეროს ეკოლოგიზაცია. მეცნიერების ეკოლოგიზაციის პროცესი იწვევს ახალი ჰიბრიდული მიმართულებების წარმოშობას. მაგალითად, ლინგვისტიკისა და ეკოლოგიის მიჯნაზე/კვეთაზე წარმოიშვა ახალი დიცისპლინათაშორისი მეცნიერება - ლინგვისტიკური ეკოლოგია(ლინგვოეკოლოგია, ენის ეკოლოგია, ეკოლინგვისტიკა).

ლინგვისტიკური ეკოლოგიის ჩარჩოებში ხდება თარგმანის თეორიის ახალი თანამედროვე მიმართულების ფორმირება, რომელსაც თარგმანის ეკოლოგია ეწოდება. ამ მიმართულების ძირითადი ობიექტია თარგმანის ხარისხი, რადგან დამკვეთის მიზანია საბოლოო პროდუქტის სახით მიიღოს ხარისხიანი თარგმანი, რაც აიოლებს კომუნიკაციას.

საკვანძო სიტყვები:

თარგმანი, ენა, ეკოლოგია, ეკოლინგვისტიკა, ინტრალინგვური.

შესავალი

ლინგვისტიკური ეკოლოგიის ჩარჩოებში შესაძლებელია გამოიყოს 3 ასპექტი: ინტრალინგვური, ინტერლინგვური და ტრანსლინგვური. ამათგან პირველი - **ინტრალინგვური** - საფუძვლად უდევს მთარგმნელობითი შეცდომების განხილვის საკითხს და იგი დაკავშირებულია მეტყველების კულტურასთან, სტილისტიკასთან, რიტორიკასთან და იკვლევს კორექტულობის, სიცხადის, ლოგიკურობის, გამომხატველობისა და მეტყველების სხვა კომუნიკაციურ თავისებურებებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ლინგვისტიკური ეკოლოგიის ჩარჩოებში ხდება თარგმანის თეორიის ახალი თანამედროვე მიმართულების ფორმირება, რომელსაც თარგმანის ეკოლოგია ეწოდება. ამ მიმართულების ძირითადი ობიექტია თარგმანის ხარისხი.

ძირითადი ნაწილი

როგორც წესი, თარგმანის ხარისხის დონეს პირდაპირი კავშირი აქვს დაშვებული შეცდომების რაოდენობასა და მათ რაგვარობასთან (რა ტიპისაა შეცდომები). ამასთან, მთარგმნელობითი პროცესის თითოეული მონაწილე (დამკვეთი, სათარგმნი ტექსტის ავტორი, მთარგმნელი, რედაქტორი) ცნებას „მთარგმნელობითი შეცდომა“ განმარტავს თავისებურად და ამ მიზეზით იქმნება ის სირთულეები, რომლებიც დაკავშირებულია თარგმანის ხარისხის უნივერსალური პარამეტრების განსაზღვრის საკითხთან. გარდა ამისა, თარგმანის სხვადასხვა ტიპებს აქვს შეცდომათა ტიპოლოგიისა და ხარისხის განსხვავებული კრიტერიუმები.

მთარგმნელთა შეცდომებმა შეიძლება გამოიწვიოს სავალალო შედეგები. განსაკუთრებით ეს ეხება ტექნიკური ლიტერატურის თარგმნას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მთარგმნელთა შორის არ არსებობს ერთიანი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა ჩაითვალოს შეცდომად და როგორ უნდა შეფასდეს ტექსტში ამა თუ იმ შეცდომის „ზარალის ხარისხი“.

არსებობს უამრავი მოსაზრება, თუ რა არის მთარგმნელობითი შეცდომა. ასეთად მიჩნეულია „კომუნიკაციური ეფექტის დარღვევა, ასევე, ორიგინალი ტექსტის შინაარსის დარღვევა“, ანუ ესაა ნორმის დარღვევა, ორიგინალის შინაარსიდან გადახრა, სათარგმნი ენის ტექსტის კომუნიკაციური ეფექტის შეუსაბამობა თარგმანის ტექსტის ენის ეფექტთან.

თარგმანის თითოეულ კონკრეტულ სიტუაციაში მთარგმნელი ირჩევს მთარგმნელობით სტრატეგიას, რომელშიც იგულისხმება „მთარგმნელის ქმედებათა თანმიმდევრობა და კონკრეტული ტექსტის არსი თარგმნისას“. ამის სარეალიზაციოდ ის იყენებს სხვადასხვა მეთოდებს, რომლებიც ემსახურება თარგმანის ხარისხის გაუმჯობესებას და მისი კომუნიკაციური მიზნის მიღწევას. მთარგმნელობითი სტრატეგიების გაუთვალისწინებლობა იწვევს შეცდომებს. აღნიშნული შეცდომები არღვევს ნორმებს და ამცირებს, აკნინებს თარგმანის ხარისხს. თარგმანს, ზოგადად, უყენებენ შემდეგ ნორმატიულ მოთხოვნებს:

1. თარგმანის ეკვივალენტობის ნორმა;
2. თარგმანის ჟანრულ-სტილისტიკური ნორმა;
3. მთარგმნელობითი მეტყველების ნორმა;
4. თარგმანის პრაგმატული ნორმა;
5. თარგმანის კონვენციონალური ნორმა.

თუკი დაირღვევა ერთ-ერთი ამ მოთხოვნათაგანი, თარგმანში იქნება შეცდომა. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ნებისმიერი ნორმატიული მოთხოვნის გაუცნო-

ბიერებელი დარღვევა თარგმანის მიმართ არის მთარგმნელობითი შეცდომა.

სპეციალისტების მიერ შემუშავებულია განზოგადებული კლასიფიკაცია, კერძოდ:

1. შეცდომები ტექსტის აღქმის ეტაპზე:
 - შეცდომები „ნიშანი-ცნების“ დონეზე
 - შეცდომები „ნიშანი-რთული ცნების“ დონეზე
 - შეცდომები „ნიშანი-შინაარსის“ დონეზე

2. შეცდომები ტექსტის კონსტრუირების ეტაპზე:

- ფაქტობრივი შეცდომები
- ლექსიკური შეცდომები
- გრამატიკული შეცდომები
- ესთეტიკური შეცდომები
- სტილისტიკური შეცდომები
- კალკირება
- თავისუფლებები
- ფორმალური შეცდომები
- პუნქტუაციური შეცდომები
- ორთოგრაფიული შეცდომები
- კომპოზიციური შეცდომები

შეიძლება დავასკვნათ, რომ **თარგმანის ეკვივალენტობის ნორმის დარღვევა** აისახება ტექსტის აღქმის ეტაპზე დაშვებულ ფაქტობრივ შეცდომებში, ასევე ისეთ შეცდომებში, როგორცაა თავისუფლებები. შეცდომების ასეთი ტიპები დაკავშირებულია უშუალოდ ტექსტის შინაარსთან. **ჟანრულ-სტილისტიკური ნორმის დარღვევები** ვლინდება ტექსტის შედგენის/კონსტრუირების ეტაპზე დაშვებულ, კერძოდ, ესთეტიკური შეცდომების რიგში - სტილისტიკურში. **მთარგმნელობითი მეტყველების ნორმების დარღვევა** ჩანს ლექსიკურ და გრამატიკულ შეცდომებში. მასვე ეკუთვნის კალკირება, რადგან ტექსტში ასეთი შეცდომების არსებობა „არყვეს“ სათარგმნი ენის ნორმასა და უზუსს.

გრამატიკული ნორმის დარღვევა აისახება შეცდომების ყველა ტიპში, რომლებიც ჩამოთვლილია ზემოაღნიშნულ კლასიფიკაციაში, რადგან პრაგმატიკული პოტენცილის გადაცემის ხარისხი დამოკიდებულია

თარგმანის ნებისმიერი ნორმის დაცვაზე/ დაუცველობაზე.

ტექსტის აღქმის დონეზე დაშვებული შეცდომები დაკავშირებულია უცხოური ენის ცოდნის არასაკმარის დონესთან. თარგმანის ამ ეტაპზე არასწორი ტრანსფორმაციის შედეგად შეცდომები წარმოიშობა.

ტექსტის შედგენის/კონსტრუირების დონეზე ყველაზე მეტად ტიპურია გრამატიკული, ესთეტიკური და ფორმალური შეცდომები.

გრამატიკული შეცდომები - გამოწვეულია სიტყვისა და ფორმაწარმოების ნორმების, ასევე, სიტყვებს შორის სინტაქსური კავშირების დაუცველობით.

ესთეტიკური შეცდომები დაკავშირებულია თარგმანის ტექსტის ესთეტიკური ზემოქმედების დარღვევასთან. ყველაზე მეტად გავრცელებული ტიპი ესთეტიკური შეცდომებისა არის თავისუფლებები.

თავისუფლებები თარგმანის ერთეულების უარგუმენტო გამოტოვება ან, პირიქით, ასეთი ერთეულების დამატებაა.

ფორმალური შეცდომები უშუალოდ დაკავშირებულია გამოსატვის პლანთან. ამ ტიპის შეცდომების გამომწვევი მიზეზებია პუნქტუაციისა და ორთოგრაფიის წესების დარღვევა.

მთარგმნელობითი შეცდომების აღწერილი კლასიფიკაცია მარტივი და გასაგებია იმისათვის, რომ იგი გამოყენებული იქნას თარგმანის პრაქტიკულ კურსში. მოცემული კლასიფიკაცია ითვალისწინებს თარგმანის თეორიის თეორიული საკითხების ცოდნას. ამასთან იგი თვალსაჩინოდ ასახავს თარგმანის ეკოლოგიური ასპექტის მნიშვნელობასა და ღირებულებას თარგმანის პროცესში.

დასკვნა

შეიძლება დავასკვნათ, რომ შეცდომების

ყველა ტიპში ვლინდება თარგმანის კონვენციონალური ნორმების გაუცნობიერებელი იგნორირება, რადგან იგი თავისთავად ზემონამოთვლილი ყველა ნორმის დაცვას მოიაზრებს.

ლიტერატურა

1. რ. თაბუკაშვილი, ი.ჩიქვინიძე (2017): მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები. სტუთბ.

2. Reiss K. (2009): *Problématiques de la traduction*. Paris: Economica

Ecology of Translation. Translation Errors

Rusudan Tabukashvili

Georgian Technical University

The Department of Foreign Languages

77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 593 512 484

E-mail: r.tabukashvili@gmail.com

Ia Chikvinidze

Georgian Technical University

The Department of Foreign Languages

77 Kostava str., 0175, Tbilisi, Georgia

Tel.: 551 453 531

E-mail: chikvinidze@gmail.com

Abstract

Nowadays, the ecologization of various fields of knowledge is actively developing. The process of ecologization of science leads to the emergence of new hybrid directions. For example, at the border / intersection of linguistics and ecology, a new interdisciplinary science has emerged - linguistic ecology (linguistic ecology, language ecology, ecolinguistics).

Within the framework of linguistic ecology, a modern direction in the theory of translation is be-

ing formed, which is called the ecology of translation. The main goal of this direction is the quality of translation, because the goal of the client is to get a quality translation as a final product that facilitates communication

Keywords:

translation, language, ecology, ecolinguistics, intralingual.

вода. Основным объектом этого направления является качество перевода, так как цель клиента - получить качественный перевод, что облегчит коммуникацию.

Ключевые слова:

перевод, язык, экология, эколлингвистика, интралингвальный.

Экология перевода. Ошибки при переводе

Табукашвили Русудан Михайловна
Грузинский технический университет
Департамент иностранных языков
Ул. Костава №77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 593 512 484
E-mail: r.tabukashvili@gmail.com

Чиквинидзе Ия Гиглаевна
Грузинский технический университет
Департамент иностранных языков
Ул. Костава N 77, 0175, Тбилиси, Грузия
Тел.: 551 453 531
E-mail : chikvinidze@gmail.com

Резюме

В современном мире активно развивается экологизация разных сфер знания. Процесс экологизации науки вызывает рождение новых гибридных направлений, напр. На пересечении лингвистики и экологии появилась новая междисциплинарная наука – лингвистическая экология (лингвоэкология, экология языка, эколлингвистика).

В рамках лингвистической экологии происходит формирование нового современного направления, которая называется экологией пере-

ადამიანის მახასიათებლების პროექცია მწერების ადმინიშენელ მეტაფორებში იტალიურ და ქართულ ენებში

მაია ჯავახიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ი.ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,

საქართველო

ტელ: 599 104 315

E-mail: maiajava@yahoo.com

რეზიუმე

კოგნიტიური მეტაფორის თეორიის ფარგლებში დადგენილია კოგნიტიური მეტაფორის - ადამიანი ცხოველია (HUMANS ARE ANIMALS) - არსებობა. ამ კოგნიტიური მეტაფორის კვლევის მიზნით გავაანალიზეთ მწერების სემანტიკური ჯგუფი ქართულ და იტალიურ ენებში, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა, თუ კონკრეტულად რომელი მწერებია წარმოდგენილი წყაროს სფეროში(დომენში) ადამიანის მიზნის სფეროს გასაგებად, დადასტურებული შემთხვევებიდან კი, რომელი მათგანი გამოირჩევა სიხშირის მიხედვით; ასევე გავარკვიეთ, დასტურდება თუ არა გენდერული ნიშნით მათი მარკირება და მწერების საშუალებით ადამიანის გარეგნობის, მისი საქციელისა და შინაგანი თვისებების პროექციის დროს შეფასების თვალსაზრისით რომელი მიმართულება ჭარბობს - პოზიტიური თუ ნეგატიური.

საკვანძო სიტყვები:

კოგნიტიური ლინგვისტიკა, კოგნიტიური მეტაფორა, პროექცია, მიზნისა და წყაროს სფეროები, წყაროს სფერო - მწერები, იტალიური ენა, ქართული ენა.

შესავალი

კონცეპტუალური მეტაფორა შედგება ორი კონცეპტუალური სფეროსაგან და ერთი (კონცეპტუალური დომენი A) გაიგება მეორის (კონცეპტუალური დომენი B) საშუალებით. თავად კონცეპტუალური სფერო არის ნებისმიერი გამოცდილების მწყობრი ორგანიზაცია. მაგალითად, კოგნიტიურ მეტაფორაში ცხოვრება მოგ ზაურობაა ჩვენ გვაქვს მწყობრი ცოდნა მოგ ზაურობის შესახებ, რასაც ვეყრდნობით, როდესაც ვცდილობთ, გავიგოთ, თუ რა არის ცხოვრება.

აქვე გამოვეყოფთ კონცეპტუალური მეტაფორის რამდენიმე მთავარ მახასიათებელს: კონცეპტუალური მეტაფორა განსხვავდება ლინგვისტური (ენობრივი) მეტაფორული გამოთქმებისაგან. ეს უკანასკნელი არიან ენაში დადასტურებული სიტყვები ან სხვა ენობრივი გამოთქმები, რომელთა ერთიანობაც ქმნის კონცეპტუალურ მეტაფორას;

როგორც წესი, ენა გამოიყენებს უფრო აბსტრაქტულ კონცეპტს, როგორც მიზნის სფეროს და უფრო კონკრეტულს, როგორც მათ წყაროს. მაგალითად, კამათი ან სიყვარული, უფრო აბსტრაქტული კონცეპტებია, ვიდრე ომი ან მოგ ზაურობა, რომლებიც გამოიყენება, როგორც წყაროს სფეროები კამათისა და სიყვარულის მიზნის სფეროების გასაგებად. კონცეპტუალურ მეტაფორებში კამათი არის ომი და სიყვარული არის მოგ ზაურობა.

ჩვენი ფიზიკური გამოცდილება ფიზიკურ სამყაროსთან არის ლოგიკური და ბუნებრივი საფუძველი უფრო აბსტრაქტული სფეროს გასაგებად. ამგვარი მეტაფორები აწყობილია ერთი მიმართულების პრინციპით - კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ და არა პირიქით [Kövesces 2010:6].

ძირითადი ნაწილი

წყაროს გაგრძელებული სფეროებია ადამიანის სხეულის ნაწილები, ადამიანის ჯანმრთელობა და ავადმყოფობა, მცენარეები, ცხოველები, თამაშები, სპორტი და სხვ.;

ლაკოფისა და ტერნერის მიხედვით [Jakoff, Johnson 1989], ცხოველთა მეტაფორა ეფუძნება ე. წ. დიდი ჯაჭვის მეტაფორას [Great Chain Metaphor]; ის გაგებულია, როგორც კულტურული მოდელი, რომელიც სხვადასხვა არსებებსა და საგნებს (ადამიანებს, ცხოველებს, მცენარეებს, რთული აგებულების მქონე საგნებსა და ბუნებრივ ფიზიკურ საგნებს) განალაგებს იერარქიულად; იერარქია აგებულია ყოველი მისი შემადგენლის თვისებებისა და მახასიათებლების საფუძველზე. სისტემა ხდება მეტაფორული, როდესაც მისი ერთი კონკრეტული დონე გამოიყენება სხვა კონკრეტული დონის გასაგებად; უფრო მაღალ იერარქიულ დონეზე მყოფი ელემენტები გაიგება უფრო დაბალ იერარქიულ საფეხურზე მდგომი ელემენტების საშუალებით (მაგ., ადამიანი გაიგება როგორც ცხოველი ან მცენარე) ან პირიქით, უფრო დაბალ საფეხურზე მყოფი ელემენტი კონცეპტუალიზებულია როგორც უფრო მაღალ საფეხურზე მყოფი ერთეული (მაგალითად, რთული აგებულების მქონე საგნები პერსონიფიცირებულია) [Kövesces 2010:167].

კოგნიტიური მეტაფორა ადამიანი ცხოველი ასეთი ნიშნებით ხასიათდება:

1. ის სისტემატიური ხასიათისაა – ყველა მაგალითში ხდება იდენტური ტიპის სტრუქტურის დადგენა, რომელიც ეფუძნება წყაროსა (ცხოველები) და მიზნის (ადამიანები) სფეროებს შორის შესაბამისობების პროექტირებას.

2. ის ეფუძნება როგორც ადამიანებთან, ისე ცხოველებთან ურთიერთობის ჩვენებულ გამოცდილებას.

3. ის ეფუძნება მეტაფორას – ზოგადი

არის კონკრეტული (Generic is Specific Metaphor), რაც საშუალებას იძლევა, რომ მოხდეს ზოგადი ინფორმაციის პროექტირება წყაროს სფეროდან მიზნის სფეროს კონკრეტულ მაგალითში.

4. ის გულისხმობს არსებათა იერარქიულ ორგანიზაციას. მაგალითად, მოცემული კოგნიტიური მოდელის გამოყენებით ცხოველურ მეტაფორასთან მიმართებაში ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ ადამიანები (უმაღლესი არსებები) ცხოველთა ტერმინებში (უმაღლესი არსებები) და ასევე შეგვიძლია გავიგოთ ცხოველები ადამიანის ტერმინებში, ვინაიდან მივაწერთ მათ ადამიანების თვისებებს. ამგვარად ეს მოდელი აკავშირებს იერარქიაში ორ დონეს იმგვარად, რომ ერთი გაიგება მეორის ტერმინებში და ის მუშაობს ორი მიმართულებით: ზევიდან ქვევით და პირიქით [Fontecha, Jimenez 2003:774].

როგორც კოვეშესი აღნიშნავს, ცხოველთა დომენი ძალიან გაგრძელებული წყაროს დომენია. ძალიან ხშირად ენებში ადამიანი გაგებულია სწორედ ცხოველების თვისებებისა და მახასიათებლების საშუალებით, მაგალითად, ჩვენ ვადარებთ ადამიანს ვეფხვს, მელას, ძაღლს, ძროხას, გველს და ა.შ., გარდა თავად ზოონიმებისა, აბსტრაქტული სფეროების კონცეპტუალიზაციის დროს ხშირად გამოიყენება ცხოველის სხეულის ნაწილები ან მათი საცხოვრისის დასახელებებიც [Kövesces 2010].

მეტაფორას მიმართავს ყველა ენა და კულტურა და მისი გამოყენება უნივერსალური მოვლენაა, მაგრამ კონკრეტული მეტაფორის არჩევა სამყაროს გაგების მიზნით შესაძლებელია კულტურით იყოს განპირობებული; მაშასადამე, შესაძლებელია დავუშვათ, რომ განსხვავებული კულტურები ერთსა და იმავე მოვლენას სხვადასხვა მეტაფორით აღწერენ, ან, შესაძლებელია, რომ ესა თუ ის მეტაფორული გამოთქმა წარმოადგენდეს კულტურის მაჩვენებელს –

იმას, თუ როგორ ხედავენ, ფიქრობენ, სწამთ და აღიქვამენ სამყაროს კონკრეტული ენის მატარებლები. ამიტომაც, ერთი ცხოველი შეიძლება „დადებითად“ იქნას მიჩნეული ერთ კულტურაში და „უარყოფითად“ – მეორეში. ამ თვალსაზრისით, ინტერკულტურულ კომუნიკაციაში, შესაძლებელია გარკვეულ გაუგებრობასაც ჰქონდეს ადგილი, როდესაც მოსაუბრენი სხვადასხვა კულტურებს წარმოადგენენ, ან/და როდესაც მეტაფორა გამოხატავს ერთმანეთისაგან განსხვავებულ კონოტაციას [Aliakbari M., Faraji E., 2013].

წინამდებარე სტატიაში ჩვენი კვლევის საგანია იმის დადგენა, თუ როგორ არის პროექცირებული იტალიური და ქართული ენების ცხოველურ მეტაფორებში (Animal Metaphors) მწერები – როგორც წყაროს სფერო და ადამიანები – როგორც მიზნი-

სა. ამ მიზნით გამოვიყენეთ იტალიური განმარტებითი ლექსიკონი, ტრეკანის ონლაინ ლექსიკონი, ქართული ენის კორპუსი, ქართული ენის ეროვნული კორპუსი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და იდიომური გამოთქმების ლექსიკონი.

მეტაფორულ პროექცირებას დაქვემდებარებული მწერების თემატური ჯგუფი ასეა წარმოდგენილი იტალიურ ენაში: ხის ჭია, ჭრიჭინა, ბუზი, კრაზანა/ბზიკი, რწყილი, ტილი, ჭიანჭველა, ფუტკარი, ციკადა, კალია, ნემსიყლაპია, პეპელა, ღამის პეპელა, ქინქლა, ღვთისმლოცველა, კოლო, ციცინათელა, წურბელა, ტიპა. ვნახოთ ამ ლექსიკური ერთეულების მეტაფორული მნიშვნელობები და შევჩერდეთ მხოლოდ ადამიანის მახასიათებლის პროექციაზე, რომლებიც გადავანაწილეთ ორ დიდ ჯგუფში: ადამიანის გარეგნობა, ადამიანის ქცევა შინაგანი მახასიათებელი;

tarlo – ხის ჭია; ასევე ჭიანი ქართულში

იტალიური	ქართული
ადამიანის ქცევა/შინაგანი მახასიათებელი	
Gli e' montato il tarlo del dubbio – ეჭვის ჭია შეუჩნდა Il tarlo del dubbio – ეჭვის ჭია, il tarlo del rimorso – სინანულის ჭია, il tarlo della gelosia – ეჭვიანობის, il tarlo dell'invidia – შურის ჭია	ჭიას ახარებს – თავის (პატარა) სურვილებს იკმაყოფილებს. <i>ვმუშაობდი ტვირთის გადასაზიდ კომპანიაში, დავატარებდი უზარმაზარ ტრაილერს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და შეძლებისდაგვარად, “მოგ ზაურის ჭიასაც” ვახარებდი (ა. გეგენ, მოგ ზაურის დღიურები) (იდიომ. ლექსიკონი)</i> ჭიას იკლავს – გულს იოხებს <i>შენ მუშტის ქნევით იკლავ ჭიასა (ვაჟა, ქველი)</i> ეჭვის ჭია ღრღნის/ჭამს/აწვალებს, ცნობისმოყვარეობის ჭია, პატივმოყვარეობის ჭია ღრღნის, <i>ქართული ენის კორპუსი</i>
ადამიანის გარეგნობა	
	ავადმყოფი, სუსტი. <i>„იმასაც ვნახავთ, ვისაც მიათხოვებს თალაღა თავის ჭიან ქალსაო“ (ა.ცაგარ.)</i>

Grillo (Gryllus campestris) – ჭრიჭინა:

იტალიური	ქართული
ადამიანის ქცევა/შინაგანი მახასიათებელი	
<p>Grillo parlante – მოლაპარაკე ჭრიჭინა – ადამიანი, რომელსაც მოსწონს ჭკუის დამრიგებლობა, მორალისტის როლში ყოფნა (კარლო კოლოდის „პინოქიოს“ გმირი)</p> <p>saltela come un grillo – დახტის ჭრიჭინასავით, ანუ კარგი ჯანმრთელობის მქონე ადამიანი, ცოცხალი და მოძრავი.</p> <p>კაპრიზი, უცნაურობა, უეცარი სურვილი: Avere dei grilli per la testa – თავი სავსე აქვს უცნაური აზრებით (იდეებით).</p> <p>Gli è saltato il grillo di collezionare cartoline – უცნაური აზრი მოუვიდა – ღია ბარათების შეგროვება.</p> <p>gli e' montato (saltato, venuto) il grillo di partire – უეცრად გამგზავრება მოუხდა</p>	

pulce – რწყილი:

იტალიური	ქართული
ადამიანის ქცევა/შინაგანი მახასიათებელი	
<p>mettere la pulce nell'orecchio – სიტყვასიტყვით: ყურში რწყილი ჩაუსვა – ყურში ჩააწვეთა</p> <p>Fare le pulci a qc., ზედმეტად კრიტიკულად ეძებს სხვაში ნაკლსა და შეცდომებს, არაკეთილგანწყობილია Noioso come una pulce – რწყილივით აბეზარი, თავისმომბეზრებელი</p>	

mosca – ბუზი:

იტალიური	ქართული
ადამიანის ქცევა/შინაგანი მახასიათებელი	
<p>Pigliare le mosche – ბუზებს იჭერს – უაზრო საქმით არის დაკავებული</p> <p>Stare a guardare le mosche che volano – მფრინავ ბუზებს უყურებს – არაფერს არ აკეთებს, გონებაგაფანტულია;</p> <p>Far saltare la mosca al naso a qc., – ცხვირწინ ბუზს აუფრენს – ვინმეს მოთმინებას აკარგვინებს, იწვევს.</p> <p>Far venire la mosca al naso – ვინმეში მომენტალურად ბრაზს იწვევს.</p> <p>Restare con un pugno di mosche in mano – ხედავს საკუთარი ძალისხმევის, გეგმების ნგრევას (ძანიკელი); იმედგაცრუებულია, მინიმუმი მოგება ვერ ნახა საიდანმე (ტრეკანის ლექსიკონი); პირში ჩალაგამოვლებული დარჩა.</p> <p>Tornare con un pugno di mosche -ერთი მუჭა ბუზებით დაბრუნდა – რაიმე შედეგს ვერ მიაღწია</p> <p>non si lascia posare (o montare) la mosca al naso – ცხვირზე ბუზს არ დაისვამს – ვერ აიტანს რაიმე სახის შევიწროებას, არავის დაეჩაგრვინება.</p> <p>აუტანელი, მომაბეზრებელი, აბეზარი, თავშემაწყენელი ადამიანი.</p> <p>ha paura di una mosca – ბუზების ეშინია, იტყვიან ძალიან მშიშარა ადამიანზე.</p> <p>Non farebbe male a una mosca - ბუზსაც კი არ ავნებს – იტყვიან ძალიან კეთილშობილ ადამიანზე.</p> <p>Essere una mosca bianca – თეთრი ბუზი – იშვიათი თვისებების მქონე ადამიანი</p> <p>Mosca cocchiera – მეეტლე ბუზი (ფედრის იგავიდან) ბუზი, რომელსაც ჰგონია, რომ რაღაცას წარმოადგენს, დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, უნდა შექმნას დიდი წარმოდგენა თავის თავზე.</p>	<p>ბუზებს ყლაპავს, ბუზებს თვლის – უსაქმურადაა, არაფერს აკეთებს.</p> <p>ბუზიყლაპია – უსაქმური, გაურჯელი; პირდაღებული, დოყლაპია.</p> <p>ბუზიჭერია – უსაქმური, დოყლაპია. <i>თუ სოფელში ვინმე უსაქმური და ბუზიჭერიაა, საბოლოოდ ყველა მაგ ხელობას ირჩევსო (თ. ჩალ).</i></p> <p>ბუზიჭერიობა – უსაქმურობა.</p> <p><i>ნუთუ სხვა საქმე არაფერი გაქვთ, რომ ასეთი ბუზიჭერიობით გართულხართ ამ საომარ ვითარებაში? (ო. იოს.).</i></p> <p>რა ბუზმა უკბინა? რა ბუზი დააჯდა? – რა დაემართა, რატომ იქცევა ასე უცნაურად? გამაგებინე, თუ კაცი ხარ, რა უნდა, რა ბუზმა უკბინაო (ო. ჭილა).</p> <p>ბუზადაც არ აგდებს – არაფრად მიაჩნია. <i>[მე] კლასში ბუზადაც არ მაგდებდნენ (გ. კეჭაღმ).</i></p> <p>ბუზსაც ვერ აუფრენს – გადატ. თითს ვერ დააკარებს, ვერაფერს გაუბედავს, ვერაფერს დააკლებს</p> <p>ბუზსაც არ აიფრენს – თავს არ შეიწუხებს, არაფრად მიიჩნევს. <i>როცა შეილის გასაზრდელი სახარჯო არა გვაქვს, ბუზსაც არ ავიფრენთ, ხელსაც არ გავანძრევთ(ილია)</i></p> <p>ბუზსაც ვერ ააფრენს (ბუზსაც ვერ აუფრენს) – ვერაფერს გაბედავს.</p> <p>თავზე ბუზსაც არ დაისვამს – ამაყად უჭირავს თავი, დიდგულობს, არავის დაეჩაგრვინება. <i>თუმცა ასეა, მაგრამ... თავზე ბუზსაც არ ისვამს და დიდის ბუკითა და ნადართი იქადის: რაცა ვარ, მე ვარო (ილია).</i></p> <p><i>ის კაცი მამალ ბუზსა თავზე არ ისვამს, თქვენს ოჯახში კი გააპამუღეს (კ. ლორთქ).</i></p> <p>თავზე ბუზსაც არ იფრენს (შუბლზე ბუზსაც არ იფრენს; თავზე ბუზსაც არ აიფრენს) – მეტისმეტად ამაყია, უკადრისია, ზედმეტად თავმოყვარეა; აინუნშიც არ აგდებს</p> <p><i>ბაღღები უცქერიან ამ ბერიკად მორთულ დონკიხოტსა და ქება-დიდებას მისძახიან..., დონკიხოტსაც სჯერა... ბაღღებისა და შუბლზე ბუზსაც არ იფრენს (ილია, ქეგლი)</i></p>

ბუზანკალი (*Hippobosca equina*) – იტალიურად *la mosca cavallina*; საქონლის (უმთავრესად ცხენისა და ძაღლისა) მკბენარი ფრთიანი მწერი არ არის პროექტირებული

იტალიურში. ქართულში პროექტირებულია როგორც ადამიანის გარკვეული ქცევა: **ბუზანკალი შეაჯდება** – აწრიალდება, მოულოდნელად იწყებს რასმე, გაგულისდება.

vespa – კრაზანა:

კრაზანა არ არის პროექტირებული მეტაფორულ წყაროდ ქართულში.

იტალიური	ქართული
ადამიანის გარეგნობა	
Vita, vitino di vespa – ძალიან წვრილი წელი; (ქალის შესახებ)	
ადამიანის ქცევა/შინაგანი მახასიათებელი	
Pungere come una vespa – კრაზანასავით იკბინება – „მკბენარა“ სიტყვებს, გამოთქმებსა და მინიშნებებს ამბობს Essere noioso come una vespa – კრაზანასავით აბეზარია; თავის მომბეზრებელი, თავის შემაწყენელი ადამიანი.	

piattola – ბოქვენის ტილი:

pidocchio – ტილი:

იტალიური	ქართული
ადამიანის გარეგნობა	
	ტილიანი (ტილიანისა) დამცირ. გადატ. ბინძური, ჭუჭყიანი. «მეხი-კი დავაყარე თქვენ ტილიან თავებს!» (ილია). (ქველი)
ადამიანის ქცევა/შინაგანი მახასიათებელი	
Piattola – აბეზარი, თავშემაწყენელი, გულის გამაწყალებელი ადამიანი. pidocchio : ძუნწი, საცოდავად მეწვრილმანე, ადამიანი. Pidocchio rifatto – ითქმის ადამიანზე, რომელიც სწრაფად და ადვილად გამდიდრდა, თუმცა მეწვრილმანედ დარჩა. Pidocchietto – კნინობითი ფორმაა, რომელიც იხმარება გადატანითი მნიშვნელობით და აღნიშნავს ძუნწ ადამიანს, განსაკუთრებით იმას, ვინც აზარტულ თამაშებში ძალიან დაბალ თანხებს დებს.	

ადამიანის სხვა ზოგადი ნიშან-თვისება	
pidocchioso – ტილიანი: არაფრისმქონე, უბადრუკი, ღარიბი;	
formica – ჭიანჭველა:	
იტალიური	ქართული
ადამიანის ქცევა/შინაგანი მახასიათებელი	
mangiare quanto una formica – ჭიანჭველასავით (ძალიან ცოტას) ჭამს, Andare a passo di formica – ჭიანჭველას ნაბიჯებით – ძალიან პატარა და ნელი ნაბიჯებით გადაადგილდება Avere il cervello di una formica ჭიანჭველას ტვინი აქვს შრომისმოყვარე, მომჭირნე, ყაირათიანი, აქტიური ადამიანი, რომელიც აქტიურად მუშაობს და უაზროდ არაფერს გაფლანგავს. Essere laborioso, previdente come una formica ჭიანჭველასავით მშრომელი, წინდახედული?	ჭიანჭველასავით ჭიანჭველასავით ვეწეოდი ჩემს ბუმბერაზ სკაფანდრს მაღლა და მაღლა... (მ.დოლიძე, მოგზაურობა მთვარეზე) ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამს, [მო]არიდებს, აარიდებს – სათნოა, არავის დაუშაგებს რასმე, არავის აწყენინებს.
ადამიანის გარეგნობა	
in confront a lui e' una formica – მასთან შედარებით ჭიანჭველაა	ჭიანჭველასავით ...ამ სიმაღლე კაცს...თუმცა წელი ძველებურად ჭიანჭველასასავით გაწყვეტაზე აღარ ჰქონდა, მაგრამ მუცელი სხეუბსავით არ ეტყობოდა (გ.აბაშ, ევარსლან ბაკურციხელი) ...შენი თავი პატარა ქონდრისკაცად გეჩვენება და ჰფიქრობ, ეს კლდე რომ გადმოწვეს, ჭიანჭველასავით გაგსრესავს (ი. მანსვეტ. მოგონებანი.ნახული და გავონილი).

ape – ფუტკარი:

იტალიური	ქართული
ადამიანის ქცევა/შინაგანი მახასიათებელი	
E' operoso come un'ape – ფუტკარივით მუშა, მშრომელი ape regina – დედა (დედოფალი) ფუტკარი: ქალი, რომელიც პატივს არ სცემს მამაკაცებს და იყენებს მათ მხოლოდ გამრავლების მიზნით.	ფუტკარივით ...პოეტი...შრომობდა როგორც ფუტკარი, წერდა, წერდა დიდი შთაგონებით... (ქურნ. დროშა 1983, N5) ...ორივე ფუტკარივით მშრომელი ადამიანია... (ნ.წულეისკირი, მუხა, ვაზი და საქონელი) ეს ფუტკარივით მოუსვენარი მშრომელი კაცი გონებაში სულ სხვა გარეგნობისა წარმოვიდგინე (ვიტ.მიქიაშვილი, კაცი სამას ითხვისელოთაგან)

cicala – ციკადა:

იტალიური	ქართული
ადამიანის ქცევა/ შინაგანი მახასიათებელი	
cicala – ციკადა: აბეზარი და ჭორიკანა ადამიანი.	

cavalletta – კალია:

იტალიური	ქართული
ადამიანის ქცევა/ შინაგანი მახასიათებელი	
ძალიან ხარბი, გაუმაძღარი, ღორმუცელა ადამიანი; აბეზარი, რომელიც ყველაფერში ერევა, ცხვირს ყოფს.	

libellula – ნემსიყლაპია:

იტალიური	ქართული
ადამიანის ქცევა/ შინაგანი მახასიათებელი	
სიმსუბუქის, მოქნილობის, გრაციოზულობის სიმბოლო; ძირითადად ქალის შესახებ danzare come una libellula – ნემსიყლაპიასავით ცეკვავს.	

farfalla – პეპელა:

იტალიური	ქართული
ადამიანის ქცევა/ შინაგანი მახასიათებელი	
Farfalla (farfallina) – მსუბუქი და ცვალებადი ხასიათის ადამიანი, ძირითადად ქალი. Farfallone – მექალთანე, ზედაპირული კაცი, ქარაფშუტა, მერყევი და ცვალებადი ხასიათისა.	

ქართულში დასტურდება ჭრელი პეპელა – ვითომდა ყველაზე უკეთესი, ყველაში გამორჩეული: *ჩემმა მოწინააღმდეგემ შორს დაიჭირა: “მე თუ დამარტყევს, შენ რა ჭრელი პეპელა ხარო?!”* (აკაკი, ჩემი თავგადასავალი)

falena – ღამის პეპელა:

იტალიური	ქართული
ადამიანის ქცევა/ შინაგანი მახასიათებელი	
1. ახალგაზრდა (ბიჭი ან გოგო), რომელიც ვერ ჩერდება ერთ ადგილზე, სულ მოძრაობს და ისე, რომ ირგვლივმყოფნი ამას ვერც კი ამჩნევენ; 2. ზედაპირული ადამიანი 3. მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, რომელიც ღამით ღამპიონებთან ახლოს დგას, რომ შეამჩნიონ.	

moscerino – ქინქლა:

იტალიური	ქართული
ადამიანის გარეგნობა	
moscerino – ქინქლა: ფიზიკურად ძალიან პატარა აღნაგობის ადამიანი.	
ადამიანის ქცევა/შინაგანი მახასიათებელი	
„პატარა“ ადამიანი, რომელიც არაფერს არ წარმოადგენს.	

mántide – ღვთისმლოცველა, (ჩოქელა)

იტალიური	ქართული
ადამიანის ქცევა/შინაგანი მახასიათებელი	
ქალი, რომელიც პატივს არ სცემს მამაკაცებს და რომელიც მხოლოდ გამრავლების მიზნით იკავებს ურთიერთობას მათთან.	

zanzara – კოღო:

იტალიური	ქართული
ადამიანის გარეგნობა	
Vocino di zanzara – მკივანა და წვრილი ხმა (როგორც კოღოს ბზუილი).	
ადამიანის ქცევა/ შინაგანი მახასიათებელი	
აბეზარი, თავის შემაწყენელი ადამიანი; განსაკუთრებით თავისი დაუინებულობითა და მომაბეზრებლობით	

lucciola – ციციინათელა;

იტალიური	ქართული
ადამიანის ქცევა/შინაგანი მახასიათებელი	
მსუბუქი ყოფაქცევის ქალი	

sanguisuga – წურბელა:

იტალიური	ქართული
ადამიანის ქცევა/ შინაგანი მახასიათებელი	
1. ხარბი ადამიანი, რომელიც ფულს „სწოვს“ სხვებს; 2. თავის მომაბეზრებელი ადამიანი.	სხვისი შრომით მცხოვრები, პარაზიტი (ადამიანი). გლეხობას თავი ვერ დაუხსნია წურბელა მედუქნეების ვალისა და ვახშისავან (ილია).

zecca – ტკიპა; ქართულში – ტკიპასავით

იტალიური	ქართული
ადამიანის ქცევა/შინაგანი მახასიათებელი	
თავის მომაბეზრებელი ადამიანი	შე სასიკედილე ასინეთა, შემოდი ტკიპასავით რო მოკვრიხარ მაგ კარს! (ქ. ენის ეროვნული კორპუსი)

Ragno – ობობა

იტალიური	ქართული
ადამიანის გარეგნობა	
essere, sembrare un ragno – 1. ობობას ჰგავს, ობობასავით არის – არაპროპორციული აღნაგობის ადამიანის შესახებ, არაპროპორციულად გრძელი ფეხებითა და ხელებით. 2. ფიზიკურად პატარა აღნაგობის ადამიანი.	
ადამიანის ქცევა/შინაგანი მახასიათებელი	
	<i>...ჩვენ კი ობობასავით ბადეებს ვხვართავთ (თ.ლანჩავა, ზამთრის თეთრი მერცხლები) (ქართ. ენის კორპუსი)</i>

დასკვნა

ყველა ეს მაგალითი შედის საერთო მეტაფორაში *ადამიანები ცხოველებია* Humans are (understood as) animals, სადაც ცხოველები – წყაროს სფეროა და ადამიანები (მათი გარეგნობა, ქცევა ან შინაგანი მახასიათებელი) – მიზნისა.

მწერების თემატურ ჯგუფში იტალიურ ენაში წარმოდგენილია 24 დასახელების ერთეული, ქართულში ამ 24-იდან ჩვენთვის საინტერესო პროექციაში დასტურდება მხოლოდ 5: ჭია, ბუზი, ჭიანჭველა, ფუტკარი, (ჭრელი) პეპელა; არ დასტურდება: ჭრიჭინა, რწყილი, კრაზანა, ტილი, ციკადა, კალია, ნემსიყლაპია, ღამის პეპელა, კოლო და ციცინათელა. იტალიურში კი, ქართულისაგან განსხვავებით, არ დასტურდება ბუზანკალი.

ადამიანის ქცევისა და შინაგანი მახასიათებლის ჯგუფიდან ყველაზე ხშირია უარყოფითი მახასიათებლის პროექცირება: „აბეზარი“, „თავის მომაბეზრებელი“ – რაც, რა თქმა უნდა, უკავშირდება შესაბამისი მწერების (ბუზი, კრაზანა, ციკადა, კოლო) მიერ გამოცემულ ხმას ან მათ მახასიათებლებს, რომელიც ძალიან შემაწუხებელია ადამიანისათვის: წურბელა და ტიკა – სისხლს წოვს, კოლო და ტილი იკბინება და ქავილს იწვევს; მთლიანად აღნიშნულ ჯგუფში ჭარბობს უარყოფითი შეფასება, დადებითი ძალიან ცოტაა (ორივე ენაშია

წარმოდგენილი *ჭიანჭველასავით მუშა* და *ფუტკარივით მშრომელი*, იტალიურში ადამიანს, რომელიც *ჭრიჭინასავით დახტის* – კარგი ჯანმრთელობა აქვს).

ორივე ენაში მწერების ჯგუფიდან აღნიშნულ პროექციაში ყველაზე გავრცელებული ლექსიკური ერთეულია *ბუზი*, რომელიც უარყოფითი ნიშნით არის რეალიზებული.

გენდერული ნიშნით იტალიურში მდებრობითი სქესის ნიშნით პროექცირდება: კრაზანა, ფუტკარი (ape regina), ციცინათელა, პეპელა (farfallina) და მამრობითი სქესის ნიშნით: farfallone. ქართულში გენდერული ნიშნით პროექცია არ ხდება.

ლიტერატურა

1. Aliakbari M., Faraji E. (2013): Conceptualization of Man's Behavioral and Physical Characteristics as Animal Metaphors in the Spoken Discourse of Khezeli People, <https://bop.unibe.ch/linguistik-online/article/view/1141/1867>
2. Fontecha A. F., Jimenez R.M. (2003): Semantic derogation in animal metaphor: A contrastive-cognitive analysis of two male/female examples in English and Spanish. Catalan / Journal of Pragmatics 35 771–797

3. Kövesces Z. (2010): *Metaphor. A practical introduction*. Oxford University Press
4. Lakoff G. and Johnson M. (1980): *Metaphors We Live By*. University of Chicago Press
5. Johnson M. (1987): *The Body in the Mind*, University of Chicago Press
6. Treccani: [https://www.treccani.it/vocabolario/disco/Lo Zingarelli 2001, Vocabolario della 6. Lingua Italiana di Nicola Zingarelli \(Bologna, 2001\)](https://www.treccani.it/vocabolario/disco/Lo Zingarelli 2001, Vocabolario della 6. Lingua Italiana di Nicola Zingarelli (Bologna, 2001))
7. იდიომური გამოთქმების ლექსიკონი <https://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka>
8. ქართული ენის ეროვნული კორპუსი <http://gnc.gov.ge/gnc/page>
9. ქართული ენის კორპუსი <http://corpora.iliauni.edu.ge/>

The Mapping of Humans in the Metaphors of Insects in Italian and Georgian

Maia Javakhidze
Tbilisi State University
Faculty of Humanities
36 Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia
Tel: 599 104 315
 E-mail: maiajava@yahoo.com

Abstract

In the present article I discuss one group of conceptual metaphor HUMANS ARE ANIMALS in which the source domain is presented by the insects. From 24 insects which are the source domains in Italian in Georgian only five are presented. The most spread one is the fly, which is presented in both languages in negative connotation. In Italian there are several insect names marked by a gender meaning, in Georgian – none.

Keywords:

cognitive linguistics, cognitive metaphor, mapping, HUMANS ARE ANIMALS, insects as a source domain, Georgian and Italian.

Проекция человека в метафорах, обозначающих насекомых в грузинском и итальянском языках

Джавахидзе Майя Анзоровна
Тбилисский государственный университет
Факультет гуманитарных наук
Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия
Тел .: 599 104 315
 E-mail: maiajava@yahoo.com

Резюме

В настоящей статье я обсуждаю одну группу концептуальной метафоры – ЛЮДИ ЭТО ЖИВОТНЫЕ, в которых в качестве сферы-источника представлены насекомые. Из 24 насекомых, которые проецированы в метафорах в итальянском, в грузинском представлены только пять. Наиболее распространённым элементом сферы-источника является муха, которая представлена в обоих языках в отрицательной коннотации. В итальянском с точки зрения гендерного признака маркированы несколько имён насекомых, тогда как в грузинском – нет ни одного такого имени.

Ключевые слова:

концептуальная метафора, метафора люди это животные, проекция, насекомые как сфера-источник, грузинский язык, итальянский язык.

**გულის კონცეპტუალიზაცია კოგნიტიური ლინგვისტიკის
თეორიის საფუძველზე
(ქართული და იტალიური ენის მასალაზე)**

მაია ჯავახიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზ. №36, 0179, თბილისი,
საქართველო
ტელ: 599 104 315
E-mail: maiajava@yahoo.com

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში განვიხილეთ იმიჯსქემის რაობა და იმიჯსქემის საფუძველზე მოვასდინეთ გულის, როგორც კონტეინერის კონცეპტუალიზაციის აღწერა ქართულ და იტალიურ ენებში. გამოვყავით ორი დიდი მეტაფორული ჯგუფი - გული, როგორც საგანი, რომელიც შეიძლება იყოს დიდი ან პატარა, გარკვეული მასალისაგან და გული, როგორც ცოცხალი არსება, რომელიც შეიგრძნობს, გადაადგილდება, ექვემდებარება გარკვეული გარემო პირობების ზემოქმედებას. ზოგადად, გაანალიზებული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართულში გული ბევრად უფრო დამუშავებული კონცეპტია, ვიდრე იტალიურ ენაში.

საკვანძო სიტყვები:

კოგნიტიური ლინგვისტიკა, გულის კონცეპტუალიზაცია, იმიჯსქემები, გეშტალტი.

შესავალი

ლაკოფისა და ჯონსონის კონცეპტუალური მეტაფორის თეორიამ [Lakoff and Johnson:1980] შეცვალა მეტაფორის ხედვა, რომელიც ამ თეორიის დამკვიდრებამდე არსებობდა და გვიჩვენა, რომ მეტაფორა არის

არა მხოლოდ ენობრივი, არამედ ადამიანის აზროვნებისთვის დამახასიათებელი მოვლენა. ამ თეორიის ძირითადი პოსტულატი შემდეგია: ერთი კონცეპტუალური სფერო გაიგება მეორე კონცეპტუალური სფეროს საშუალებით.

კოგნიტიური ლინგვისტიკის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ასევე მარკ ჯონსონის ნაშრომი „The Body in the Mind“ (1987), სადაც დეტალურად არის ახსნილი იმიჯსქემებისა და გეშტალტების რაობა, რომელსაც ვიყენებთ წინამდებარე ანალიზში.

ძირითადი ნაწილი

როგორც მარკ ჯონსონი აღნიშნავს, იმიჯსქემა არის ჩვენი პერცეფციული ინტერაქციისა და მოტორული პროგრამების განმეორებადი, დინამიკური მოდელი, რაც აძლევს თანმიმდევრულობას ჩვენს გამოცდილებას [Johnson 1987:XIV], ანუ, იმიჯსქემები ჩვენს გამოცდილებასა და გაგებაში არსებული აბსტრაქტული მოდელებია, რომლებიც არ არიან პროპოზიციური და თამაშობენ ცენტრალურ როლს მნიშვნელობასა და ჩვენ მიერ გაკეთებულ დასკვნებში.

და ბოლოს, იმიჯსქემა – დინამიკური მოდელია, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც იმიჯის აბსტრაქტული სტრუქტურა და ამიტომ აკავშირებს ერთმანეთთან ფართო და სხვადასხვაგვარ გამოცდილებას [Johnson 1987:2].

იმისთვის, რომ ავხსნათ, რას ნიშნავს „არ არის პროპოზიციური“, უნდა განვმარტოთ, რა არის პროპოზიცია. კოგნიტიური ლინგვისტიკის ერთ-ერთი თეორეტიკოსის - მარკ ჯონსონის - თეორია უპირისპირდება

მნიშვნელობის ობიექტივისტურ თეორიას, ობიექტივისტურ პროპოზიციებს, რომლებიც აკონკრეტებენ, განსაზღვრავენ აბსტრაქტულ ურთიერთობებს სიმბოლოებსა და ობიექტურ რეალობას შორის.

აკ მოკლედ წარმოვადგენთ პროპოზიციის ხუთ ობიექტივისტურ განმარტებას; პროპოზიცია არის:

1. გამონათქვამი (statement)

2. არგუმენტებისა (ერთეულები) და პრედიკატების (ამ ერთეულთა თვისებები და ურთიერთობები) შემცველი რეპრეზენტაცია

3. ერთეულებსა და მის პრედიკატებს (მახასიათებლებს), ან ბევრ ერთეულს შორის არსებული მდგომარეობა

4. მოდელების თეორია

5. ელემენტებისა და მათ შორის არსებული კავშირების სასრული რეპრეზენტაცია.

ხუთივე განმარტება ხაზს უსვამს პროპოზიციების სასრულ (finitary) ხასიათს. ჯონსონი აღნიშნავს, რომ პროპოზიციის ამგვარი განმარტება ვერ ხსნის იმიჯსქემების ანალოგიურ ბუნებას და ვერც იმ ძირეულ მნიშვნელობას გადმოსცემს, რომელსაც ისინი თამაშობენ იმიჯსქემატურ ტრანსფორმაციებში - კოგნიტიურ ოპერაციებში, როგორცაა იმიჯის სკანირება, ძალის ვექტორის შესაძლო ტრანსფორმირების სქემის შედგენა, ერთი სქემის მეორეზე დადება და სხვ., ამიტომ ის გეთავაზობს მეექვსე განმარტებას: პროპოზიცია არსებობს, როგორც გამოცდილების ან გაგების უწყვეტი, ანალოგიური მოდელი, რომელსაც აქვს საკმარისი შინაგანი სტრუქტურა იმისათვის, რომ შესაძლებელი გახადოს ლოგიკური დასკვნის გაკეთება [Johnson, 1987:3].

ვინაიდან იმიჯსქემები და მათი მეტაფორული გაფართოებები პროპოზიციურია ამ განსაკუთრებული მნიშვნელობით, ისინი შეადგენენ ბევრწილად იმას, რასაც ვუწოდებთ მნიშვნელობის სტრუქტურას და ლოგიკურ დასკვნით მოდელს (inferential patterns), თუმცადა ისინი არ არიან სასრულნი. იმიჯ-

სქემის შინაგანი სტრუქტურა ჩვენს გაგებაში არსებობს უწყვეტად, ანალოგიურობის პრინციპით, რაც საშუალებას აძლევს მას, რომ შევიდეს გარკვეულ ტრანსფორმაციებსა და სხვა კოგნიტიურ ოპერაციებში.

მნიშვნელოვანია ხაზი გავეუსვათ იმას, თუ რით განსხვავდება სხეულისმიერი სქემები კონკრეტული იმიჯისაგან და პროპოზიციებისაგან.

„სხეულისმიერი სქემა“, „იმიჯსქემა“ - გვახსენებენ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს სქემატურ სტრუქტურებთან, ისინი განუწყვეტლივ ოპერირებენ ჩვენ მიერ სამყაროს პერცეფციაში, სივრცეში სხეულის გადაადგილების დროს და საგნების ფიზიკური მანიპულაციისას. იმიჯსქემები არ არის სუბიექტ-პრედიკატის აბსტრაქტული სტრუქტურები, რომელიც აკმაყოფილებს ჭეშმარიტების პირობებს. ეს არის სტრუქტურები, რომლებიც ახდენენ ჩვენი მენტალური რეპრეზენტაციების ორგანიზაციას უფრო ზოგად და აბსტრაქტულ დონეზე, ვიდრე ის დონეა, რომელზეც ჩვენი კონკრეტული მენტალური იმიჯებია. სქემებს ახასიათებთ განზოგადების ისეთი ხარისხი, რომელიც მათ ერთი დონით მაღლა სწევს კონკრეტულ, მდიდარ იმიჯებთან შედარებით. იმიჯსქემებზე შესაძლებელია სივრცითი ოპერაციების ანალოგიური მენტალური ოპერაციების ჩატარება, მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია შევაბრუნოთ ისინი და ჩავატაროთ სხვა ტიპის ტრანსფორმაციები.

დასკვნა - იმიჯსქემები და მათი ტრანსფორმაციები წარმოადგენს კოგნიტიური ოპერაციების განსხვავებულ დონეს, ისინი განსხვავდება როგორც კონკრეტული მდიდარი იმიჯებისაგან (მენტალური ხატებისაგან), ისე სასრული პროპოზიციური რეპრეზენტაციებისაგან [Johnson 1987:23, 24, 27].

იმიჯსქემები არსებობს განზოგადებისა და აბსტრაქტირების დონეზე, რაც მათ საშუალებას აძლევს, რომ იმუშაონ როგორც მაიდენტიფიცირებელმა მოდელებმა განუსაზღვრელი რაოდენობის გამოცდილებასთან

მიმართებაში, პერცეფციებისა და იმიჯების შექმნაში იმ საგნებისა და მოვლენებისათვის, რომლებიც ერთმანეთის მსგავსად არიან სტრუქტურირებულნი. იმიჯსქემების ძირითადი მახასიათებელი ისაა, რომ მათ აქვთ გარკვეული სტრუქტურა - ბაზისური ელემენტებიანი კომპონენტი, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრული სტრუქტურით. სწორედ ეს სტრუქტურა განაპირობებს, რომ ისინი ძირითადი საშუალებაა ჩვენს გამოცდილებაში წესრიგის მისაღწევად; მათ ახასიათებთ გარკვეული მოქნილობა. იმისათვის, რომ ჩვენ გვქონდეს აზრის მქონე, ერთმანეთთან დაკავშირებული გამოცდილებები, რომლებსაც გავიგებთ და რომელთა შესახებაც ვიმსჯელებთ, ჩვენს მოქმედებებს, აღქმასა და გაგებას უნდა ჰქონდეთ მოდელი და წესრიგი. სქემა არის ამ მიმდინარე მომავლესრიგებელი მოქმედებების (ან მათში) განმეორებადი მოდელი, ფორმა ან რეგულარობა, მათ აქვთ დინამიკური ხასიათი.

სქემა არის ორგანიზაციული მოქმედების მქონე (organizing activity), უსასრულო სტრუქტურა (continuous structure), დინამიკური ხასიათის, მოქნილი, ვინაიდან ერგება მსგავს, მაგრამ განსხვავებულ სიტუაციებს, რომლებიც ავლენენ განმეორებად შიგასტრუქტურას. ამავე დროს ისინი არიან სტაბილური და ამ თვისებას იძენენ იმით, რომ არიან საყოველთაოდ გავრცელებულნი ჩვენს მნიშვნელობათა ქსელში [Johnson 1987:30].

შიგნით-გარეთ ორიენტაციის მაგალითად შესაძლებელია ჩვენც გავიმეოროთ ჯონსონის მაგალითი და ქართულ ენას მოვარგოთ: ვიდვიძებთ - ძილიდან „გამოვიღვართ“ (ძილში ჩამესმა, ძილში მომეჩვენა -ში გვანიშნებს, რომ „ძილში ვართ“), შემდეგ ვდგებით - „გამოვძვრებით“ საბნიდან, შევდივართ აბაზანაში, კარადიდან გამოვიდებით (ან ნებისმიერი სხვა სათავსოდან) კბილის პასტას, კბილის პასტის ტუბიდან გამოვუშვებთ პასტას და ა. შ., შეიძლება ვინმესთან

დიალოგში შევიდეთ ან, სულაც, ფიქრებში წავიდეთ, მერე გამოვერკვეთ ფიქრებიდან, ავიღოთ ჩაიდან და ჩავიყაროთ ყავა და დავისხათ (ან ჩავისხათ) წყალი ჭიქაში. ამ მაგალითებიდან ზოგიერთი აშკარად ფიზიკური ორიენტაციაა სივრცეში, ზოგი კი არასივრცითი - აბსტრაქტული ურთიერთობებია (მაგ. ფიქრში წასვლა, ფიქრში ყოფნა შდრ. *ფიქრებში ვიყავი*), აქ უკვე შემოდის მეტაფორული აზროვნება.

მეტაფორა მ. ჯონსონის აზრით არ არის მხატვრული ან რიტორიკული მიზნებისათვის გამოყენებული სუფთა ლინგვისტური გამოთქმა (სიტყვათა ფორმა), ის არის გაგების პროცესი, რომლის საშუალებითაც ჩვენთვის აზრს იძენს ჩვენი გამოცდილება. მეტაფორა, როგორც „გამოცდილებითი“ მოვლენა ის პროცესია, რომლითაც ჩვენ გვესმის გამოცდილების ერთი კონკრეტული სფერო, იმგვარად, რომ ვახდენთ მის სტრუქტურირებას სხვა ტიპის სფეროს საშუალებით [Johnson 1987:15].

ნათქვამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია გავიმეოროთ ზევითმოყვანილი მაგალითი, რომელშიც კარგად ჩანს, რომ ქართულშიც მეტაფორულად „ფიქრში ყოფნა“ ან „ფიქრში წასვლა“, ზუსტად ისევეა, როგორც ფიზიკურად სადმე ყოფნა და სადმე წასვლა. ამ სქემის (შიგნით-გარეთ ორიენტაცია) ჩვენი პირველადი გაგება, როგორც ჯონსონი ამტკიცებს, უკავშირდება ჩვენს სხეულს, ანუ, ის არის პროტოტიპული შემთხვევა. „ფიქრში წასვლა/ყოფნა“ კი არის მაგალითი იმისა, თუ როგორ ხდება ფიზიკური სქემის მეტაფორული გავრცობა არაფიზიკურში.

რას ნიშნავს ის, რომ ემპირიულ სქემას აქვს გეშტალტის სტრუქტურა? გეშტალტი არის ორგანიზებული მთლიანობა, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ელემენტები, ის არის კოჰერენტული, მნიშვნელობის მქონე, გაერთიანებული მთლიანობები ჩვენი გამოცდილებისა და კოგნიციის შიგნით [Johnson 1987:41].

განვიხილოთ, მაგალითად, ძალის პრე-

კონცეპტუალური გეშტალტი; რითი იწყება ყველაფერი? იმისათვის, რომ გადავრჩეთ როგორც ცოცხალი ორგანიზმები, უნდა ვიმოქმედოთ გარე სამყაროსთან, სულ ვიბრძოლოთ გადარჩენისათვის, ეს კი ითხოვს ძალების დაძაბვას: ჩვენ თავად ვმოქმედებთ სხვა ობიექტებზე, ან ისინი ზემოქმედებენ ჩვენზე. ეს ისეთი ჩვეულებრივი „ორთაბრძოლაა“ ჩვენთვის, რომ ყურადღებას არც კი ვაქცევთ, ვინაიდან ძალები ყველგანაა, თუნდაც გრავიტაციის ძალა. ძალა ჩვენს გამოცდილებაში შემოდის, როგორც ინტერაქცია, ჩვენ მას ვაცნობიერებთ მაშინ, როდესაც ის ზემოქმედებს ჩვენზე ან ჩვენი პერცეფციის ველში მყოფ საგანზე; ძალას ახასიათებს ვექტორული თვისება - მიმართულება გარკვეული გეზით, კურსით. ჩვეულებრივ არსებობს ერთი გეზი (მაგალითად, ხელის მოძრაობა წიგნის ასაღებად), ან გრავიტაციის ძალით მიწისაკენ მოძრაობა ფოთოლი, რომელსაც თავისი ტრაექტორია აქვს - ეს პროტოტიპული შემთხვევაა, თუმცა არსებობს ნაკლებად პროტოტიპული შემთხვევები, მაგალითად, აფეთქების ძალა, რომელიც ქმნის უამრავ გეზს (კურსს) სხვადასხვა მიმართულებით. ამას გარდა ძალას აქვს წარმოშობა ან წყარო, ვინაიდან გააჩნია მიმართულება; აგენსმა ის შეიძლება მიმართოს გარკვეული მიზნისკენ, ამას გარდა, ძალას აქვს ენერჯის ხარისხი ან ინტენსიურობა, ანუ გაზომვადია ის ძალა, რომელიც ამ ენერჯიას წარმოქმნის. სწორედ ეს აღწერა არის ძალის გეშტალტსტრუქტურა - ანუ ჩამოყალიბებული სტრუქტურა ჩვენს გამოცდილებასა და გაგებაში, რომელიც არის განმეორებადი სტრუქტურა ან მოდელი. ჯონსონის აზრით, ემპირიულ გეშტალტებს აქვთ შინაგანი სტრუქტურა, რომელიც აკავშირებს ჩვენი გამოცდილების ასპექტებს და მიყვარდა დასკვნებამდე ჩვენს კონცეპტუალურ სისტემაში [Johnson 1987:42, 44].

ის, რასაც ჯონსონი ეძახის „იმიჯსქე-

მებს“, არის გეშტალტსტრუქტურა.

ახლა გადავიდეთ ჩვენი მასალის განხილვაზე, რომელიც ეყრდნობა ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან მოძიებული მასალის, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის, იდიომური გამოთქმების ლექსიკონის მონაცემებს, იტალიურ ენასთან მიმართებაში კი იტალიური ენის განმარტებითი ლექსიკონის მონაცემებს.

გული, როგორც კონტეინერი ორივე ენაში დასტურდება. კონტეინერის სქემა ერთ-ერთი ფუნდამენტური სქემაა, „ჩვენ საკუთარ თავს აღვიქვამთ როგორც სამ განზომილებიან კონტეინერს“, ამ კონტეინერში რაღაც შედის და იქიდან რაღაც გამოდის, აქედან გამომდინარე, ყველაფერს აღვიქვამთ, როგორც რაღაც მუდმივ ფიზიკურ შეკავებას (containment), მაგალითად, დახურულ სივრცეებში შევდივართ და იქიდან გამოვდივართ, ნივთებს რაიმე კონტეინერში (ჩა)ვდებთ და იქიდან (ამო)ვიღებთ.

ჯონსონი და ლაკოფი კონტეინერის მეტაფორას ონტოლოგიური მეტაფორების რიგს მიაკუთვნებენ. იმის მსგავსად, თუ როგორ ბადებს ადამიანის სივრცობრივი ორიენტაციის გამოცდილება ორიენტაციულ მეტაფორებს, მატერიალურ ობიექტებთან ურთიერთქმედების გამოცდილება (განსაკუთრებით ჩვენ საკუთარ სხეულთან) ქმნის საფუძველს ძალიან მრავალფეროვანი ონტოლოგიური მეტაფორების არსებობისათვის, ანუ, როდესაც მოვლენებს, მოქმედებებს, ემოციებს, იდეებს და ა.შ. მატერიალურ რაობებზე აღვიქვამთ [Lakoff Johnson 1980: 49].

კონტეინერის სქემა ფართოდაა წარმოდგენილი როგორც ქართულ, ისე იტალიურ ენაში; მაგალითად, იმას, რომ ჩვენ საკუთარ თავს აღვიქვამთ, როგორც კონტეინერს, ადასტურებს შემდეგი მაგალითები: გული ამოუჯდა ტირილით ან სირბილით გული ამოუვარდა (ამ შემთხვევაში კონტეინერი ჩვენი სხეულია, საიდანაც გული „ამოჯდება“ ან „ამოვარდება“).

ახლა კი განვიხილოთ შემთხვევები, რო-

დესაც თავად გული არის კონტეინერი. აქ შეიძლება გამოვეყნოთ ორი შემთხვევა: -ში თანდებულის საშუალებით ნაწარმოები კონტეინერი და ლექსიკურად, კონკრეტული ზმნის გამოყენებით, რომელიც კონტეინერს გულისხმობს:

1. -ში თანდებულის საშუალებით: გულში ჩაუვარდა (მოეწონა, დაინტერესდა), გულში უდევს (არ ავიწყდება, სათუთად ინახავს), ვინმეს გულში ზის (სხვისი აზრები იცის), გულში ამოიჭრის (სათუთად შეინახავს, გაუფრთხილდება), გულში ჩაიმარხავს (არ დაივიწყებს), გულში იკლავს გრძნობას (გრძნობას არავის უმხელს, თავის თავში იკლავს), გულში ხინჯი აქვს (დარდი აქვს), გულში გაივლებს (გაიფიქრებს); იტალიური ენის მაგალითებია: leggere nel cuore - გულში ამოიკითხავს (მიხვდება ჩანაფიქრს), avere una spina nel cuore - გულში ეკალი აქვს (დარდი აწუხებს), avere qc. nel/ a cuore გულში აქვს/ჰყავს რაღაც/ვიღაც - მოსწონს, აინტერესებს.

2. ლექსიკური საშუალებით: გული ევსება სიხარულით, გულის სიღრმემდე შემძრა, გულის გადახსნა (საიდუმლოს განდობა) ასევეა იტალიურშიც: fino al fondo del cuore (გულის ძირამდე).

დასტურდება საპირისპირო მნიშვნელობა - კონტეინერიდან ამოღება, ამ შემთხვევაში გამოყენებულია -დან თანდებული: გულიდან ამოიღებს, ამოიგლეჯს, ამოირეცხავს, ამოიფხეკს, ამოიფხვრის, გადააგდებს, გააძევეს, გადაუვარდება; გულიდან გადაეყრება - გაუვლის, გაუქრება (რაიმე განცდა), გარდა ორიენტაციისა შიგნით-გარეთ, ანუ კონტეინერის გაგებისა, დასტურდება ორიენტაცია ზედაპირზე-ზედაპირიდან: გულიდან ლოდი ჩამოეცლება, მოეხსნება - მწუხარება, დარდი, ნალველი მოშორდება, შდრ: Togliere il peso dal cuore (გულიდან სიმძიმის მოხსნა) - მწუხარება, დარდი, ნალველი მოშორდება; ბოლმა მოეშვება გულზე (დარდი გაუვლის), გულზე არ ახატია (არ უყვარს,

არ მოსწონს), ასევე: გულზე დაწოლილი ლოდი (მეტისმეტად შემაწუხებელი დარდი), გულზე შავი ქვა (მძიმე, დიდი ნალველი), გულზე ხელდაკრეფილი (უძრავად, უნუგეშოდ).

გულთან მიმართებაში შესაძლებელია გამოიყოს ორი დიდი მეტაფორული ჯგუფი, სადაც :

1. **გული საგანია:** გული გარკვეული ზომის მქონე საგანია: გული დიდია (მაშებითა გაქვთ დიდი გული), ნამცეცა გული (მხდალის, მშიშარას გული)

გული გარკვეული მასალის საგანია: ქართული ენის მონაცემები: გული ქვისაა, ოქროსია, რკინისაა;

იტალიური ენის მონაცემები: cuore d'oro (ოქროს გული) - კეთილშობილი, cuore di bronzo (ბრინჯაოს გული) - უგრძნობი, sentirsi il cuore di piombo (ტყვიის გული) - დადარდინებული, ნალვლიანი იყო.

2. **გული ცოცხალი არსებაა:**

გულს შეგრძნების უნარი აქვს: გრძნობს (გული უგრძნობს), სტკივა (გული სტკივა), ღონდება (გული უღონდება), გულს უხარია, გული ტირის, მას კლავენ (გული მოუკლა);

იტალიურში: Sentirsi ridere il cuore (გული იცინის)

გულს ფიზიკური გადაადგილება შეუძლია: გული არ უჩერდება (არ უდგება სადმე ან ვინმესთან), მიიწევს (ვიღაცისკენ ან რაღაცისკენ), ჩერდება, ბრუნდება (მოუბრუნდა რაღაცისკენ ან ვიღაცის მიმართ), გული „მიდის“ - გული წაუვიდა, გული არ მიუვიდა (რამეზე); გული „მოდის“ - გული მოუვიდა,

იტალიურში: fermare il cuore in q.c. - გული შეაჩერო (რამეში) - მყარი გადაწყვეტილება მიიღო.

ექვემდებარება გარკვეული გარემო პირობების ზემოქმედებას - ზოგადად სიცხე და სიცივე ადამიანის ბაზისური გამოცდილებებია. ხშირად ვიყენებთ სიცხის სფეროს მეტაფორულად, როდესაც ვსაუბრობთ ადამიან-

ნებთან ურთიერთობებზე. ცეცხლის სფერო დაკავშირებულია სიცხის სფეროსთან. გარდა იმისა, რომ ცეცხლის საშუალებით ვთბებით, ჩვენ ცეცხლს ვიყენებთ, როდესაც საკვებს ვამზადებთ, როდესაც საგნებს ვანადგურებთ (ვწვავთ) და ა.შ., ეს წყაროს სფერო განსაკუთრებით გავრცელებულია ვნებებისა და სურვილების მეტაფორული კონცეპტუალიზაციის დროს, მაგ. ისეთი გრძნობებისა, როგორცაა განრისხება, სიყვარული, სიძულვილი და ზოგი სხვა [Kövesces2010:18]. ყველაზე მეტად ქართულში დამუშავებულია ცეცხლისა და წყლის სფეროები:

სიცვიე: გული გაუცივდა; avere il cuore di ghiaccio (ყინულის გულის ქონა);

ქარი: გულიდან განიქარვა

წყალი: გული ეწურება, ემღვრება, ემღურება.

ცეცხლი: გული - იწვის (მეწვის), იმღურება (გული დამემღურა), იხრუკება (გული დამეხრუკა), ითუთქება (გული დამეთუთქა), გახურებულ გულზე (აღელვების დროს), გულის დამწველი (დიდი ნაღველის გამომწვევი). იტალიურში: scaldare il cuore (გულის გათბობა - დამშვიდება, გამხნეება).

დასკვნა

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ იმიჯსქემის რაობა, რომ ეს არის დინამიკური მოდელი, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც იმიჯის აბსტრაქტული სტრუქტურა და ამიტომ აკავშირებს ერთმანეთთან ფართო და სხვადასხვაგვარ გამოცდილებას.

იმიჯ-სქემის საფუძველზე დავადგინეთ გულის, როგორც კონტეინერის კონცეპტუალიზაცია, რომელშიც რაღაც ინახება (საპირისპირო მოქმედება - გულიდან რამის ამოღება). გამოვყავით ორი დიდი მეტაფორული ჯგუფი - გული, როგორც საგანი, რომელიც შეიძლება იყოს დიდი ან პატარა, გარკვეული მასალისაგან და გული, როგორც ცოცხალი არსება, რომელიც შეი-

გრძნობს, გადაადგილდება, ექვემდებარება გარკვეული გარემო პირობების ზემოქმედებას. ზოგადად კი, გაანალიზებული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართულში გული ბევრად უფრო დამუშავებული კონცეპტია, ვიდრე იტალიურ ენაში.

ლიტერატურა

1. Kövesces Z. (2010): Metaphor. A practical introduction. Oxford University Press
2. Lakoff G. and Johnson M. (1980): Metaphors We Live By. University of Chicago Press
3. Johnson M. (1987): The Body in the Mind, University of Chicago Press
4. Treccani: [https://www.treccani.it/vocabolario/disco/Lo-Zingarelli-2001-Vocabolario-della-6-Lingua-Italiana-di-Nicola-Zingarelli-\(Bologna,-2001\)](https://www.treccani.it/vocabolario/disco/Lo-Zingarelli-2001-Vocabolario-della-6-Lingua-Italiana-di-Nicola-Zingarelli-(Bologna,-2001))
5. იდიომური გამოთქმების ლექსიკონი <https://idioms.iliauni.edu.ge/?q=ka>
6. ქართული ენის ეროვნული კორპუსი <http://gnc.gov.ge/gnc/page>

Conceptualization of Heart on the Bases of Cognitive Linguistics (On the Material of Georgian and Italian Languages)

Maia Javakhidze

Tbilisi State University

Faculty of Humanities

36 Chavchavadze ave., 0179, Tbilisi, Georgia

Tel: 599 104 315

E-mail: maiajava@yahoo.com

Abstract

In the present article I discuss how the image schema of Mark Johnson (Johnson 1987) realizes in Georgian and Italian languages in the concept of

heart. Heart is a container in which there is something or out of which we put out something. On the bases of the ontological metaphor theory it is possible to identify two metaphorical groups: heart is a thing, that may be big or small, out of some material and heart as an alive, that can feel, move or that undergoes to a certain conditions like hit and cold. Generally as a concept heart is much more elaborated in Georgian than in Italian.

Keywords:

cognitive linguistics, conceptualization of heart, image schema, cognitive metaphor theory, gestalt.

**Концептуализация сердца на основе когнитивной лингвистики
(На материале грузинского и итальянского языков)**

Джавахидзе Майя Анзоровна

Тбилисский государственный университет

Факультет гуманитарных наук

Пр. И. Чавчавадзе №36, 0179, Тбилиси, Грузия

Тел .: 599 104 315

E-mail: maiajava@yahoo.com

Резюме

В настоящей статье я обсуждаю, как имидж схема Марка Джонсона (Johnson 1987) реализуется в грузинском и итальянском языках в понятии сердца. Сердце – это вместилище, в котором что-то есть или из которого что-то выкладываем. Можно выделить две метафорические группы, сердце – вещь, большая или маленькая, из какого-либо материала и сердце как живое, способное чувствовать, двигаться и подчиняться определённым влияниям окружающей среды. В целом сердце в грузинском языке гораздо более разработано концептуально, чем в итальянском.

Ключевые слова:

когнитивная лингвистика, концептуализация сердца, имидж схема, гештальт, грузинский язык, итальянский язык.

ავტორები

- ციური ახვლედიანი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუს-პროფესორი
- რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი
- მარინე კობეშავიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, რომანული ფილოლოგიის ასოცირებული პროფესორი
- ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
- მაია ჯავახიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის მიმართულება, ასოცირებული პროფესორი
- გიორგი ყუფარაძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- სალამე სულაბერიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, რომანული ფილოლოგიის დოცენტი
- ნინო ჭრიკიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- თეა ბორჩხაძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, უფროსი მასწავლებელი

ჟურნალის რედკოლეგია

- მაია ჩხეიძე** – საქართველოს უნივერსიტეტის ევროპული ენებისა და ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- რუსუდან თაბუკაშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
- ია ჩიქვინიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი
- ჰანს რუდიგერ ფლუკი** – ბოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
- კულპაშ ბებიტოვა** – ვერაზის გუმილიოვის სახ. ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (ქ. ასტანა)
- ტანია გრისჰამერი** – ფილოლოგიის მაგისტრი (DAAD)
- მარია მიხაილოვა** – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის საბუნებისმეტყველო აკადემიის აკადემიკოსი
- სილვია ბოტევა** – სოფიის წმინდა კლემენტ ოპრიდელის სახელობის უნივერსიტეტი, რომანული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ტატიანა მეგრელიშვილი** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ალბა გრაციანო** – იტალიის ქ. ტუმას უნივერსიტეტი, ენების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
- ალესანდრა სპადაფორა** – იტალიის ქ. ტუმას უნივერსიტეტი, ენების ცენტრი, ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
- რუსუდან გოცირიძე** – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოური ენების დეპარტამენტი, ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი, ოქსფორდის საუნივერსიტეტო საზოგადოების ასოცირებული წევრი
- ბელა საბეიშვილი** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომანული ფილოლოგიის კათედრის გამგე
- ალექსანდრე კარტოზია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის (ოდერის ფრანკფურტი) მოწვეული პროფესორი

Редколлегия журнала

Майя Чхеидзе – Грузинский университет, руководитель департамента европейских языков и филологии, доктор филологических наук, профессор

Русудан Табукашвили – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, профессор

Ия Чиквинидзе – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии

Ганс Руддигер Флук – Профессор Бохумского университета, доктор филологических наук, профессор

Кульпаш Бейбитова – Профессор национального университета Евразии им. Гумилева (г. Астана), доктор филологических наук

Таня Грисхаммер – Магистр филологии (DAAD)

Мария Михайлова – Московский государственный университет им. М. Ломоносова, доктор филологических наук, профессор, академик Российской Академии Естественных Наук (РАЕН)

Сильвия Ботева – Софийский университет им. Святого Клементя Охридского, руководитель департамента романской филологии, профессор

Татьяна Мегрелишвили – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, доктор филологических наук, профессор

Альба Грациано – Университет г. Туша (Италия), директор центра языков, профессор

Алессандра Спадафора – Университет г. Туша (Италия), доктор филологии, ассоциированный профессор центра языков

Русудан Гоциридзе – Грузинский технический университет, департамент иностранных языков, академический доктор филологии, профессор, ассоциированный член Оксфордского Университетского Общества

Бела Хабеишвили – Грузинский Государственный Университет им. Иванэ Джавахишвили, доктор филологических наук, профессор, руководитель кафедры романской филологии, факультет гуманитарных наук

Александр Картозия – Грузинский Государственный Университет им. Иванэ Джавахишвили, доктор филологических наук, профессор, приглашенный профессор европейского университета Виадрины (Франкфурт на Одере)

Scripta manent

Editorial board

Maia Chkheidze – Head of the European Languages and Philology Department of Georgian University, Doctor of Philological Science, Professor

Rusudan Tabukashvili – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, Professor

Ia Chikvinidze – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology

Hans Rudiger Fluck – Professor of the Bokhums' University, Doctor of Philological Science

Kulpash Beibitova – Gumilev's National Eurasian University (Astana), Doctor of Philological Science, Professor

Tanya Griskhamer – Master of Philology (DAAD)

Maria Mikhailova – Moscow's State University, doctor of Philological Science, the academician of Russian Academy on the Nature Study (RANS)

Sylvia Boteva – Sofia's University of Holy Klement Okhridsky, the leader of the romanian philology department, professor

Tatiana Megrelishvili – Georgian Technical University, Department of foreign languages, Doctor of Philological Science, Professor

Alba Graziano – University of Tuscia, Italy, Language Center Director, Professor

Alessandra Spadafora – University of Tuscia, Italy, Language Center, Doctor of Philology, Associated Professor

Rusudan Gotsiridze – Georgian Technical University, the department of foreign languages, Academic Doctor of Philology, professor, the associate member of Oxford's University Society

Bela Khabeishvili – Tbilisi's State University, Doctor of Philology, Professor, Faculty of Humanitarian Sciences, Head of the Department of the Romanian Philology

Aleksander Kartoza – Tbilisi's State University, Doctor of Sciences in Philology, Professor, European University Viadrina (Frankfurt on the Oder), invited Professor